ჟურნალი ეკლესია

2

საქართველოს საპატრიარქო
თბილისი — 1982



ჯვარი ვაზისა — შემკული მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს თმით. IV ს.

ძლიერებაო ჯვარო ვაზისაო,
დაგვიცევ და დაგვიფარე ჩვენ

დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ
ილია II ლოცვა-კურთხევით

ცანი და ქუეყანაჲ წარჴდენ,
ხოლო სიტყუანი ჩემნი
არა წარჴდენ.



საუბარი ეპისტოლე

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის,
ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის

ი ლ ი ა II

ყოვლადსამღვდელო მიტროპოლიტებს,
მთავარეპისკოპოსებს, ეპისკოპოსებსა და
საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის
ღვთივკურთხეულ სულიერ შვილებს,
მცხოვრებთ საქართველოში და მის
ფარგლებს გარეთ

„...აჰა სამკვდრებელი ღმრთისაჲ კაცთა თანა, და დაიმკვდროს მათ თანა, და იგინი იყვნენ ერ მისა, და იგი ღმერთი თავადი მკვდრ იყოს მათ შორის“ (გამოცხადება, 21,3).

ყოვლადსამღვდელო მწყემსმთავარნო, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სათნო სულიერო შვილნო, მკვიდრნო საქართველოჲსა და მცხოვრებნო მის საზღვრებს გარეთ!

ღვთის დიდი სიყვარულის წყალობით კვლავაც მშვიდობითა და კეთილდღეობით ვხვდებით უდიდესსა და ღვთივშემოსილ დღესასწაულს — ქრისტეს შობას, ზეიმს, რომელიც მთლიანად მოიცავს ყოველი თაობის ადამიანის გულსა და ცნობიერებას, ზატიკს, რომელიც მეფობს საუკუნეებზე. ეს ის სასიხარულო და ნათელმოსილი დღეა, როდესაც ჩვენ, ბეთლემელ მწყემსებსა და აღმოსავლელ მოგვებთან ერთად, გონებით მივემგზავრებით იმ გამოქვაბულისაკენ, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება, წიაღსა შინა თვისსა მიეღო ახლადშობილი ყრმა, მაცხოვარი ქვეყნისა.

ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე წარმართული სამყაროს საუკეთესო წარმომადგენელნი ცხოვრობდნენ იმედით, რომ ღვთის გზის მაძიებელი ხალხის გულში ჭეშმარიტი სარწმუნოება აღმოცენდებოდა და ისინი მოიპოვებდნენ ხსნას ყოვლისმიმტევებელი ღმერთის სიყვარულის წყალობით. I საუკუნის რომაელი ისტორიკოსების, ტაციტუსისა და სვეტონიუსის მოწმობით აღმოსავლეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთა შორის გავრცელებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ მათ მოევლინებოდა მეფე, რომელიც დაამყა-

რებდა მშვიდობასა და წესრიგს ხალხთა შორის. რომაელი პოეტი ვირგილიუსი ადიდებდა იმ ჩვილს, რომელიც გარდამოხდებოდა ზეცით, მომადლებდა ქვეყანას მშვიდობას და დაუბრუნებდა დედამიწას „ოქროს ხანას“. კაცობრიობა თრთოლვით მოელოდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველების აღსრულებას — მოვლინებას ქვეყნის მხსნელისა და ღმერთისა ჩვენისა იესო ქრისტესი... და ბოლოს, ღმერთი უფალი გამოგვიჩნდა ჩვენ.

ქრისტეს შობის ღამეს ბეთლემის ზეცას მოეფინა ანგელოზთა სადღესასწაულო გალობა: „დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშჯდობაჲ და კაცთა შორის სათნოებაჲ“ (ლუკა 2,14). დღეს ეს დიადი ქებათა ქება კვლავაც ისმის სამყაროში და ქრისტიანთა გულებს ავსებს უსაზღვრო სიხარულით, რომლის არსიც წმ. მოციქულმა იოანე ღვთისმეტყველმა ასე გამოხატა: „და სიტყუაჲ იგი ჴორციელ იქმნა და დაემკჳდრა ჩუენ შორის... სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა“ (იოანე 1,14).

კავშირი უფალთან და ზიარება ღვთიურ მადლთანა და ჭეშმარიტებასთან — აი, ის სიხარული, რასაც ემყარება ჩვენი ბედნიერება და კეთილდღეობა. ღმერთთან მიახლებით ადამიანში ახლდება ყოველივე ის, რაც ცოდვის გამო მოისპო მასში. ქვეყნად მაცხოვრის მოვლინებით სათავე დაედო კაცობრიობის დაბრუნებას ნათლისა და ჭეშმარიტებისაკენ. „ამისთჳს შობილ ვარ და ამისთჳს მოვივლინე სოფლად, რათა ვწამო ჭეშმარიტი“ (იოანე 18,37) — ბრძანებს უფალი. აი, ეს მარადიული და მხსნელი ჭეშმარიტება გვიზიდავს ჩვენ.

მაგრამ როგორ მივაღწიოთ ღმერთთან შინაგან, სულიერ ერთიანობას? თითოეული ჩვენთაგანი გრძნობს ამის საჭიროებას, რადგანაც ადამიანს უკვე აღარ ძალუძს გაუმკლავდეს იმ ტანჯვასა და წინააღმდეგობებს, რომლებიც გამუდმებით წარმოიშობა მის გარშემო. აუცილებელია ყოვლადძლიერი დამხმარე ძალა ზეცით გარდამოვლენილი ჩვენთვის.

ადამიანსა და ღმერთს შორის კავშირისათვის აუცილებელი პირობაა ურყევი რწმენა და თავდადებული სიყვარული. ეს ის მყარი საფუძველია, რომელზეც უნდა ავაგოთ ჩვენი სულიერი შენობა. წმ. წინასწარმეტყველმა იოანე ნათლისმცემელმა თავისი ქადაგება შემდეგი სიტყვებით დაიწყო: „შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათაჲ“ (მათე, 3,2). სინანულისა და შინაგანი სრულყოფის გარეშე შეუძლებელია ღმერთთან მიახლება. რომ ვიყოთ ქრისტესთან, რომ ვიგრძნოთ ყოვლადძლიერი შემწეობა, პირველ რიგში უნდა განვიწმიდოთ სულიერი და ხორციელი ყოველგვარი ბიწისაგან ე. ი. უნდა განვთავისუფლდეთ ცოდვებისაგან.

ძალიან ხშირად ჩვენი თავი მიგვაჩნია მართალ, წმიდა ადამიანად, და, ამავე დროს, არად ვაგდებთ ყოველდღიურ ცოდვებს, რომლებიც სულიერი სიკვდილისა და მარადიული სატანჯველისკენ გვიბიძგებენ. ასე ვფიქრობთ: მე არავინ მომიკლავს, ხოლო პატარ-პატარა ცოდვები კი ყველას აქვსო. საშიშია ამგვარი მსჯელობა. განა მთა არ შეიძლება შედგებოდეს როგორც დიდი ქვებისაგან, ისე კენჭებისაგანაც? ღვთის წინაშე უმნიშვნელო ცოდვა არ არსებობს, ყოველგვარი გარდახდომა უფლის მცნებისაგან შეურაცხყოფს მის სიდიადეს და გვაშორებს მას. მეფე და წინასწარმეტყველი დავითი, როდესაც ფსალმუნს წერდა, ძრწოლვით უხმობდა უფალს: „უფალო, ნუ გულისწყრომითა შენითა მამხილებ მე, ნუცა რისხვითა შენითა მსწავლი მე... არა არს მშვიდობაჲ ძუალთა ჩემთა პირისაგან ცოდუათა ჩემთასა. რამეთუ უშჯულოებანი ჩემნი აღმემატნეს თავსა ჩემსა და, ვითარცა ტვირთი მძიმე, დამიმძიმდეს ჩემ ზედა“ (ფსალმ. 37; 2, 4, 5).

პავლე მოციქული, ეკლესიის ბურჯი, სახარების ქადაგებისათვის ყველაზე მეტად დამაშვრალი, წუხს, რომ უფლის წინაშე მხოლოდ ცოდვებითა და უძლურებითა თვისითა წარსდგება.

სიტყვა სინანული ნიშნავს არა მარტო საკუთარი ცოდვების შეგნებას, არამედ თვითშეგნების გარდაქმნასაც, როდესაც პიროვნება ღმრთისადმი, მოყვასისადმი, თვით თავის თავისა და ცხოვრებისადმი დამოკიდებულების ახლებურად გააზრებას იწყებს. ასეთი ადამიანი გრძნობს თავის სისუსტეს და, ამასთან ერთად, ეძებს გზას ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად. ღირსი მამა ისააკ ასური ამბობს: „ნეტარ არს კაცი, რომელი შეიცნობს უძლურებასა თვისსა, რამეთუ ცოდნა ესე ხდება მისთვის საფუძველი და საწყისი ყოველივე კეთილწარმატებისა“ (ისააკ ასური, 61-ე სიტყვა, 328—329).

როდესაც სინანულის გზას შეუდგები, ნუ იქნები უგრძნობელი და გულქვა, არამედ სცან დაცემაი შენი და იგლოვდე ცოდვათათვის შენთა. წმიდა იოანე ოქროპირი წერს: „სტიროდე არა უბრალოდ, არამედ მწარედ, ვითარცა პეტრე; სულისა შენისა სიღრმეთაგან გადმოღუარე ნაკადულნი ცრემლთანი, რათა უფალმან მოწყალებით შეგინდოს შეცოდებანი. კაცთმოყვარე ღმერთი შენგან შრომას ითხოვს მცირედს და თვით მოგაგებს დიდებულს, შენგან ელის მიზეზს, რათა დაგაჯილდოვოს ცხონებით. შესწირე მას ცრემლნი შენნი და მან მოგანიჭოს შენდობაი“ (თხზ. ტ. II, გვ. 322—323).

ჩვენ ვლაპარაკობთ სინანულზე, აღსარებაზე, ხშირად კი ხალხმა არ იცის, რა უნდა მოინანიოს, რა ითვლება ცოდვად. ზოგიერთს მიაჩნია, რომ ცოდვა ჩვენი თვისებაა, თითქოს იგი ჩვენი ბუნების ნაწილია. ცნობილია, რომ ადამიანი ღვთის მსგავსად არის შექმნილი. ის, რაც არ შეესატყვისება შემოქმედის სახეს, არ არის ჩვენი ბუნებისეული. მაშ, რას წარმოადგენს ცოდვა ღვთისმეტყველთა გაგებით? ცოდვა ბოროტებაა, რომელიც პიროვნებაში შედის მისი ნებით. ბოროტება ანუ ცოდვა ადამიანის ბუნება კი არ არის, მისი მდგომარეობაა. ფატიკიელი დიადოხოსის თქმით: „ბოროტისადმი ჩვენს მიდრეკილებას სძლევს ბუნება სიკეთისა, რადგანაც სიკეთე არსებობს, ბოროტება კი არ არსებობს, უფრო სწორად, ბოროტება არსებობს მაშინ, როდესაც მას გამოავლენენ“ (საღვთისმეტყველო შრომები, 1972 წ., გვ. 69). ცოდვა შედეგია ნების სისუსტის ან სხეულებისა, იგი ამბოხია ღმერთის წინააღმდეგ, რადგანაც ცოდვით ვარღვევთ მის მცნებებს. ამასთან, ის ერთგვარი სენია, რომელიც ცდილობს დამკვიდრდეს ადამიანში და დააავადოს იგი. პიროვნება თავისი სურვილით უთმობს ადგილს ბოროტებას და შეყავს ცოდვა თავის სამყაროში, თანმხდება იყოს მისი მორჩილი.

ასე რომ, ცოდვა უცხო, არაბუნებრივი მდგომარეობაა ადამიანისა და მისგან კაცი მხოლოდ სინანულითა და აღსარებით თავისუფლდება. ცოდვა მრავალგვარი არსებობს. ამ ეპისტოლეში მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შევჩერდებით, ისეთზე ხშირად რომ გვხვდება და გვაშორებს ღმერთს.

პირველი და ძნელადგამოსასწორებელი ცოდვა ამპარტავნებაა. ეს ის პირველი ცოდვაა, ანგელოზი ეშმაკად რომ აქცია. ბიბლიაში ბევრგანაა თქმული ამპარტავნების შესახებ. ბრძენი სოლომონი ამბობს: „მოდის მედიდურობა და მოჰყვება დამცირება“ (იგავნი, 11,2); „დამხობას წინ უძღვის ამპარტავნება, დაცემას — ქედმაღლობა“ (იგავნი, 16,18). იაკობ მოციქულთან ვკითხულობთ: „ამპარტავანთა შეჰმუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი“ (იაკობი, 4,6).

რა არის ამპარტავნება? მის შესახებ მეტად მოკლე პასუხს იძლევა ღირსი მამა იოანე კიბისაღმწერელი: „ამპარტავნება უკიდურესი სიღატაკეა სულისა“. ფილოსოფია და მსოფლიო ლიტერატურა მდიდარია მრავალგვარი განსაზღვრებებითა და მაგალითებით ამ ნაკლის შესახებ და ყოველი მათგანი ერთ დასკვნამდე მიდის: **ქედმაღლობა მანკიერი გრძნობაა, საძრახისი და ყოვლად დამამცირებელი.** იგი გვიჩვენებს, რომ პიროვნება არ იცნობს თავის თავს. ამპარტავანს სხვისი უპირატესობა აღიზიანებს. წმ. ეფრემ ასურის თქმით, ამპარტავანი ვერ იტანს მასზე უკეთესს, ასეთის ან შურს, ან ეჯიბრება. იგი ვინმეს შექებას საკუთარ დამცირებად და შეურაცხყოფად იღებს.

მეორე ცოდვა, რომელიც ხშირად გვხვდება და რომელიც დაკავშირებულია ქედმაღლობასთან, არის მრისხანება. ეკლესიასტეს წიგნში ვკითხულობთ: „ნუ მოსწრაფე ხარ სულსა შინა თჳსითა გულისწყრომად, რამეთუ გულისწყრომა წიაღთა შინა უგუნურთასა განისუენებს“ (ეკლ. 7,10). წმ. პავლე მოციქული გვაფრთხილებს: „ყოველი სიმწარე და რისხვაჲ და გულისწყრომაჲ და ღაღადებაჲ და გმობაჲ მოისპენ თქუენ შორის ყოვლითურთ უკეთურებით“ (ეფესელთა, 4,31). უკეთური, მრისხანე ადამიანი პირველ რიგში სკუთარ თავს ვნებს, შემდეგ კი სხვებს. რისხვა უარყოფითად მოქმედებს გონებაზე, გულზე, ნერვიულ სისტემასა და, საერთოდ, მთელ ორგანიზმზე. ღირსი მამა იოანე კასიანე მრისხანებას სასიკვდილო შხამს უწოდებს. მძვინვარე კაცი ვეღარ საზღვრავს; მან შეიძლება შეურაცხყოს სუსტი, დაამციროს, გაანაწყენოს უძლური, შეიძლება ისეთი საქციელი ჩაიდინოს, სულს მოუშუშებელ ჭრილობად რომ დარჩეს სიცოცხლის ბოლომდე. გულისწყრომისა და გულფიცხელობისაგან გვკურნავს მორჩილება, სიმშვიდე, სიმდაბლე. უფალი გვასწავლის: „აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა და ისწავეთ ჩემგან. რამეთუ მშჯდ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოვოთ განსუენებაჲ სულთა თქუენთაჲ“ (მათე, 11,29). გულფიცხელნი და მრისხანენი საბრალობელნია; განერიდეთ ამ ცოდვას.

მძიმე ცოდვა, ტვირთად რომ გვაწევს ჩვენ, არის შური. იაკობ მოციქული წერს: „სადა არს შური და ჴდომაჲ, მუნ შფოთი და ყოველი ბოროტისა საქმე“ (იაკობი, 3,16). ბრძენი სოლომონი ამბობს: „ნუ ისერებ კაცისა თჳნა მოშურნისა“ (იგავნი 23,6).

შური — ეს სხვა ადამიანის კეთილდღეობით, უპირატესობით ანდა სხვა რაიმე წარმატებით გამოწვეული წყენა და გაღიზიანებაა. იგი ყველას მიერ დაგმობილი, მაგრამ მრავალთათვის მაინც დამახასიათებელი ნაკლია, რომლის დამალვასაც საგულდაგულოდ ცდილობენ. შურმა შეიძლება კაცი ბოროტმოქმედად აქციოს. საოცარია, ეს ცოდვა მატერიალურ სამყაროში უფრო მეტად ვლინდება; იშვიათად თუ ვინმეს შეშურდება ადამიანის სულიერი მიღწევებისა. არ შურთ იმისი, ვისაც უფრო დიდი სარწმუნოება და სიყვარული აქვს, ვინც მეტის მომთმენია, ვინც კეთილთა ნიჭთა მოპოვებას ესწრაფვის. იაკობ მოციქულის ეპისტოლეში ვკითხულობთ: „ხოლო უკეთუ შური მწარე გაქუნდეს და ხდომაჲ გულთა შინა თქუენთა, ნუ იქადით და სტყუით ჭეშმარიტებასა ზედა“ (ია-

კობი, 3,14). ე. ი. ნუ მოიწონებთ თავს ქრისტიანის სახელით და ნუ იცრუებთ, თითქოს შური იმდენად უბრალო რამ იყოს, რომ იგი ჭეშმარიტებას ზიარებული კაცისთვის დასაშვებად მიიჩნიოთ. მოციქული პავლე კორინთელთა ეკლესიას აფრთხილებდა: „რამეთუ სადაღა თქუენ შორის შური და ხდომაჲ და განწვალებანი, არა ხორციელველა ხართა და კაცობრივ იქცევით?“ (I კორ. 3,3). შურით ანთებული ადამიანი კილავს და აძაგებს ყველას, ვისაც ეჯიბრება: მტერსა თუ მოყვარეს. ხშირად უნიჭო ხალხს დიდი პრეტენზიები აქვს, საქმით კი არაფერს აკეთებს, მხოლოდ შურს და ამ სამწუხარო გრძნობის მორჩილი განიკითხავს პატიოსან და უდანაშაულო ადამიანებს.

არ შეიძლება ერთდროულად იყო ქრისტიანი და, ამავ დროს, შურით შეპყრობილი. სიყვარული და შური ისევე შეუთავსებელია, როგორც ნათელი და ბნელი.

ძმანო და დანო ჩემნო! განარიდეთ გულნი თქვენნი შურსა, ხედვიდეთ რა წარმატებას მოყვასისა შენისა, იხარებდეთ მის თანა. დაეხმარეთ ნიჭმიმადლებულს გამოავლინოს თვისი შესაძლებლობანი. გახსოვდეთ, ღმერთი ხედავს შენს გულს და მოგაგებთ სიმდიდრისამებრ გულისა თქვენისა.

აღნიშნულის გარდა, არსებობს სხვა ცოდვებიც: პატივმოყვარეობა, სიზარმაცე, სასოწარკვეთილება, მრუშობა, სიძუნწე, სიძულვილი, ღვარძლი, განკითხვა... ისინი გვაშორებენ ღმერთს და შინაგან ჰარმონიას ურღვევენ ჩვენს სულს. ადვილი არ არის ცოდვებისაგან გათავისუფლება. ეს მით უფრო ძნელია, თუ ისინი უკვე ჩვეულებად ქცეულან. მთავარია, ადამიანს შინაგანად სძულდეს ცოდვა და ცდილობდეს მის მოკვეთას. თუ გაქვს სურვილი გამოსწორებისა, უკვე სწორ გზაზე დგახარ; ამ დროს უნდა იჩქარო ტაძრისაკენ. მიდი მღვდელთან, როგორც სულის მკურნალთან, და გაუმხილე შენი ნაკლოვანებანი. მისი ლოცვითა და კურთხევით თვით ღვთისაგან მიიღებ შენდობას.

მღვდლის წინაშე თქმული აღსარება აუცილებელი პირობაა სინანულისა, რადგანაც მოძღვარს ღვთისაგან აქვს მინიჭებული უფლება ცოდვათა მიტევებისა. ზოგჯერ ამბობენ: რა საჭიროა ეკლესიაში მღვდელთან მისვლა? განა არ შეიძლება თვით უფალს უთხრა შენი ცოდვები და მოინანიო მის წინაშე? ასეთ ადამიანებს არ ესმით აღსარების საიდუმლო და მღვდლის შენდობის ძალა. აღსარება განწმედაა, მეორე ნათლობაა, როგორც მას წმ. მამები უწოდებენ; იგი შერიგებაა ღმერთთან, შინაგანი სიმშვიდეა, დაწყნარებაა.

როდესაც ჩვენი სულიერი ჭურჭელი განსპეტაკდება, თავმდაბლად და კრძალვით უნდა მივიღოთ წმიდა ზიარება.

რა არის ზიარება და რატომაა იგი აუცილებელი? წმ. ზიარება თვით უფალმა იესო ქრისტემ დაადგინა საიდუმლო სერობისას. წმ. მოციქულის ლუკას სახარებაში ვკითხულობთ: იესო ქრისტემ „მოიღო პური, ჰმადლობდა და განტეხა და მისცა (მოწაფეთ) და თქუა: ესე არს ჴორცი ჩემი თქუენთჳს მიცემული, ამას ჰყოფდით მოსაჴსენებელად ჩემდა. ეგრეთვე სასუმელი შემდგომად სერობისა და თქუა: ესე სასუმელი— ახალი სჯულისა სისხლისა ჩემისაჲ თქუენთჳს დათხეული“ (ლუკა, 22,19—20).

ღვთის ხორცად და სისხლად გარდაქმნილი პურითა და ღვინით პირველად მოციქულნი ეზიარნენ. უფლის ხორცისა და სისხლის მიღებისას მაცხოვარი მიუთითებს, რომ ადამიანისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ხორციელ პურზე ზრუნვა, მისთვის აუცილებელია სულიერი საზრდელი, რომელიც მას შემოქმედთან დააკავშირებს, ხელს შეუწყობს მისი სულის ზეაღსვლას მიწიდან ზეციურ ეკლესიასთან შეერთებისათვის.

მაზიარებელნი, უერთდებიან რა მაცხოვარს, მისი საშუალებით უკავშირდებიან ერთმანეთს მტკიცე ორგანული კავშირით და ქმნიან ქრისტეს ერთიან მისტიურ და ამავე დროს რეალურ სხეულს — ეკლესიას. ყოველი ქრისტიანი თვეში ერთხელ მაინც უნდა ეზიაროს, რომ სულიერად განმტკიცდეს. ეს საიდუმლო ეხმარება ადამიანს ნაკლოვანებათა, ვნებათა დაძლევაში, ხილულ და უხილავ მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მარხვის დღეებში, ვინც მარხვას ინახავს, შეუძლია ყოველ კვირას ეზიაროს. ასე რომ, ზიარება უდიდესი საიდუმლოა; ზიარებისას ჩვენში ვიღებთ მეუფესა ზეცათასა და ქვეყანისასა, რომლის ძალა და ძლიერებაც საზღვარდაუდებელია; ამით კი გვენიჭება მადლი სიკეთის ქმნისა.

სიკეთის ქმნა ადამიანის ისეთივე ჩვეულებრივი თვისება უნდა იყოს, როგორც ბუნებრივია, ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღოს, ხოლო ბოროტება ისევე შეუძლებელი უნდა იყოს მისთვის, როგორც „ვერ ჴელ-ეწიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გამოღებად“ (მათე, 7,17—18).

„ჭეშმარიტი სიბრძნისმოყვარენი და ძმათმოყვარენი, — ამბობს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, — ესწრაფვიან ქმნას სიკეთისას თავად სიკეთისათვის და არა პატივისათვის ცათა შინა“ (წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, თხზ. მ. 1889 წ. გვ. 97).

თითოეული ჩვენთაგანი ღვთივქმნული მშვენიერი ჭურჭელია, რომელიც უფლის მად-

ლით უნდა იყოს სავსე და წარმოადგენდეს ტაძარს სულისა წმიდისას.

სულიერი განწმედის, აღსარებისა და ზიარების შემდეგ ადამიანი გარდამავალი ფერებით მბრწყინავ ანდამატივით ნათობს: მისი სული ხდება სავანე სიყვარულისა, თავმდაბლობისა, სიმშვიდისა, მოთმინებისა, სიწმიდისა, ლოცვისა, მარხვისა და სხვა იმ მაღალ ღირსებათა, რომლებიც პიროვნებას ღვთით ენიჭება.

ძმანო და დანო, მოგმართავთ რა საშობაო ეპისტოლეთი, მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო იმ პრობლემაზე, რომელიც დღეს მთელს კაცობრიობას აწუხებს. ეს არის ბირთვული განადგურებისაგან ქვეყნის დაცვის საკითხი.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის იყო და კვლავაც დარჩება თავისი საუკუნოვანი ტრადიციების ერთგული. იგი წმიდად იცავს და მსოფლიოში ქადაგებს ხალხთა შორის ურთიერთგაგებასა და თანხმობას და ამით ხელს უწყობს დედამიწაზე მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას. ჩვენი მისწრაფება მშვიდობისაკენ — ეს ქრისტიანული რელიგიის არსებითი მხარეა. ყველა ადამიანი და ყველა ხალხი თანასწორუფლებიანია. მიგვაჩნია, რომ თითოეული ადამიანის და, განსაკუთრებით კი, მორწმუნე ქრისტიანის ვალია, ყოველგვარი საშუალებით წინ აღუდგეს ომის გაჩაღების საფრთხეს. ომისა და მშვიდობის პრობლემა საერთო პრობლემაა. იგი მოიცავს და აღელვებს ყველას, განურჩევლად მისი რელიგიური, კულტურული თუ პოლიტიკური შეხედულებებისა, რადგანაც ყველა გრძნობს ბირთვული კატასტროფის საფრთხეს. ეს საერთო დაინტერესება განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა მოსკოვში, 1982 წლის 10—14 მაისს ჩატარებულ მსოფლიო კონფერენციაზე — „რელიგიური მოღვაწენი ბირთვული კატასტროფისაგან სიცოცხლის ღვთაებრივი მადლის გადასარჩენად", სადაც საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო. მოსკოვის კონფერენციის შემდეგ მსოფლიო მოწმე გახდა ჩვენი სახელმწიფოს მიერ აღებული მეტად მნიშვნელოვანი ახალი სამშვიდობო ინიციატივისა, რომ იგი პირველი არ გამოიყენებს ბირთვულ იარაღს. ეს ცალმხრივი ვალდებულება დიდი აღფრთოვანებით მიიღო მსოფლიომ. თუ სხვა ქვეყნების მეთაურნიც იკისრებენ ამგვარ ვალდებულებას, შესაძლებელი იქნება მსოფლიოს ხსნა ბირთვულ ნგრევისაგან.

ყველას გვესმის, რომ მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში მიღწეულით არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ. აუცილებელია გავაერთიანოთ და გავამრავლოთ მშვიდობის მომხრეთა ძალები. ჩვენ აღვავლენთ ლოცვებს მშვიდობისათვის მთელს მსოფლიოში, ხალხთა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთნდობისა და სამართლიანობის განმტკიცებისათვის. ყოველთვის უნდა გვასსოვდეს მოციქულთა სიტყვები: „მოიძიენ მშჳდობაჲ და მისდევდინ მას" (I პეტრე, 3,11). გახსოვდეს, რომ „მშჳდობასა გჳწოდნა ჩუენ ღმერთმან" (I კორინთ. 7,15), „სცანთ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ" (იოანე 8,12).

ჭეშმარიტების ძიებაში საუკუნეთა მანძილზე ხალხმა მრავალი გზა და ბილიკი განვლო, თავის თავზე გამოსცადა და გადაიტანა ყოველივე, რასაც მოიცავს ადამიანის სული: მიწიერების უარმყოფელი უკიდურესი მისტიციზმიდან უკიდურეს ღვთისუარყოფამდე. და მხოლოდ მაშინ, როცა ეს გზები გადალახული იყო და ძალები ამოწურული, დადგა ჟამი, ოდეს სიტყვა ხორციელ იქმნა, მოგვევლინა იესო ქრისტე — ტარიგი ღვთისა, რომელმან აღიღო ცოდვანი სოფლისანი.

მხოლოდ ქრისტიანობაში ჰპოვა შინაგანი სრულყოფა მთელი კაცობრიობის რელიგიური ძიების ხანგრძლივმა და მძიმე მსოფლიო-ისტორიულმა პროცესმა.

საშობაო ეპისტოლე წმ. ეფრემ ასურის სიტყვებით მსურს დავამთავრო: „დღეჲ ესე არს დღეჲ ცხონებისა, ღამეჲ ესე მშჳდობასა და მყუდროებას მიანიჭებს მსოფლიოს. აწინდელი ღამე ეკუთვნის მშვიდს (იესო ქრისტეს). ამისთვის განაგდოს ყოველმან რისხუაჲ და სიფიცხლეჲ, დააყუდოს ამპარტავანებაჲ და ზვაობაჲ თჳსი. აწ აღმობრწყინდა დღეჲ იგი წყალობისა და ნუ ეუფლება ვისმეს გრძნობაჲ შურისგებისა წყენისათჳს მისისა; ნუ იქმნება ვინმე მიზეზი სხვისი ჭირისა და მწუხარებისა. ეს დღე ულრუბლო და ნათელია. დაე, მოიდრიკოს მის წინაშე რისხვამ, შემმუსრველმა მშვიდობისა და მყუდროებისა" (ეფრემ ასური, 1904, გვ. 138).

მადლი უფლისა, სიყვარული, მშვიდობა და სიხარული თქვენ ყოველთა თანა!

კიდევ ერთხელ გილოცავთ დიად დღესასწაულს — ქრისტეს შობას!

გისურვებთ მარადიულ სიხარულს, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ი ლ ი ა II სამგლოვიარო დეპეშა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზ ურ ა ბ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ძ ე პ ა ტ ა რ ი ძ ი ს გარდაცვალების გამო

23 მაისს (5 ივნ.) საავტომობილო კატასტროფაში ტრაგიკულად დაიღუპა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ალექსანდრეს ძე პატარიძე.

ა. წ. 24 მაისს (6 ივნ.) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტმა ი ლ ი ა II საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაუგზავნა სამგლოვიარო დეპეშა შემდეგი შინაარსით:

„საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, მისი წმ. სინოდის და პირადად ჩემი სახელით მიიღეთ გულწრფელი თანაგრძნობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ჭეშმარიტი მამულიშვილის ზურაბ ალექსანდრეს ძე პატარიძის გარდაცვალების გამო.

აცხოვნე, უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი“.

ი ლ ი ა II
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-
პატრიარქი, ეკლესიათა მსოფლიო
საბჭოს პრეზიდენტი

1982 წ. თბილისი

ეკლესიის ცხოვრებიდან

როგორც უკვე ვიუწყებოდით (იხილეთ „ჯვარი ვაზისა“ № 1, 1982 წ.), მიმდინარე წლის მაისში მოსკოვში ჩატარდა რელიგიის მოღვაწეთა მსოფლიო სამშვიდობო კონფერენცია საერთო სათაურით: „რელიგიის მოღვაწენი სიცოცხლის წმიდა ნობათის გადასარჩენად დედამიწაზე...“

კონფერენციამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიოს ყველა ქვეყნის რელიგიურ სამყაროში... მიმდინარეობს საკითხების შესწავლა, ისახება მათი პრაქტიკული განხორციელების გზები და საშუალებები... იწერება სტატიები, ეწყობა სიმპოზიუმები, სხდომები, შეხვედრები.

მიმდინარე წლის 24 ივნისს (6 ივლისს) უშუალოდ ამ საკითხს მიეძღვნა ეკლესიათა მეთაურების, ეკლესიის მოღვაწეთა და რელიგიურ გაერთიანებათა წარმომადგენლების სხდომა ზაგორსკში, სადაც მონაწილეობა მიიღო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციამ უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ი ლ ი ა II მეთაურობით.

კათოლიკოს-პატრიარქ ი ლ ი ა II სიტყვა წარმოთქმული ეკლესიათა მეთაურების, ეკლესიის მოღვაწეთა და რელიგიურ გაერთიანებათა წარმომადგენლების სხდომაზე ზაგორსკში 24 ივნისს (6 ივლისი)

თქვენო უწმიდესობავ,

ძვირფასო ძმებო და მეგობრებო!

დღეს ჩვენ ერთმანეთს ვუზიარებთ ამა წლის მაისის თვეში მოსკოვში ჩატარებული მსოფლიოს სამშვიდობო კონფერენციის შთაბეჭდილებებს. ამ კონფერენციის შესახებ ამომწურავი საუბარი დღესდღეობით, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, რადგან შთაბეჭდილებები ჯერ კიდევ ახალია... მათი შესწავლა და გაანალიზება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის რელიგიურ საზოგადოებებში ახლა იწყება. მოხსენებებისა და მისალმებათა გარდა, კონფერენციაზე ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რელიგიურ მოღვაწეთა პირად კონტაქტებს. როგორც მოგეხსენებათ, ეს მოღვაწენი ფრიად მაღალღირსნი ბრძანდებიან და მათ დიდი გავლენა აქვთ თავიანთ ქვეყნებში. კონფერენციის მთავარი თემა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, საწუხარი იყო იმ გზებისა და საშუალებების მოძიება, რომელსაც ბირთვული კატასტროფისაგან მსოფლიოს გადარჩენა შეუძლია.

მშვიდობის შენარჩუნება ამ მოუსვენარ და შფოთით სავსე მსოფლიოში დღეს ყველა საღად მოაზროვნე ადამიანის საზრუნავია.

მსოფლიოს დიდი მოღვაწენი — რელიგიის წარმომადგენლები, მეცნიერები, კულტურის მუშაკები, მუშები, გლეხები, ყველანი წუხან და ფიქრობენ იმაზე, თუ რა შეიძლება მოუტანოს მსოფლიოს ბირთვულმა ომმა და როგორ ავიცილოთ იგი თავიდან.

თითქოს ყველას სურს მშვიდობა, მაგრამ იგი ყველას სხვადასხვანაირად ესმის. არსებობს ასეთი თეორიაც: „განიარაღებამდე უნდა შეიარაღდე“. ჩვენ ვცხოვრობთ ამ დროს, როცა მშვიდობაზე მხოლოდ ლაპარაკი არ კმარა. აუცილებელია კონკრეტული მოქმედება. მშვიდობის შენარჩუნების პასუხისმგებლობა დღეს აკისრია არა მარტო სახელმწიფოთა მთავრობებს, არამედ ყველას, მათ შორის, რა თქმა უნდა, ჩვენც... ახლა სიტყვა დასავლეთს და ყველა იმ სახელმწიფოს ეკუთვნის, ვინც ამ მომაკვდინებელ იარაღს ფლობს. მსოფლიო გადარჩება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ერთ დასკვნამდე მივა — ხელი აიღოს ბირთვულ შეიარაღებაზე.

ჩვენ დიდი კმაყოფილებით აღვიქვით პრესაში გამოქვეყნებული ცნობა იმის შესახებ, რომ ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ასამბლეის მეორე სპეციალურ სესიაზე უწმიდესი პიმენი თავის სიტყვაში სწორედ ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემას შეეხო. მისი გამოსვლა გამოხატავდა ჩვენი ქვეყნის ყველა რელიგიური მოღვაწის აზრსა და სურვილს.

დღეს ჩვენ კვლავ ვიხსენებთ მსოფლიოს რელიგიურ მოღვაწეთა შეხვედრებს მაისის თვეში, მოსკოვში, სადაც მთელი სიცხადით იყო ნათქვამი ბირთვული საშიშროებისა და მისი თავიდან აცილების შესახებ. ამ შეხვედრებზე არაერთხელ ითქვა, რომ ლოკალურ ომებს შეიძლება ჰქონდეთ ცუდი შედეგები, ისინი შეიძლება იქცნენ ბირთვული კატასტროფის კერებად. მაგალითად, რაც დღეს ხდება ლიბანში, არა მარტო ლიბანისა და პალესტინის ტრაგედიაა, ეს არის მუქარა მსოფლიოს მშვიდობისადმი. მსგავსი კონფლიქტები საშიშია და მას მძიმე შედეგები მოჰყვება.

ამასთან ერთად, ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის დადებითი ძვრებიც, რაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში ხდება. ეს არის საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოლაპარაკების განახლება ჟენევაში სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შესახებ. როგორც განაცხადა ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელმა ჟენევაში, ჩვენ გვსურს, ამ მოლაპარაკებამ გაითვალისწინოს სტრატეგიული შეიარაღების რაოდენობრივი შემცირება და, ასევე, ერთდროულად დაადგინოს მათ ხარისხობრივ სრულყოფაზე ზრუნვის შეწყვეტა. თუ ეს განხორციელდა, დიდად სასურველი ძვრები მოხდება მშვიდობის საქმეში.

ამ გზაზე სასურველი შედეგები ახლავს რელიგიის მსახურთა მოღვაწეობას. ჩვენ კვლავაც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა მშვიდობის იდეამ მთელი რელიგიური, და არა მარტო რელიგიური, სამყარო მოიცვას.

ინდოეთის გზებზე

ამა წლის 18 (31) აგვისტოს საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ინდოეთში გაემგზავრა, რათა მონაწილეობა მიეღო ინდოეთის საპატრიარქოს (კოპტური ეკლესიის) ავტოკეფალიის სამოცდაათი წლისთავის საიუბილეო ზეიმზე.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ი ლ ი ა II, ბოდბელი მთავარეპისკოპოსი ათანასე (ჩახვაშვილი), ნიკორწმიდელი ეპისკოპოსი ამბროსი (ქათამაძე), პროტოდიაკონი ხვთისო შალიკაშვილი და საპატრიარქოს საგარეო განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე ბორის გაგუა.

დელეგაცია გააცილეს ქუთათელ-გენათელმა მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა (მახარაძე), მანგლელმა მთავარეპისკოპოსმა თადეოზმა (იორამაშვილი), ურბნელმა მთავარეპისკოპოსმა კონსტანტინემ (მელიქიძე), წილკნელმა ეპისკოპოსმა ვახტანგმა (ახვლედიანი), თბილისის ტაძრების მღვდელმსახურებმა და საპატრიარქოს თანამშრომლებმა.

დელეგაციის გასაცილებლად თბილისის აეროდრომზე გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა რწმუნებული საქართველოს რესპუბლიკაში გივი მაისურაძე და მისი მოადგილე თეიმურაზ ტატიშვილი.

20 აგვისტოს (3 სექტემბერს) რუსეთის, სომხეთის, ბულგარეთის, რუმინეთისა და საქართველოს დელეგაციები მოსკოვიდან ინდოეთში გაემგზავრნენ.

22 აგვისტოს(5 სექტემბერს) დელეგაციების წევრები, უწმიდეს ი ლ ი ა II მეთაურობით, სირიის საკათედრო ტაძარში დაესწრნენ საღმრთო ლიტურღიას. წირვას ასრულებდა ინდოეთის ქრისტიანული ეკლესიის მიტროპოლიტი ამერიკაში სვიმეონი.

ეკლესიას ჩვეულებრივი შენობის ფორმა აქვს. ინტერიერი გამოყოფილია საკურთხევლით და ხალხის დასადგომი დიდი დარბაზით, რომელიც ორიათასამდე სულს იტევს. მარჯვენა მხარეს დგანან ქალები და გოგონები, მარცხნივ მამაკაცები და ბიჭები. ტაძარი მდიდრულადაა მორთული. მას ოცდახუთი დიდი ბროლის ჭაღი ანათებს.

წირვის დაწყების წინ და, ასევე, დასასრულის ჟამსაც დიდი პატივისა და სიხარულის ნიშნად დელეგაციას ქვემეხების გრიალით შეხვდნენ. ერთად დაიცალა რამდენიმე ასეული ქვემეხი.

წირვის დასასრულს სტუმრებს მიესალმა მიტროპოლიტი გრიგორიოსი.

სიტყვა დელეგაციის სახელით წარმოსთქვა უწმიდესმა ი ლ ი ა II. მან საკათედრო ტაძრის წინამძღვარს გრიგორიოსს გადასცა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ჭედური ხატი და ქართული საგალობლების ფირფიტები.

კოჩინოში, რომელიც ორი საათის საზღვაო გზითაა დაშორებული ბომბეიდან, დელეგაციას შეეგება ინდოეთის პატრიარქი ბასილიოს მართობა მათე I, მისი სინოდი და მთელი მორწმუნე მრევლი, რომელიც ყვავილებით ხელში მღეროდა „დეი, დეი, კატოლიკოს...“

სიმღერის შინაარსი დაახლოებით ასეთი იყო:

„რა ბედნიერი დღე გაგვითენდა,
საქართველოს კათოლიკოსი მობრძანდა...
გაუმარჯოს კათოლიკოსს,
მრავალჟამიერ კათოლიკოს ი ლ ი ა ს“.

აქვე უსასრულო მწკრივად იდგნენ საზეიმოდ მორთული მოცეკვავენიც. მიტროპოლიტებმა დელეგაციის წევრები საპატიო გვირგვინებით შეამკეს. უკრავდა ორკესტრი... ისმოდა გალობა... ქალაქში რადიო განუწყვეტლივ აცხადებდა კათოლიკოს-პატრიარქ ი ლ ი ა II და სხვა, მთელ რიგ, დელეგაციათა სტუმრობას. სტუმრებს ყველგან განსაკუთრებული საზეიმო ცერემონიალითა და დიდი პატივისცემით ხვდებოდნენ. თავყრილობას თითქმის ყველა რელიგიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ოფიციალური მიწვევის დროს სტუმრებთან მიჰქონდათ ყვავილები. ყვავილები, საერთოდ, ყველაზე ძვირფას საჩუქრად ითვლება ინდოეთში.

შეხვედრა ჩატარდა საზეიმოდ, ამაღლებულად, შთაგონებით...

მისასალმებელი სიტყვით გამობრძანდა ინდოეთის პატრიარქი ბ ა ს ი ლ ი ო ს მ ა რ თ ო ბ ა მ ა თ ე I. მან სიხარული გამოთქვა მათ ზეიმში ესოდენ საპატიო სტუმართა მონაწილეობის გამო. გამოთქვა იმედი, რომ ეს შეხვედრა კიდევ უფრო განამტკიცებს ქრისტიანულ ეკლესიათა ძმურ ერთობასა და თანამეგობრობას.

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა კათოლიკოს-პატრიარქმა ი ლ ი ა II.



ზეიმი ინდოეთის დედაქალაქში

საინტერესო იყო ქერალის შტატის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ვაიალარი რავის სიტყვა... მან აღნიშნა, რომ ინდოეთის იმ ნაწილში, სადაც ჯერ ქრისტიანობას არ შეუღწევია, მძვინვარებს უწიგნურობა და სიღარიბე... ხოლო იქ, სადაც მიაღწია **თომა მოციქულის** ხმამ, ხალხი სულიერად ამაღლდა... განიძარცვა ყოველივე ბნელი და სიღატაკიდან თავის დაღწევის გზებიც უფრო იოლად გამონახა... ასევე, დიდად სასიხარულოა თქვენი ჩამობრძანებაც, ეს ჩვენ მეტ იმედსა და სულიერ ძალას გვმატებსო.

სიტყვა წარმოთქვა ვატიკანის წარმომადგენელმა მამა დიურარემ. მან აღნიშნა, რომ კათოლიკებსა და მართლმადიდებლებს სადავო არაფერი აქვთ. ისინი ისევე ერთნი არიან, როგორც ერთია უფალი ჩვენი **იესო ქრისტე**.

სიტყვით გამოვიდა თბილისის სომხური ეკლესიის ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი გევორქ სერაიდარიანი.

საბოლოო სიტყვით სტუმრებს მიესალმა მინისტრი შარინი ვასანგი. მან აღნიშნა, რომ ინდოეთის ავტოკეფალური ეკლესიის სამოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებს დიდი აღფრთოვანებით უჭერს მხარს ინდოეთის მთავრობა და იგი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ქრისტიანობამ საფუძვლიანად მოიკიდოს ფეხი მთელ სახელმწიფოში... ყოველივე ამის განსახორციელებლად კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ზეიმში საპატიო სტუმრების მონაწილეობასაცო.

ბოლოს, გაიმართა დიდი კონცერტი, სადაც, მთელი თავისი თვალისმომჭრელი ბრწყინვალებითა და მშვენიერებით ინდოელმა მსახიობებმა უჩვენეს თავიანთი განუმეორებელი, მრავალსაუკუნოვანი, რიტუალური ხელოვნება. ისმოდა სიმღერები, რომელთა შორის გამოირჩეოდა ისევ და ისევ უწმიდეს ი ლ ი ა II მიძღვნილი სიმღერა...

„მრავალჟამიერ, კათოლიკოსო ი ლ ი ა

მრავალჟამიერ... შენს ეკლესიას და მრევლს“.

საღამოს დასასრულს საქართველოს ეკლესიის დელეგაცია მოსასვენებლად პატრიარქის რეზიდენციაში მიიწვიეს. დანარჩენი სტუმრები კი ქალაქ კოტაიამში გაემგზავრნენ.

ინდოეთის პრესა, რადიო, ტელევიზია ფართოდ აღნიშნავდნენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ჩამობრძანებას.

23 აგვისტოს (6 სექტემბერს) დილით დელეგაციის მონაწილეებმა ქალაქ კერალში დაათვალიერეს სინაგოგის ტაძარი, სადაც ინახება მეოთხე საუკუნის უძვირფასესი ებრაული პერგამენტი. ეწვივნენ წმიდა ფრანცისკოს პროტესტანტულ ეკლესიას.

ნაშუადღევს სტუმრები საზეიმო ვითარებაში მიიღო ინდოეთის პატრიარქმა.

საღამოთი ქ. კოტაიამის საპატრიარქოს რეზიდენციის ავარაკზე გაიხსნა ახალი კორპუსი. ბაფთა გაჭრა ამ ზეიმის უსაპატიოესმა სტუმარმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ი ლ ი ა II. თავის სიტყვაში ი ლ ი ა II ილაპარაკა ინდოეთის ეკლესიის დიდ ქრისტიანულ ტრადიციებზე, მათ საქვეყნოდ ცნობილ მოწამეებზე, გამოთქვა სიყვარული და პატივისცემა მისი დღევანდელი საჭეთმპყრობელისადმი.

26 აგვისტოს (7 სექტემბერს) დელეგაცია მთელი დღით მდინარე ბაგმის სანაპიროს დასათვალიერებლად საპატრიარქოს ხომალდზე მიიწვიეს. უღრმესი რწმენის გამოხატულებით მოსახლეობა მუხლმოყრილი ხვდებოდა სტუმრებს.

27 აგვისტოს (8 სექტემბერს) დელეგაციის მონაწილენი ქ. კოტაიამში ეწვივნენ **წმ. მოციქულ თომას** ტაძარს. დაათვალიერეს კოტაიამის ახლოს სოფელ ვირონოში თვით წმ. მოციქულ თომას მიერ დაარსებული ღვთისმშობლის ეკლესიის ნაფუძარი, სადაც ამჟამად ახალი ეკლესიაა აღმართული.

28 აგვისტოს (9 სექტემბერს) დილით მოეწყო გაერთიანებული სხდომა, რომელიც ეკუმენიზმის საკითხებს მიეძღვნა. საქართველოს ეკლესიიდან სხდომას დაესწრნენ და სიტყვებით გამოვიდნენ ბოდბელი ეპისკოპოსი ათანასე (ჩახვაშვილი) და ნიკორწმიდელი ეპისკოპოსი ამბროსი (ქათამაძე). დიალოგში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს სხვადასხვა ეკლესიის წარმოგზავნილებმა.

ეპისკოპოსი ამბროსი (ქათამაძე) თავის სიტყვაში დაინტერესდა კითხვით, ვისთან ატარებს ღვთისმეტყველურ დიალოგს ინდოეთის საპატრიარქო. პასუხი ასეთი იყო: „ინდოეთის საპატრიარქო დიალოგს ატარებს კათოლიკურ, პროტესტანტულ და ევანგელისტურ ეკლესიებთან“. ქართველმა ეპისკოპოსმა აღნიშნა, რომ საქართველოს ეკლესია დიდ ყურადღებას უთმობს ძველი ეკლესიების ღვთისმეტყველებასა და ტრადიციებს. ივი უშუალო, მუდმივ კონტაქტშია სომხურ და ბაპტისტურ ეკლესიებთან.

ეპისკოპოსმა ათანასემ თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: „მინდა საუკეთესო სურვილები გავუზიარო ინდოეთის ეკლესიას... არ ვიცი კი, რა სიტყვა მოვძებნო, რომელიც სრულყოფილად გამოხატავდა ამ სურვილს... თქვენს ეკლესიას ბევრი დიდი წმიდანი ჰყავს... დიდია მისი დამსახურება ქრისტიანული მსოფლიოს წინაშე... მუდამ ყოფილიყოს თქვენთან **წმიდა თომა მოციქულის** უკვდავი, ჰაღალი სული. დაგლოცოთ და დაგიფაროთ მისმა მადლმა“.

სხდომის დამთავრების შემდეგ სტუმრები მიიწვია ინდოეთის საპატრიარქოს საავადმყოფოს დირექტორმა. მან ბრძანა: „ჩვენ დიდ შრომას ვეწევით ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის. 1916 წლიდან განუწყვეტლივ ვიღებთ ახალ აპარატურას. ბოლო ათ წელიწადში კი საავადმყოფოს ტერიტორია და, საერთოდ ავადმყოფთა მომსახურეობის დონე დიდად გაფართოვდა„ რაშიც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის მის უწმიდესობას პაპსა და კათოლიკოსს ბასილიოს მართობა მათე I. მალე გავხსნით ახალ კოლეჯს, სადაც ჩვენივე ძალებით მოვამზადებთ სპეციალისტთა ახალ სამედიცინო კადრებს. ჩვენი ცენტრი დახმარებას უწევს მთელი კერალის შტატის ყველა ქრისტიან მოქალაქეს, განურჩევლად მისი აღსარებისა. მკურნალობა ძირითადად უფასოა“.

28 აგვისტოს (10 სექტემბერი) საღამოს ზეიმის მონაწილენი დაესწრნენ საღმრთო-სადღესასწაულო ლოც-

ვას, სადაც საქართველოს დელეგაციის წარმომადგენლებმა რამდენიმე ქართული გალობა შეასრულეს.

ქ. კოტაიამში, კათოლიკოსის რეზიდენციის ტაძარში არის **წმ. მოციქულ თომას** ნაწილები, რომელიც ქ. მადრასიდან გადმოუტანიათ.

წმ. თომა მოციქულის ნაწილები, საერთოდ, დაკრძალულია მადრასის შტატში, მალპურნში. იგი ქრისტიანთა მთავარი ცენტრია, მაგრამ მართლმადიდებელნი, კათოლიკე მისიონერების გავლენით, აქ ცოტანი დარჩნენ და მთავარი როლი რომის კარდინალს აკისრია.

ყველგან, სადაც კი დელეგაციებს უხდებოდათ ყოფნა და მგზავრობა, აუარება ხალხი, ყვავილების ზღვა მიაცილებდა მათ. ინდოეთის კათოლიკოსი და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მღვდელმთავრებთან ერთად, მანქანიდან აკურთხებდნენ ათასობით ადამიანს. და ისე, როგორც პირველ დღეს, ყოველ საზეიმო ცერემონიალს თან ახლდა ქვემეხების გრიალი, ზარების რეკა და ი ლ ი ა II მიძღვნილი ლექს-სიმღერა, რომელსაც ყველა იმეორებდა...

„რა ბედნიერი დღე გაგვითენდა...
საქართველოს კათოლიკოსი ი ლ ი ა II გვეწვია...
დღეგრძელობა ი ლ ი ა II,
მრავალჟამიერ მის ეკლესიას,
მრავალჟამიერ მის ერს“.

ზეიმის ბოლო დღეს მრავალათასიან მიტინგზე სტუმრებს მიესალმნენ ინდოეთის მთავრობის წარმომადგენლები.

ზეიმს, ცხადია, მარტო მართლმადიდებელი ქრისტიანები არ ესწრებოდნენ. აქ სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლებიც იყვნენ და მართლმადიდებელთა დღესასწაული საერთო ეროვნულ, მთელი ინდოეთის ზეიმად გადაიქცა. სწორედ ეს სიხარული გამოთქვა თავის სიტყვაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ი ლ ი ა II. გმადლობთ, ინდოეთისა და საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კავშირის კვლავ აღდგენისათვის, მიმართა მან დასასრულს კათოლიკოს მ ა რ თ ო ბ ა მ ა თ ე I და საჩუქრად წმიდა გიორგის I ხარისხის ორდენი და მიქაელ მთავარანგელოზის ჭედური ხატი გადასცა.

კათოლიკოს-პატრიარქმა ი ლ ი ა II საპატიო საჩუქრები გადასცა ინდოეთის მთავრობის წევრებს.

ეპისკოპოსი ამბროსი (ჟათამაძე)

ინდოეთის პატრიარქი ბ ა ს ი ლ ი ო ს მ ა თ ე მ ა რ თ ო ბ ა I და
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ი ლ ი ა II ინდოელ და ქართველ
მღვდელმსახურებთან ერთად

კათოლიკოს-პატრიარქ ილია II სიტყვა, წარმოთქმული ინდოეთში ვიზიტის დროს

თქვენო უწმიდესობავ, ქრისტეს მიერ საყვარელო ძმაო, ბატონო **ბაზილიუს მართობა მათე I**, აღმოსავლეთის პატრიარქ-კათოლიკოსო, მალანკარის მიტროპოლიტო! ყოვლადსამღვდელონო, მღვდელმთავარნო, ინდოეთის ეკლესიის ძენო და ასულნო!

ჩვენ ჩამოვედით ინდოეთში შორეული საქართველოდან, იმ ქვეყნიდან, რომლის მიწა ინახავს მსოფლიოს უდიდესსა და სანუკვარ სიწმიდეს — კვართსა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა. დიდია და მეტად რთული ჩვენი ორი ქვეყნისა და ეკლესიების ისტორია. საქართველოსა და ინდოეთის ეკლესიები — აღმოსავლეთის უძველესი ეკლესიებია. ორივე სამოციქულოა. საქართველოს ეკლესიის დამაარსებელნი არიან მოციქულები ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი, ხოლო ინდოეთის განმანათლებელნი — მოციქულები თომა და თადეოზი. სხვადასხვა ტრადიციების მქონეა ეს ორი ეკლესია; ამავე დროს, მათ ჰქონდათ და დღესაც აქვთ ერთი დიდი საერთო — ორივე ეროვნული ეკლესიაა. ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ ინდოელმა ხალხმა თავისი მდიდარი და განუმეორებელი კულტურა, მსგავსად ქართველი ხალხისა, დაიცვა და შეინარჩუნა უცხოელ დამპყრობლებთან საუკუნოვან სასტიკ ბრძოლებში.

უძველესი ინდური კულტურა დიდ გავლენას ახდენდა მსოფლიოზე. საქართველო თავისი ტერიტორიული მდებარეობით ძველთაგანვე ითვლებოდა აზიისა და ევროპის დამაკავშირებელ გზად. ჩვენი მატიანე — „ქართლის ცხოვრება“ საქართველოსა და ინდოეთს შორის ურთიერთობას იხსენიებს V საუკუნიდან, როცა საქართველოში მეფობდა ვახტანგ გორგასალი. საერთოდ კი, ინდურ სამყაროსთან ჩვენი კონტაქტი გაცილებით შორეულ საუკუნეებში პოულობს დასაბამს.

ინდოელი და ქართველი ერების ურთიერთობა ძალიან ნათლად და მხატვრულად აისახა ჩვენს მწერლობაში. ქართველი მწერლები და პოლიტიკური მოღვაწენი შესანიშნავად იცნობდნენ ინდოეთის ფილოსოფიასა და პოეზიას. „სიბრძნე ბალაჰვარისა“, რომლის ორიგინალი მხოლოდ ქართულ ენაზე მოიპოვება, ასახავს ინდოეთის მეფის აბენესისა და მისი შვილის იოდასაფის ქრისტიანობაში მოქცევის ისტორიას. ეს ნაწარმოები XI საუკუნეში ქართველი ბერის ექვთიმე მთაწმიდელის მიერ ითარგმნა ქართულიდან ბერძნულად. ამას გარდა, ისეთ ქართულ კლასიკურ ნაწარმოებებში როგორიცაა „ვეფხისტყაოსანი“, „აბირან დარეჯანიანი“, „თამარიანი“ არა ერთი საინტერესო ცნობაა ინდოეთის შესახებ.

თუ რა მჭიდრო პოლიტიკური და კულტურული კავშირი იყო საქართველოსა და ინდოეთს შორის, იქიდანაც ჩანს, რომ XVII საუკუნეში ქართველი ქალი ყოფილა ინდოეთის დედოფალი და იმდენად დიდი გავლენა ჰქონია თავის მეუღლე შაჰ დარუზე, რომ იგი გაუქრისტიანებია. ასე რომ, ჩვენი ერების ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი და დიდი ისტორია აქვს.

ეს არის ჩემი მესამე ვიზიტი ინდოეთში. პირველი ორი ვიზიტი შედგა ჩემი მიტროპოლიტად ყოფნის დროს. მეხსიერებაში განსაკუთრებით ჩამრჩა მეორე ვიზიტი 1976 წლის სექტემბერში, როდესაც საშუალება მომეცა უფრო ახლოს გავცნობოდი ინდოელი ხალხის ცხოვრებასა და მის თვითმყოფად კულტურას. განსაკუთრებული სითბოთი ვიგონებ ინდოეთის პრემიერ მინისტრ ინდირა განდისთან შეხვედრას. ამ შეხვედრის დროს მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმაში, თუ რა დიდი პიროვნება ბრძანდება იგი და რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინდოეთის დღევანდელ ცხოვრებაში. ჩვენ დიდად გვახარებს ის პროგრესი, რომელსაც მიაღწია ინდოეთმა უკანასკნელ წლებში ეკონომიური თუ პოლიტიკური ცხოვრების სფეროში.

თქვენო უწმიდესობავ, ქრისტეს მიერ სიყვარულით მოგესალმებით საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდისა და პირადად ჩემი სახელით.

შევთხოვთ ყოვლისშემძლე ღმერთს, მიანიჭოს თქვენს უწმიდესობას დიდი მიღწევებით აღვსილი მრავალჟამიერი და კეთილდღეობითი ცხოვრება, ხოლო თომა მოციქულის ეკლესიას უფრო მეტი ზრდა და აყვავება. მე განსაკუთრებული სიყვარულით მოგესალმებით ქართველი ერისა და ჩვენი სამოციქულო ეკლესიის სახელით, ჩვენთან, საქართველოში, სიონის საპატრიარქო ტაძარში ინახება თქვენი ქვეყნის განმანათლებლის **წმიდა თომა მოციქულის თავის ქალა.**

„აცხოვნე, უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი“. ამინ.



საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელნი ჟენევა-შამბეზში

* * *

12—18 (25—31) მაისს შამბეზში (შვეიცარიაში) ეკუმენური ცენტრის შენობაში შედგა სემინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელმა, პროტოპრესვიტერმა გურამ შალამბერიძემ.

სემინარის ძირითადი თემა იყო „ლუთერი და ლუთერანული ეკლესიისა და სხვა ეკლესიათა ურთიერთდამოკიდებულება ეკუმენური მოძრაობის სფეროში". სემინარის მუშაობას ესწრებოდნენ მსოფლიოს როგორც ლუთერანული, ასევე მართლმადიდებელი, კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიების წარმომადგენლები.

ლუთერანელთა მოხსენებები შეეხებოდა ლუთერს და მის მოძღვრებას, ლუთერანული ეკლესიის დღევანდელ მდგომარეობას და სხვ.

რაც შეეხება მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს, მათ დაიცვეს მართლმადიდებლური დოგმატის არსი ყოველი საკითხის შესახებ, ძირითადად საღმრთო გადმოცემის ევქარისტულ და ხელდასხმის საკითხებზე.

მრავალი მასალა, რომელიც პროტოპრესვიტერმა გურამ შალამბერიძემ შამბეზიდან ჩამოიტანა, ამჟამად თარგმნისა და შესწავლის პროცესშია. მის შესახებ ცნობებს მკითხველს შემდეგ ნომრებში მივაწვდით. ყოველივე ეს დაგვეხმარება უფრო ღრმად ჩავწვდეთ და გავიგოთ როგორც ლუთერანული ეკლესიის, ასევე სხვადასხვა ეკლესიების დოგმატური შეხედულებები.

---

* * *

21—30 აგვისტოს (3—12 სექტ.) მერვე მსოფლიო საეკლესიო კრების წინა II სრულიად მართლმადიდებელ ეკლესიათაშორისო თათბირზე მონაწილეობის მისაღებად ჟენევა-შამბეზში იმყოფებოდა საქართველოს ეკლესიის დელეგაცია სამი ნღვდელმთავრის შემადგენლობით: ჰყონდიდელი, ცაგერისა და ლეჩხუმ-სვანეთის მთავარეპისკოპოსი იოანე (დელეგაციის ხელმძღვანელი), ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი დავითი და ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსი ანანია.

თათბირის მიზანი იყო მერვე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მოსახსენებლად საერთო აზრის გამოტანა შემდეგ საკითხებზე:

1. დაბრკოლებანი ჯვრისწერის (ქორწინების) დროს.

2. ეკლესიის დადგენილებანი მარხვის შესახებ (დროის მოთხოვნათა გათვალისწინებით).

3. საეკლესიო კალენდრის საკითხი, კერძოდ, ეკლესიათა შორის ერთობლივი წესის შემუშავება ქრისტეს აღდგომის ერთდროულად აღნიშვნის შესახებ.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა მთავარეპისკოპოსმა იოანემ.





კონფერენცია რესურსების განაწილების შესახებ (ბულგარეთი)

დეკანოზი ამირან შენგელია

მიმდინარე წლის მაისის თვეში წილად მხვდა დიდი პატივი, მონაწილეობა მიმეღო ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გამართული კონფერენციის მუშაობაში, რომელიც მიეძღვნა ეკლესიური რესურსების განაწილების საკითხებს.

9 (22) მაისს, შაბათს, დილის 10 საათზე სინოდალურ კანტორაში შედგა შეხვედრა ბულგარეთის ეკლესიის მართლმადიდებელი, კათოლიკური, პროტესტანტული, სომხურ-გრიგორიანული, რუსეთის, საქართველოს, რუმინეთის ეკლესიების წარმომადგენლებთან. საბჭოთა კავშირიდან კონსულტაციაზე სამნი ვიყავით: უმანის მთავარეპისკოპოსი მაკარი, ნიკოლოზ ზვერევი და მე. სინოდარულ კრებაზე ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს სახელით მოგვესალმნენ მიტროპოლიტი პანკრატი და პროფ. ტ. სბევი.

3 საათზე შედგა ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მეექვსე ასამბლეის (კანადა) მონაწილეებთან შეხვედრა. თავიანთი მზადების შესახებ სიტყვები წარმოსთქვეს ბულგარეთის, რუმინეთის, რუსეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკლესიების წარმომადგენლებმა.

საღამოს 6 საათისათვის მიგვიწვიეს ტაძარში, რომელსაც ეწოდება: „ვსეხ სკორბიაშიხ რადოსტი“. მწუხრის დასასრულს პროფ. საბიმ წარგვადგინა მრევლის წინაშე. სხვა ეკლესიების წარმომადგენლებთან ერთად სიტყვით გამოვედი მეც. მოვყევი საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია, ვახსენე ბოჩკოვოს მონასტერი და მისი დამაარსებლები. მრევლმა ძალიან გულთბილად მიმიღო.

10 (23) მაისს, კვირას, მონაწილეობა მივიღე წირვაში — წმ. ალ. ნეველის საკათედრო ტაძარში. მწირველები იყვნენ: სტარაზაგორას მიტროპოლიტი პანკრატი. ტრანოპოლის ეპისკოპოსი ილარიონი, უმანის მთავარეპისკოპოსი მაკარი. ბულგარეთის ეკლესიაში ეპისკოპოსებს არა აქვთ ეპარქიები, აქვთ მხოლოდ სახელწოდება ამა თუ იმ ძველი გაუქმებული ეპარქიის ეპისკოპოსისა. ეპარქიებს მხოლოდ მიტროპოლიტები განაგებენ. მღვდელმთავრები იმოსებიან საკურთხეველში. დეკანოზებს არა აქვთ მიტრები. მთავარხუცესს ეძახიან „სტავროკორნის“. შემოღებულია ტიტულები ეპისკოპოსებისა — გენერალური მდივანი სინოდისა, პროტოსინგელი, არქიმანდრიტი და ა. შ. პეტრიწონის მონასტერში წინამძღვარი უნდა იყოს იღუმენი ან არქიმანდრიტი. სინოდმა დაუშვა გამონაკლისი — წინამძღვარია ეპისკოპოსი. ეკლესიებში, წირვა-ლოცვის სრულყოფის მიზნით, ყოველ კვირას ტარდება ეპისკოპოსის წირვა. პატრიარქი წირავს მხოლოდ დიდ დღესასწაულებზე. საღამოს სრულდება მწუხრი, დილით — ცისკარი, ჟამნობა და წირვა. წირვა შემოკლებულია, არ ამბობენ კათაკმეველთა და მიცვალებულთა კვერექსს. ფეშხუმით იხსენიებენ პატრიარქ მაქსიმეს და ბულგარეთის სინოდს, ბულგარეთის კეთილმორწმუნე ხალხს.

წირვის შემდეგ სტუმრებს მიესალმა ეპისკოპოსი ილარიონი. მოეწყო შეხვედრა ბულგარეთის უწმიდეს პატრიარქ მაქსიმესთან. მან კონფერენციის დელეგატები დააჯილდოვა მედლებითა და ვიმპელებით.

ბულგარეთის მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს შემდეგი ეკლესიები სოფიაში: წმ. ალექსანდრე ნეველის, წმ. კვირიაკისა, წმ. კირილესი და მეთოდესი, წმ. გიორგისა. წმ. შვიდმოწამეთა, ყოველთა დამწუხრებულთა შემწეთა.

11 (24) მაისს, ორშაბათს, 10 საათზე დაიწყო ბულგარეთის კულტურისა და მწერლობის მანიფესტაცია. მავზოლეუმის ტრიბუნაზე, სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად, ტოდორ ჟივკოვის გვერდით იდგა ბულგარეთის პატრიარქი მაქსიმე. სტუდენტებმა და მოსწავლე ახალგაზრდობამ მოასვენა „წმ. კირილესა და მეთოდეს“, ასევე, ბულგარეთის მწერლებისა და კულტურის მოღვაწეთა პორტრეტები, სლავური ანბანი. შესრულდა ეროვნული ცეკვები და სიმღერები.

ამავე დღეს გაიხსნა კონფერენცია. ეკუმენური ლოცვის შემდეგ კონფერენციის დელეგატებს მიესალმა სტაროზაგორსკის მიტროპოლიტი პანკრატი.

„ჩვენ სიხარულს გვანიჭებს ის ფაქტი, რომ ეს ეკუმენური სხდომა ტარდება წმიდა მოციქულთა სწორ კირილესა და მეთოდეს ხსენების საზეიმო დღეებში. ეს ჩვენ სავსებით კანონზომიერად გვეჩვენება. გარწმუნებთ, რომ ბულგარეთის ეკლესია, რომელმაც ძმური დახმარების არა ერთი მაგალითი გვიჩვენა და რომელიც თავისი მცირე რესურსებით მუდამ იყო სხვათა მოზიარე, როგორც ახლობელთა, ისე გარეშეთა, კვლავაც შეიტანს თავის წვლილს ეკლესიათა ძმურ კავშირშიო, თქვა მან.

მართლმადიდებლური პოზიციიდან რესურსების ეკუმენური განაწილების შესახებ ისაუბრა ეპისკოპოსმა სტეფანემ (იუგოსლავია). მოგვყავს პატარა ჩანაწერი მისი სიტყვიდან:

„...ქრისტიანები უნდა დაეხმარონ ერთმანეთს. სტატისტიკით მსოფლიოში დღეისათვის 1500 მილიონი ქრისტიანია. ბევრი არაა რეგისტრირებული. ზოგი სარწმუნოებას აღიარებს სულითა და გულით, ზოგიც— მალულად. ზოგი ეწამება. ამაყი მკაცრი ეპოქაა“. შემდეგ მან ილაპარაკა იუგოსლავიის ეკლესიის ეკუმენური მოღვაწეობის შესახებ. ფლოროვსკი ბრძანებს: „ლიტურღია არის დოქტრინა და დისციპლინა... მართლმადიდებელი ეკლესიის ხელში იგია იარაღი, სიმდიდრე, მოწამეობა... აუცილებელია კონტაქტები... თანამშრომლობა... უკეთესია გავცეთ, ვიდრე მივიღოთ...“

მოხსენება „ღვთისმეტყველური შეხედულება პროტესტანტული პოზიციიდან“ — წაიკითხა პასტორმა ოტტო გუნტერმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). „ჩვენი ეპოქა, — თქვა მან, — დაცემის ეპოქაა, უნდა იყოს ერთი სარწმუნოება, ერთი ნათლობა, ევქარისტია... დიაკონია... მსახურება ქრისტესი. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებობს საზოგადოება „ხლებ დლია მირა“, რომელიც აგროვებს მილიონობით მარკას მოწყალებისათვის“.

მთავარეპისკოპოსმა მაკარმა აღნიშნა, რომ რესურსების განაწილების შესახებ სრულ პასუხს ვერავინ ვერ მოგვცემს, რამეთუ, ვინც ქრისტეს სარწმუნოება მიიღო, ის თავის ცხოვრებას ყველას უნაწილებს... ჩვენი ვალია, ქრისტიანული სარწმუნოება გავაცნოთ სხვებს, ალიასკას, იაპონიას, ჩინეთს... ჩვენს სასულიერო აკადემიებში სწავლობენ ყველა ქვეყნის წარმომადგენლები. ავაშენეთ ჰოსპიტალი ბეირუთში, დამასკოში სემინარია დავაფინანსეთ. ჩვენ ჩვენი წვლილი შეგვაქვს რესურსების ეკუმენური განაწილების საქმეში. ახალი დიაკონია არის მშვიდობის დაცვა... მისიონერული მოღვაწეობის მთავარი მიზანი — ატომური კატასტროფის თავიდან აცილება. ვანკუვერის ასამბლეის მთავარი თემა იქნება: „ქრისტე — მსოფლიოს სიცოცხლე“. მშვიდობის კონგრესი, რომელიც მოაწყო მაისში რუსეთის ეკლესიამ, იყო სასწაული...“

12 (25) მაისი, სამშაბათი: ჩატარდა ეკუმენური ლოცვა. შემდეგ ეკუმენური რესურსების განაწილების შესახებ სიტყვით გამოვიდნენ: ბ-ნი ვან ბიკი, ბ-ნი ს. ისაკი, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან სივარიუსი და სხვ.

13 (27) მაისს, საღამოს, კონსულტაციამ მუშაობა დაამთავრა.

14 (28) მაისს ვეწვიეთ პლოვდივს. მართლმადიდებელ ეკლესიაში ამაღლების სახელზე წირავდა პლოვდივის მიტროპოლიტი ვარლამი. ვიყავით პლოვდივის მიტროპოლიტის რეზიდენციაში, სადაც გაიმართა დისკუსია. შებინდებისას მოვინახულეთ ბოჩკოვოს მონასტერი.



ბულგარეთი — სოფია. დეკანოზი ამირან შენგელია კონფერენციის მონაწილეთა შორის

+ საპატრიარქოს + + ეკლესიათა + + საბჭოს +

ᲡᲬᲠᲐᲤᲘᲡᲗᲕᲘᲡ

იოანე ნათლისმცემელი

„იყო კაცი მოვლინებული ღმრთისა მიერ, და სახელი
მისი იოანე. ესე მოვიდა მოწამედ, რაჲთა წამოს ნათ-
ლისა მისთჳს, რაჲთა ყოველთა ჰრწმენეს მისგან“
(იოანე 1,6—7).

დიდხანს ელოდნენ მღვდელი ზაქარია და მისი მართალი მეუღლე ელისაბედი შვილს, მაგრამ მათი ლოცვა ღმერთმა მხოლოდ ღრმად მოხუცებულობის ჟამს ისმინა... როცა ზაქარიამ პირველად აიყვანა ხელში თავისი ვაჟი, აღივსო სულითა წმიდითა და წინასწარმეტყველებდა: „შენ, ყრმაო, წინაჲსწარმეტყველ მაღლის იწოდო, რამეთუ წარსძღუე წინაშე პირსა უფლისასა განმზადებად გზათა მისთა“ (ლუკა 1,76). სულ მალე, როგორც სახარება გვამცნობს, მოხუცი მშობლების შვილზე მთელი იუდეა ალაპარაკდა.

საქმე იმაშია, რომ, ქრისტეს შობამდე, იუდეა რომაელებმა დაიპყრეს. ებრაელებს მესია — ქრისტე წარმოედგინათ არა სულიერ მაცხოვრად, არამედ პოლიტიკურ ბელადად და ამ შეგნებით მოელოდნენ მას. ეგონათ, რომ იგი აქამდე ჩაგრულ ებრაელ ერს სხვა ერებზე გამარჯვებას მოუტანდა იმგვარად, როგორც ოდესღაც ღმერთმა უდაბნოში მოსეს აღუთქვა: „და მოსრათ ყოველი ქალაქები ერთბაშად, და ცოლები მათი და შვილები მათი. და საცხოვრები მათი და მონაგები მათი და ნატყუენავი ქალაქთა მივიღოთ ჩუენდა“ (V წიგნი მოსეს რჯულისა 3,6—7).

იუდეველთა სულიერი ბელადები, რომელნიც მოწოდებულნი იყვნენ მორალური ხელმძღვანელობისაკენ, თვითონ დაკნინდნენ. დაივიწყეს ღვთისმიერი სული თვისი, რაც ესოდენ მთავარი იყო ძნელბედობის ჟამს.

სწორედ ამ დროს, იუდეას უდაბნოში, რომელიც მდინარე იორდანეს მიმდებარეა, გამოჩნდა კაცი, რომელიც „მუცლითა დედისა თვისისა“ წინასწარმეტყველად იყო შობილი. ეს კაცი იყო იოანე. კაცი ასკეტი, აქლემის ტყავით მოსილი, წელზე ტყავის ქამარშემოჭერილი, რომელიც მხოლოდ „მკალითა და თაფლით ველურით“ იკვებებოდა. მის თხელ პროფილს შავი, დაბურდული თმა და წვერი შემოხვეოდა. თავისი გარეგნობით შიშს აღძრავდა მნახველებში. მათ სულს უფორიაქებდა მისი იდუმალება. ქადაგება იოანემ შთაგონებით დაიწყო: „შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ“ (მათე 3,2).

ძველი ებრაული გადმოცემებით, მესიის მოსვლას წინ უნდა უსწრებდეს „ხმაჲ მღაღადებლისაჲ უდაბნოსა: განმზადეთ გზაჲ უფლისაჲ და წრფელ ყვენით ალაგნი მისნი“ (ლუკა 3,4). ამიტომ იზიდავდა იოანე თავისკენ ცნობისმოყვარე ებრაელებს. ის უკიჟინებდა: „ნაშობნი იქედნეთანო კინ გიჩუენა თქუენ სივლტოლაჲ მერმისა მისგან რისხვისა?“ (ლუკა 3,7).

როგორც იოანე, ისევე ხორციელქმნილი ძე ღვთისა მოვიდნენ არა რჯულის დასანგრევად, არამედ მის აღსრულებად და ებრაელნი „ნათელ“-იღებდეს იორდანეს ზედა მისგან და აღუარებდეს ცოდვათა მათთა“ (მათე 3,6). ინათლებოდნენ რა წყლით, ივსებოდნენ სურვილით — შეეცვალათ თავიანთი ყოფა და ცხოვრების სახე.

„ვინა ხარ, შენ? — ეკითხებოდნენ იოანეს შეშფოთებული ებრაელი მასწავლებლები. — „შენ ხარ მესია?“ იოანე კი პასუხობდა: „მე ნათელ გცემ თქუენ წყლითა სინანულად. ხოლო რომელი იგი ჩემსა შემდგომად მოვალს, უძლიერეს არს ჩემსა, რომლისა ვერ შემძლებელ ვარ ჯამლთ მისთა ტჳრთვად. მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა“ (მათე 3,11).

და აი, იორდანეს ნაპირებთან გამოჩნდა ვინმე გალილეველი. გალილეაში იმხანად ბევრი წარმართი დასახლებულიყო და აღრეულიყო ებრაელებში. ამიტომ ებრაელთა წარმოდგენით, გალილეველები უმეცრების განსახიერებას წარმოადგენდნენ. მაგრამ იოანემ, რომელმაც „არა აცოდა იგი“, სიხარულით წამოიძახა: „აჰა ტარიგი ღმრთისაჲ, რომელმან აღიხუნეს ცოდვანი სოფლისანი“ და გაემართა, რათა შეგებებოდა, მისგან მიეღო ნათლისღება. იოანემ, როგორც ჭეშმარიტმა „მუცლითა დედისა თვისისა“ წინასწარმეტყველმა და მორწმუნემ, გულისხმაყო, რომ მის წინაშე მდგომი უნაკლო იყო, რომ იგი სხვისგან ნათლისა-ღებას არ საჭიროებდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იესომ ბრძანა: „აცადე აწ, რამეთუ ესრე შუენის ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმართლე“ (მათე 3,15) და მოინათლა იოანე წინამორბედის ხელით.

ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

იესომ, ნათელიღო რა იორდანეში, აღმოვიდა წყლიდან და ლოცულობდა. უცებ, „განეხუნეს მას ცანი“, აფარფატდა მის თავს ზემოთ თეთრი მტრედი — სული ღმრთისა, და გაისმა ზეცით: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ“ (მათე 3,17).

იოანე კვლავ ქადაგებდა იუდეის უდაბნოში. უკვე განსაკუთრებული სიმრავლით იწყეს დინება მასთან ებრაელებმა.

იოანე ამხილებდა ებრაელ მღვდელმთავრებს, ფარისეველ და სადუკეველ მასწავლებლებს ჩადენილ ცოდვათა გამო. ბოლოს, შეეხო რომაელების მარიონეტს ჰეროდეს, რომელმაც თავის ცოცხალ ძმას მოსტაცა ცოლი, სილამაზით გამორჩეული ჰეროდიადა. ებრაელთა ჩვეულებით, ძმის გარდაცვალების შემდეგ მის ცოლს შთამომავლობის გასამრავლებლად უცოლო ძმა ირთავდა, მაგრამ ცოცხალი ძმის ცოლის მიტაცება მომაკვდინებელ ცოდვად ითვლებოდა. იოანემ ამხილა ჰეროდე „არა ჯერ არს შენდა, ვითარმცა ცოლად გესუა ძმის ცოლი შენი“ (მარკოზი 6,18). ჰეროდიადა პატივმოყვარე და ამპარტავანი ქალი იყო. მას თავის ქმარზე დიდი გავლენა ჰქონდა. ამ გავლენას უნდა მიეწეროს, რომ, მიუხედავად ხალხის რიდისა, იოანე დილეგში ჩააგდეს.

იყო ჰეროდეს დაბადების დღე. მთვრალ მამაკაცთა წინაშე საცეკვაოდ გამოვიდა ჰეროდიადას ასული სალომე „და სთნდა ჰეროდეს და თანა მეინახეთა მათ მისთა“. ჰეროდემ, სიამოვნების ნიშნად, ქალიშვილს აღუთქვა ყოველივე სურვილის შესრულება. სალომემ დედის წინასწარი შთაგონებით მოითხოვა: „მომეც მე ლანკნასა ზედა თავი იოვანესი, ნათლის-მცემლისაი“. შეწუხდა ჰეროდე. იცოდა, რაოდენ უყვარდა იოანე ხალხს. შეეშინდა, არ აჯანყებულიყვნენ მის წინააღმდეგ. მაგრამ სიმთვრალეში წამოსროლილი სიტყვა ველარ გატეხა „და მიავლინნა, და მოჰკუეთეს თავი იოვანეს საპყრობილესა შინა“ (მათე 14,10).

ასე დაასრულა სიცოცხლე უკანასკნელმა წინასწარმეტყველმა და ქრისტეს წინამორბედმა.

ა. ᲛᲔᲚᲐᲫᲔ

●

საქართველოში დაცულ უდიდეს სალოცავთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რელიქვიაა იოანე ნათლისმცემლის თითი.

იგი, მე-19 საუკუნის ბოლოს, დეკანოზ კიორგი ახვლედიანს, საბერძნეთში ოქროს ორას თუმნად, თვლებით შემკული ვერცხლის ლუსუკუმითურთ შეუძენია, ჩამოუტანია და თეკლათის მონასტრისათვის შეუწირავს.

წმიდა იოანე ნათლისმცემლის თითი, უფრო სწორედ, ცერათითის დიდი ძვალი, ამჟამად სხვა ლუსუკუმაშია. ძველი ლუსუკუმა კათოლიკოს-პატრიარქ **ეფრემ II** გამოურთმევია თეკლათის მონასტრის იღუმენია ქეთევანისათვის (ახვლედიანი) და სამაგიეროდ ამჟამინდელი გამოუგზავნია. ამჟამინდელი ლუსუკუმაც ძველია, მაგრამ თავდაპირველი უმჯობესია.

აღნიშნულ სიწმიდეს ინახავდა მონასტრის აწ გარდაცვლილი იღუმენია ქეთევანი (ახვლედიანი), რომელსაც იგი მონასტრის მოძღვრისათვის, მღვდელმონოზონ აწ—არქიმანდრიტ კონსტანტინესათვის (ქვარაია) შესანახავად გადაუცია.

წმიდა იოანე ნათლისმცემლის თითის თაყვანის საცემად დაწესებულ დღეს თეკლათის მონასტერში მრავალი მორწმუნე მოდის. ეს დღე არის წელიწადში ერთხელ — წმიდა იოანე ნათლისმცემლის შობის დღესასწაულზე, ძველი სტილით 24 ივნისს (ახ. სტ.—7 ივლისი). როგორც ყველგან, ასევე თეკლათის მონასტრის ღვთისმშობლის შობის ტაძარშიც ამ დღეს ტარდება საზეიმო წირვა, ხოლო წინა საღამოს — ლოცვა. წინა საღამოსვე ვლოცულობთ წმიდა იოანე ნათლისმცემლის აკათისტოს. წირვის შემდეგ შუა ტაძარში წმიდა იოანე ნათლისმცემლის თითით ვაკურთხებთ წყალს. ჩამოლოცვის შემდეგ მლოცველთ ვამთხვევინებთ ჯვარსა და წმიდა ნაწილზე.

ტროპარი წმიდა იოანე ნათლისმცემელისა, ხმა მე-4

წინასწარმეტყველო და წინამორბედო
ქრისტეს მოსვლისაო,
ღირსად ქებად ვერ შემძლებელ ვართ ჩვენ,
რომელნი სურვილით პატივს გცემთ შენ,
რამეთუ ბერწობა დედისა და უტყვება
მამისა
დაიხსნა დიდებულითა და პატიოსნითა
შობითა შენითა და
განხორციელება სიტყვისა ღვთისა
სოფელსა ექადაგა.



ᲡᲬᲠᲐᲤᲘᲡᲘᲡ ᲦᲘᲝᲜᲘᲡᲘᲡ

ᲡᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝ ᲒᲖᲔᲑᲘ

მსოფლიო საეკლესიო საბჭოს მორიგი კონსულტაცია კიევში

ამა წლის ივნისში, კიევში, მსოფლიო საეკლესიო საბჭოს მორიგ კონსულტაციაზე, მსოფლიოს 17 ქვეყნის 80 წარმომადგენელი შეიკრიბა.

კონსულტაციის თემა იყო: ცხოვრების სრულყოფილი განვითარებისათვის ზრუნვა; მართლმადიდებლური დამოკიდებულება მისდამი.

კონსულტაციის მიზანი: ამ საკითხის შესახებ საერთო მართლმადიდებლური შეხედულების შემუშავება და მისი წარდგენა VI გენერალური ასამბლეისადმი, რომელიც 1983 წელს გაიმართება კანადაში, ვანკუვერში.

საქართველოდან კონსულტაციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ორმა დელეგატმა: ჭყონდიდელმა მთავარეპისკოპოსმა იოანემ და თბილისის წმიდა ბარბარეს (ზემო) ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა ელგუჯა ლოსაბერიძემ.

თემა განიხილებოდა სამ ასპექტში:

1. ცხოვრების განვითარების ღვთისმეტყველური გაგება. 2. ეკლესიის მიკროდიაკონია მისი ფართო მნიშვნელობით, 3. მიკრო და მაკრო დიაკონია ადგილობრივ ოჯახურ, სამრევლო, საზოგადოებრივ, სახელმწიფო და საერთაშორისო სარბიელზე.

კონსულტაციაზე საპატიო ადგილი დაეთმო მსოფლიოს ნშვიდობის საკითხს, თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობას.

მუშაობის დამთავრების შემდეგ უმანის მთავარეპისკოპოსმა მაკარმა კიევისა და გალიციის მიტროპოლიტის, უკრაინის ეგზარქოს ფილარეტის სახელით კონსულტაციის მონაწილეთათვის მოაწყო დიდი საზეიმო საღამო, რომელსაც, რელიგიის წარმომადგენლებთან ერთად, დაესწრნენ უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს მუშაკები, სწავლულნი, საზოგადო მოღვაწენი, პრესის წარმომადგენლები.

კონსულტაციის მონაწილეებმა დაათვალიერეს ქალაქი კიევი და მისი შემოგარენი, მოილოცეს ეკლესია-მონასტრები.

კონსულტაციის მონაწილე სხვადასხვა ქვეყნის, პოლიტიკური წყობის ქრისტეს აღმსარებელთა ორი შტოს — ქალკედონელთა და არაქალკედონელთა წარმომადგენლები ამ შეხვედრებზე ერთნაირი მოწადინებით ეძიებდნენ გზებს ცხოვრების სისრულის, ადამიანთა კეთილდღეობისა და ეკლესიის თითოეული წევრის მოყვასისადმი სამსახურში მოღვაწეობის უკეთესად წარმართვისათვის.

ბერძენი სასულიერო პირნი საქართველოში

29 მაისს (11 ივნისი) საქართველოს ეკლესიას მეგობრული ვიზიტით ეწვივნენ ბერძენი სასულიერო პირნი: მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, კიპროსის მიტროპოლიტი ბარნაბა (ჯორჯატოსი), მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, ნიკოპოლისა და პრევეზის მიტროპოლიტი მელეტიოსი (კალამარასი) და მისი კურთხევა ნიკოლაოსი (იოანიდისი).

სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, მოილოცეს მამა დავითის ეკლესია, დიდუბის ღვთისმშობლისა და ალ. ნეველის სახელობის ტაძრები. დიდად კმაყოფილნი დარჩნენ წმიდა ქალაქ-მუზეუმის მცხეთის ხილვით.

30 მაისს (12 ივნისი) მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა **ილია II** ბერძენი სტუმრები თავის რეზიდენციაში მიიღო. გულთბილი მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ გაიმართა საინტერესო საუბარი, რომელიც ეხებოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარსულს, აწმყოსა და მომავალს; ორ ძმურ ეკლესიას შორის მეგობრულ ურთიერთობას.

საღამოს სიონის საკათედრო ტაძარში შედგა ერთობლივი საზეიმო ლოცვა, რომელსაც უამრავი მრევლი დაესწრო.

31 მაისს (13 ივნისი) თბილისის წმ. გიორგის სახელობის ქვაშვეთის ტაძარში შედგა საღმრთო-სადღესასწაულო ლიტურგია. მისმა უწმიდესობამ. წმ. სინოდის გადაწყვეტილებით, წმ. გიორგის I ხარისხის ორდენებით დააჯილდოვა მიტროპოლიტები ბარნაბა და მელეტიოსი და.სიტყვით მიმართა მაფ,

ბულგარეთის ავტოკეფალური ეკლესიის დელეგაცია ბულგარეთის პატრიარქ მაქსიმეს წინამძღოლობით საქართველოში

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და პატრიარქი მაქსიმე

2 (15) სექტემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოწვევით, საქართველოს ეკლესიას ეწვია ბულგარეთის ავტოკეფალური ეკლესიის დელეგაცია ბულგარეთის პატრიარქის მაქსიმეს წინამძღვრობით. მის უწმიდესობას, ბულგარეთის პატრიარქ მაქსიმეს ახლდნენ: მაღალყოვლადუსამღვდელოესი ფილარეტი — ვიდინის მიტროპოლიტი, მაღალყოვლადუსამღვდელოესი კალინიკე — ვრაჩანის მიტროპოლიტი, ყოვლადუსამღვდელოესი ილარიონი—ტროიანოპოლის ეპისკოპოსი, მაღალღირსი არქიმანდრიტი ნეოფიტე — მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელი, ღირსი არქიმანდრიტი კირილე — ბულგარეთის მუდმივი წარმომადგენელი მოსკოვში, უწმიდეს მაქსიმეს პირადი ექიმი ბ-ნი ილია ათანასოვი.

დელეგაციას თბილისის აეროდრომზე დახვდნენ: უწმიდესი და უნეტარესი **ილია II,** ალავერდელი მიტროპოლიტი გრიგოლი, ქუთათელ-გენათელი მიტროპოლიტი ნიკოლოზი, ურბნელი მთავარეპისკოპოსი და ქორეპისკოპოსი კონსტანტინე, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი იოანე, არქიმანდრიტი სოკრატი. დეკანოზები: გიორგი პილგუევი, ელგუჯა ლოსაბერიძე, ზურაბ სირაძე, პროტოდიაკონი ღვთისო შალიკაშვილი, საპატრიარქოს რეფერენტი ნიკა მჭედლიშვილი.

სტუმრები დაბინავდნენ სასტუმრო „აჭარაში“. მათ იმავე დღეს ეწვივნენ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა რწმუნებული საქართველოს სს რესპუბლიკაში გ. მაისურაძე და მისი მოადგილე თ. ტატიშვილი. ქუთათელ-გენათელმა მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა სტუმრებს ქალაქის ღირსშესანიშნაობების დათვალიერება შესთავაზა. უწმიდესი მაქსიმე აღტაცებული დარჩა ქალაქის ახლადრეკონსტრუირებული ძველი უბნებით (იგი თბილისში ადრეც ბრძანდებოდა).

3 (16) სექტემბერს ბულგარეთის ეკლესიის დელეგაცია, უწმიდესი ილია II მეთაურობით, გაემგზავრა ქ. ბორჯომში. დელეგაციას ახლდნენ: ქუთათელ-გენათელი მიტროპოლიტი ნიკოლოზი, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი იოანე, არქიმანდრიტი სოკრატი, დეკანოზები: ზურაბ სირაძე, გიორგი პილგუევი, ელგუჯა ლოსაბერიძე, დიაკონი ნუგზარ მჭედლიშვილი, საპატრიარქოს თანამშრომლები: ნოდარ შიოლაშვილი და ნიკა მჭედლიშვილი, აგრეთვე, რწმუნებულის აპარატის თანამშრომელი ოთარ ჯაში.

დელეგაცია გზად წმიდა ქალაქ მცხეთაში შეჩერდა. გადაიღეს სამახსოვრო სურათები.

მცირე მოსვენების შემდეგ, ბორჯომის სასტუმროს საპანკეტო დარბაზში გაიმართა საზეიმო შეხვედრა. პატრიარქებმა აღნიშნეს ორი ავტოკეფალური ეკლესიის ძმური თანამშრომლობა. ისაუბრეს თანამედროვეობის მტკივნეულ პრობლემებზე. სიყვარული, სათნოება და ღვთისმოშიშობა უსურვეს ჩვენი პლანეტის მცხოვრებთ. ეწვივნენ ლიკანს, სადაც აღმართულია ბულგარელი ხალხის საამაყო შვილის გიორგი დიმიტროვის ძეგლი.

მეორე დღეს დელეგაცია თბილისში დაბრუნდა. გზად შეჩერდა ქ. გორში, დაათვალიერა ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი.

სტუმრები თბილისის სახელმწიფო ფილარმონიაში დაესწრნენ ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტს.

ამავე დღეს, საღამოს 8 საათზე, ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია მწერალთა სახლში მიიწვია საქართველოს საზღვარგარეთთან კულტურულ ურთიერთობათა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ ქ-მა მადონა მგელაძემ. საღამოს ესწრებოდნენ: საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ნ. დუმბაძე, მდივნები: გ. ციციშვილი და ჯ. ჩარკვიანი, პოეტი რ. მარგიანი, მთარგმნელი დ. კახაბერი, მწერალი ნ. კანდელაკი, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის დროს ბულგარეთში უბრძოლია, ჟურნალისტი ა. კარბელაშვილი, რომელიც ამჟამად მუშაობს ფილმის სცენარზე — გ. დიმიტროვი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსი ი. ციციშვილი და ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორი შ. ყავლაშვილი.

სიტყვებით გამოვიდნენ: მისი უწმიდესობა, პატრიარქი **მაქსიმე**, ქუთათელ-გენათელი მიტროპოლიტი ნიკოლოზი, მწერლები ნ. დუმბაძე და გ. ციციშვილი.

5 (18) სექტემბერს სტუმრებმა დაათვალიერეს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის განძთსაცავი.

იმავე დღეს უწმიდესმა და უნეტარესმა **ილია II** თავის რეზიდენციაში მიიწვია უწმიდესი პატრიარქი მაქსიმე და მისი თანმხლები სამღვდელო პირნი.

დელეგაცია მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა რწმუნებულმა საქართველოს სს რესპუბლიკაში გ. მაისურაძემ.

18 საათზე სიონის საკათედრო ტაძარში შედგა ერთობლივი ლოცვა.

მეორე დღეს კი სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში ორმა პარტიარქმა შეასრულა საღმრთო-სადღესასწაულო ლიტურგია. უწმიდესმა და უნეტარესმა კათოლიკოს-პატრიარქმა **ილია** II წაიკითხა საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინება იმის შესახებ, რომ ბულგარეთის პატრიარქი **მაქსიმე** ორი ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის დამეგობრებისა და სიყვარულის განმტკიცებისათვის დაჯილდოვდა წმ. ნინოს პირველი ხარისხის ორდენით.

უწმიდესმა მაქსიმემ დიდი მადლობა გადაიხადა მაღალი ჯილდოსთვის და, თავის მხრივ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს გადასცა წმ. ნინოს ფერწერული ხატი.

კათოლიკოს-პატრიარქ **ილია** II სიტყვა
წარმოთქმული სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში

თქვენო უწმიდესობავ, ქრისტესმიერ საყვარელო ძმაო, ბულგარეთის პატრიარქო **მაქსიმე**.

მაღალღირსნო მღვდელმთავარნო, ძვირფასო სტუმრებო!

ჩემთვის დიდი პატივია მოგესალმოთ თქვენ საქართველოს წმიდა სინოდისა და პირადად ჩემი სახელით, როგორც ერთმორწმუნე ძმებსა და მოძმე ბულგარელი ხალხის წარმომადგენლებს. ქართული ეკლესია, ისე როგორც მთელი ქართველი ერი, ყოველთვის ცხოველ ინტერესს იჩენდა თქვენი სულიერი კულტურისა და ეკლესიისადმი. ჩვენ მუდამ საუკეთესო გრძნობით ვიყავით და დღესაც ასევე ვართ დაკავშირებულნი ბულგარელი ხალხისადმი. ყოველივე ეს, უპირველეს ყოვლისა, ისტორიულად ერთი საერთო რწმენიდან მომდინარეობდა. ჩვენ მტრებიც საერთო გვყავდა. საუკუნეთა მანძილზე იცავდნენ თავს ჩვენი ქვეყნები როგორც ბიზანტიის, ასევე თურქეთის შემოსევებისაგან. ერთნაირი იყო ჩვენი ისტორიული ბედი.

ბულგარეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე მუშაობის პროცესში ჩვენი მეცნიერები ლიტერატურისა და, საერთოდ, კულტურის სფეროში ძალზე საინტერესო წყაროებს პოულობენ. ამ წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ ძალიან ხშირად ჩვენი ქვეყნები ეთნოგრაფიული ყოფითა და არქიტექტურითაც ჰგვანან ერთმანეთს. ეს, ჩვენი აზრით, შემთხვევითი არ არის. იგი ჩვენი ხალხების ახლო ურთიერთობების ანარეკლია.

როდესაც ბულგარეთ-საქართველოს ურთიერთობაზე ვლაპარაკობთ, არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ სულიერი ამაღლებულობის უმშვენიერესი ნიმუში — პეტრიწონის, ანუ როგორც მას ბულგარელები უწოდებენ — ბოჩკოვოს მონასტერი, რომლის დამაარსებლები ქართველი ტაოელი ძმები გრიგოლ და აბაზ ბაკურიანები არიან.

ამ ტაძარს დღესაც ამშვენებს XI საუკუნის ჯვარი, რომელზედაც ძველი ქართული ასომთავრული წარწერა **„ძლევაჲ“** იკითხება, გამარჯვების აი ამ იმედით ცხოვრობდნენ ბულგარელები და ქართველები მუდამ, მაშინაც კი, როცა მათი ხვედრი წარმოუდგენლად მძიმე იყო. ის, რაც ჩვენს ხალხებს საუკუნეთა მანძილზე უთანასწორო ბრძოლაში აძლევდა ძალას, იყო ღვთის მტკიცე რწმენა და საშშობლოს განუსაზღვრელი სიყვარული. ამ ორმა ფაქტორმა გადაგვარჩინა ჩვენ, შეგვინარჩუნა სამშობლო, კულტურა, დამწერლობა, ენა და ყოველივე ის, რითაც დღეს ვამაყობთ, ქრისტეს რწმენა იყო და იქნება ჩვენი ხალხებისათვის ერთადერთი ნამდვილი და საიმედო საყრდენი. მძიმე და რთულია ეს გზა, მაგრამ მასშია ხსნა. ქრისტეს გზა—

ეს არა მარტო გოლგოთაა, არამედ აღდგომა და ამაღლება. ჩვენ ვცხოვრობთ რთულ ეპოქაში. ერთი მხრივ, მოწმენი ვართ დიდი სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისა, რაც უსათუოდ, ხელს უწყობს მატერიალური დონის ამაღლებას, მაგრამ, მეორე მხრივ, შესამჩნევად ქვეითდება ადამიანის ზნეობრივი გამოხატულების კრიტერიუმი. ეს განსაკუთრებით მტკივნეულად ოჯახისა და, საერთოდ, ადამიანებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესუსტებით ვლინდება. ეკლესიას ასეთ შემთხვევაში დიდი მისია აკისრია.

კმაყოფილებით აღვნიშნავთ იმ პოზიტიურ და ძმურ თანამშრომლობას, რომელსაც ჩვენი ეკლესიები ეწევიან მართლმადიდებლობათაშორისო ურთიერთობის ფარგლებში.

ჩვენ ყველანი ვგრძნობთ უდიდეს პასუხისმგებლობას მშვიდობის შენარჩუნებისათვის ზრუნვის საქმეში. დღეს ყველა და, ცხადია, ეკლესიაც დაინტერესებულია ამ უმნიშვნელოვანესი საკითხით, უნდა გადარჩეს სიცოცხლე დედამიწაზე.

სულ უფრო და უფრო ფართოვდება ომის საწინააღმდეგო მოძრაობები ჩვენს პლანეტაზე. ადამიანები სამართლიანად იმაღლებენ ხმას ბირთვული კატასტროფის წინააღმდეგ. ისინი მოითხოვენ ქვეყნად ყველაზე ძვირფასის — სიცოცხლის შენარჩუნებას.

გვჯერა, რომ მშვიდობის საქმე გაიმარჯვებს და სიკეთე იზეიმებს ქვეყნად.

თქვენო უწმიდესობავ!

ჩვენ ძალზე გაგვახარა თქვენმა ჩამობრძანებამ საქართველოში, აქ თქვენ კარგად გიცნობენ და უყვარხართ. კიდევ ერთხელ მოგესალმებით თქვენ და თქვენს თანმხლებ პირებს ჩვენი ეკლესიის სახელით. აღვავლენთ ლოცვებს თქვენთვის, თქვენი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის... კვლავ ძლიერებასა და ღვთიური მადლის სისავსეს ვუსურვებ ბულგარეთის ეკლესიას.

ჩემი მისალმება მინდა დავასრულო პავლე მოციქულის სიტყვებით

„აწ უკუე მშჯდობასა შეუდგეთ და აღშენებასა ურთიერთას“ (რომ. 14.19).

ბულგარეთის პატრიარქ მ ა ქ ს ი მ ე ს სიტყვა წარმოთქმული სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში

თქვენო უწმიდესობავ!

ქრისტესმიერ საყვარელო ძმაო, ბატონო ილია!

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესნო და ყოვლადუსამღვდელოესნო, ყოვლად პატიოსანო მამანო, ძმანო და დანო!

ჩემთვის და ჩემს მხლებელთათვის დიდი პატივია თქვენს უძველეს და მშვენიერ ქვეყანაში ჩამოსვლა. ამიტომაც განსაკუთრებული სიხარულით აღგვავსო თქვენმა მოწვევამ. მოკრძალებით ვხრით თავს საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სამოციქულო ეკლესიისა და მისი სიწმიდეების წინაშე.

მე პირადად დიდად მოხარული ვარ, ხელმეორედ რომ მხვდა წილად საქართველოში ჩამოსვლის ბედნიერება.

პატარა, მაგრამ ლამაზია ჩვენი ქვეყანა, ისევე როგორც საქართველო. მისი ისტორიაც უძველეს საუკუნეებში იწყება. ისევე მაღალი და ანგარიშგასაწევია მისი კულტურა, როგორც საქართველოსი. ცამეტი საუკუნის წინ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შეიქმნა ბულგარეთის სახელმწიფო. მას შემდეგ ბევრი სიძნელე გამოიარა ბულგარელმა ხალხმა, მაგრამ მან შეძლო თავისი სახელი მსოფლიო კულტურის მატიანეში ჩაეწერა. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ეკლესიით, წმიდანებით, რომლებიც ამ ეკლესიას ჰყავს. წმიდა კირილესა და მეთოდეს, აგრეთვე, მის მოწაფეთა სახელებით, რომელთაც შექმნეს, განამტკიცეს, განავრცეს სლავური დამწერლობა არა მარტო ბულგარეთში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც.

უკვე თერთმეტი საუკუნეა, ბულგარეთის ეკლესიას ღირსეული ადგილი უჭირავს თავისი ქვეყნის ისტორიაში. ბევრმა მოწამემ გაანათა მისი ცა თავისი სიწმიდითა და სამშობლოსადმი თავდადებით. გადმოგცემთ ბულგარეთის მართმადიდებელი ეკლესიის, მისი წმიდანებისა და მოამაგეების ლოცვა-კურთხევას.

ბევრი რამ აქვთ საერთო ქართველ და ბულგარელ ხალხებს. უპირველეს ყოვლისა კი, მათ აერთიანებთ ერთი რწმენა და ისტორიული ბედი, შავი ზღვის ტალღები უალერსებენ ორივე ქვეყნის სანაპიროებს. სიკეთის მაუწყებელ, ერთმანეთთან დამაკავშირებელ ერთ მაღალ სიწმიდედ ბულგარეთში ბოჩკოვოს მონასტერი დგას, რომელიც ქალაქ პლოვდივოს მახლობლად XI საუკუნეში ძმებმა გრიგოლ და აბაზ ბაკურიანებმა ააშენეს, რომლებიც იქ ბიზანტიის სამხედრო სამსახურში იმყოფებოდნენ. ბოჩკოვოს მონასტერში ინახება და თაყვანისიცემება საქართველოდან ჩამოტანილი წმ. ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი XII საუკუნისა.

ბულგარეთის პატრიარქი მ ა ქ ს ი მ ე
საქართველოს მწერალთა კავშირში. მარცხნივ—
მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე
ნოდარ დუმბაძე, მარჯვნივ — მწერალთა
კავშირის გამგეობის მდივანი გიორგი
ციციშვილი

ჩვენს ეკლესიათა შორის მეგობრული კავშირი განსაკუთრებით გაღრმავდა ბოლო ხანებში, რასაც უსათუოდ უწყობს ხელს დელეგაციათა ვიზიტები, შეხვედრები და საქმიანი კონტაქტები.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ერთ-ერთი ყველაზე უძველესი ეკლესიაა მსოფლიოში. ქრისტიანობის ნათელს ქართველი ერი პირველსავე საუკუნეებში ეზიარა, ქართული მართლმადიდებლობა თავისი ხალხისათვის მფარველ დედად იქცა... სწორედ ქრისტიანობამ გადაარჩინა იგი. ქრისტიანობამ აღაზევა მასში შემოქმედი სული და ქართველმა ერმა თავისი დიდი ნიჭიერებით არაერთი საგულისხმო ფურცელი ჩაწერა მსოფლიო კულტურის ისტორიაში. ჩვენ ვეთაყვანებით საქართველოს ეკლესიის დიდ წარსულს, სულითა და გულით ვხარობთ მისი დღევანდელი კეთილდღეობით.

თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით, თქვენო უწმიდესობავ, საქართველოს ეკლესია კარგადაა ორგანიზებული და იგი შესანიშნავად ასრულებს თავის მისიას... მთელის მოწადინებით ცდილობს ეკლესიათა შორის ძმური კონტაქტების აღორძინებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

თქვენ, თქვენო უწმიდესობავ, ღირსეული მემკვიდრე ბრძანდებით საქართველოს უძველესი ეკლესიის საპატრიარქოს ტახტის თანავარსკვლავედისა. ამიტომაც გერგოთ პატივი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ერთ-ერთ პრეზიდენტად არჩევისა. დაუფასებელია თქვენი ღვაწლი ეკუმენიზმის განვითარების საქმეში, რაც მყარ საფუძვლად უდევს ქვეყნად სანუკვარ მშვიდობას.

ჩვენ ვცხოვრობთ შფოთისა და მოუსვენრობის ეპოქაში. ბირთვული ომის საშიშროება დასტრიალებს თავს ჩვენს პლანეტას. მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებთან ერთად ამ საქმეში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი, ცხადია, ეკლესიამაც უნდა შეიტანოს. თქვენ ეს ძალიან კარგად იცით და ამიტომ ძალღონეს არ ზოგავთ. თქვენ მშვიდობის მოუღლელი ქომაგი ბრძანდებით.

კიდევ ერთხელ გულითად მადლობას მოგახსენებთ გულთბილი, სიკეთით სავსე მიღებისათვის. ჩვენთვის დიდი პატივი იყო სვეტიცხოვლის ამ უძველეს ტაძარში საღმრთო სადღესასწაულო ლიტურგიაში თქვენთან ერთად მონაწილეობა. ღმერთმა დალოცოს ჩვენი ეკლესიები და ხალხები... მუდამ ყოფილიყოს ჩვენთან მშვიდობა.

ქართული ეკლესიის დელეგაცია სომხეთში

12 (25) სექტემბერს უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად **საქართველოს** კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს **პრეზიდენტი ილია II,** ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსის, უწმიდეს **ვაზგენ I** მიწვევით ეჩმიაძინს გაემგზავრა. ვიზიტის მიზანი უწმიდესი ვაზგენის აღსაყდრების 27-ე წლისთავი იყო.

მის უწმიდესობას ახლდნენ: ურბნელი მთავარეპისკოპოსი **კონსტანტინე** (მელიქიძე), აგარაკ-წალკელი ეპისკოპოსი ვახტანგი (ახვლედიანი), დეკანოზი ზურაბ სირაძე, იღუმენი კალისტრატე (მარგალიტაშვილი).

აეროდრომზე მის უწმიდესობას დახვდნენ: უწმიდესი **ვაზგენ I,** პატრიარქ-კათოლიკოსის ქორეპისკოპოსი, მიტროპოლიტი არსენი (ბერბერიანი), მღვდელმთავარნი და ეჩმიაძინის საპატრიარქოს თანამშრომლები.

კვირას ეჩმიაძინის საკათედრო ტაძარში საღმრთოსადღესასწაულო ლიტურღია აღასრულეს ყოველთა სომეხთა უმაღლესმა პატრიარქ-კათოლიკოსმა უწმიდესმა **ვაზგენ I,** უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა **ილია II,** ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქმა, უნეტარესმა **იგნატიოს ზაქა I ივასმა,** სომხეთისა და სტუმრად ჩამოსულმა სამღვდელოებამ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II სიტყვა, წარმოთქმული ეჩმიაძინში 13(26) სექტემბერს

თქვენო უწმიდესობავ, ქრისტესმიერ საყვარელო ძმაო, ყოველთა სომეხთა უმაღლესო პატრიარქ-კათოლიკოსო, ბატონო ვაზგენ!

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ძმანო და დანო!

ჩემი მოსალმება მინდა დავიწყო დავით წინასწარმეტყველის სიტყვებით: „დიდ არს უფალი და ქებულ ფრიად, და სიდიდისა მისისა არა არს დასასრულ“ (ფს. 144,3).

ჭეშმარიტად დიდია უფალი, დიდია და ადამიანის ენით გამოუთქმელია სასწაულნი მისნი, რომელნიც საუკუნეების მანძილზე გამოვლინდა ჩვენ ზედა. ვინ იყო ჩვენი მფარველი და მხსნელი იმ დროს, როცა ფიზიკურად ძლიერი მტერი

ეჩმიაძინში

ებრძოდა ჩვენს ხალხებს და სურდა მოსპობა, სურდა ცეცხლითა და მახვილით ქრისტეს სჯულის აღმოფხვრა და განადგურება? უფალი — ძლიერი სასო ჩვენი და მწყალობელი ჩვენი!

როგორ შეძლეს ქართველმა და სომეხმა ერებმა ასეთი სასტიკი ბრძოლების დროს შეექმნათ უბადლო კულტურის ძეგლები, აეშენებინათ ურიცხვი ტაძარი და მონასტერი, შეექმნათ მსოფლიოში ცნობილი ლიტერატურული ნაწარმოებები... პასუხი მხოლოდ ერთია: ღვთის შეწევნა და ხალხის გენია შეერწყა ერთმანეთს და გამოიღო საოცარი ნაყოფი.

როგორც ვიცით, ურთიერთობა ქართველებსა და სომხებს შორის მრავალსაუკუნოვანი, ნაყოფიერი და საინტერესოა. ერთი რამ იყო დამახასიათებელი ჩვენი ქვეყნებისათვის: როცა უჭირდა სომხეთს, უჭირდა საქართველოსაც, როცა ძლიერი იყო საქართველო, მშვიდობიანად იყო სომხეთი.

თუ გადავავლებთ თვალს ჩვენს წარსულს, ვნახავთ, რომ როგორც ქართველებში, ისე სომხებში ბევრნი იყვნენ ისეთები, რომელთაც კარგად ესმოდათ მეგობრობის მნიშვნელობა და ხელს უწყობდნენ კულტურულ ურთიერთობას ჩვენს შორის. მომავალშიც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ღრმად შევისწავლოთ ერთმანეთის ისტორია, ტრადიციები, ხელოვნება, ლიტერატურა... ჩვენს ეკლესიებს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამ საკითხების გადაჭრაში.

დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ დღეს მეტად ნაყოფიერია ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში, ევროპის ეკლესიათა და ქრისტიანულ სამშვიდობო კონფერენციებში. ის პრობლემები, რომელიც არსებობს მსოფლიოში, აწუხებს ჩვენს ეკლესიებსაც; დამეთანხმებით, ყველაზე აქტუალური არის მშვიდობის შენარჩუნება. ჩვენი ეკლესიები აქტიურად მონაწილეობენ ყველა სამშვიდობო კონფერენციასა და ფორუმზე; და თქვენ, თქვენო უწმიდესობავ, ქრისტიანულ სამყაროში ბრძანდებით ერთ-ერთი აქტიური მოღვაწე მშვიდობის დაცვის სარბიელზე. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ რომ, ღვთის შეწევნით, დადგება ის კურთხეული დრო, რომელზეც წინასწარმეტყველებდა წმიდა ისაია: „და დასჭრიდნენ მახვილებსა მათსა სახნისად და ხმლებსა მათსა ნამგლად და არა აღიღოს ნათესავმან ნათესავსა ზედა მახვილი; და არღა ისწავებდნენ მერმე ბრძოლასა“ 66 (ისაია, 2,4).

თქვენო უწმიდესობავ, გულითადად მოგესალმებით საქართველოს ეკლესიის სახელით. გილოცავთ თქვენი აღსაყდრების 27-ე წლისთავს. ვუყურებთ თქვენს ეკლესიას და ვხედავთ: ყველაფერში ჩანს თქვენი მზრუნველი ხელი; ღმერთმა დაგაჯილდოვათ დიდი სულიერი და ფიზიკური ენერგიით; შევთხოვთ უფალს, დიდხანს არ მოჰკლებოდეს სომხეთის ეკლესიას თქვენი მზრუნველობა. ნიშნად დიდი პატივისცემისა და ძმური სიყვარულისა, მოგართმევთ ხატს, სადაც საქართველოსა და სომხეთის ბუნებასა და ტაძრებთან ერთად გამოსახულნი არიან ჩვენი ორი ეკლესიის წმიდანები: **წმიდა ნინო, წმიდა რიფსიმე და წმიდა გაიანე.**

ღმერთმა დალოცოს ჩვენი ერები და ჩვენი სამოციქულო ეკლესიები. ამინ!



ეკუმენური ურთიერთობანი

მოსკოვში შედგა ეკუმენური სემინარი. იგი მიეძღვნა ვანკუვერის მე-6 ასამბლეას, რომელიც გაიხსნება 1983 წლის 11 (24) ივლისს კანადაში, ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტში.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი დავითი (ჭკადუა), ნიკორწმიდელი ეპისკოპოსი ამბროსი (ქათამაძე), ახალციხელი ეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე), აგარაკ-წალკელი ეპისკოპოსი ვახტანგი (ახვლედიანი), სიონის საკათედრო ტაძრის პროტოპრესვიტერი გურამ შალამბერიძე და საპატრიარქოს ინგლისური ენის თარჯიმანი დოდო ველიაშვილი.

სემინარი გახსნა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო საქმეთა თავმჯდომარემ, მინსკისა და ბელორუსიის მიტროპოლიტმა ფილარეტმა.

სიტყვებით გამოვიდნენ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში, პროტოპრესვიტერი ვიტალი ბოროვოი თემაზე — „ეკუმენიზმის ისტორიის მოკლე მიმოხილვა და ეკუმენური მოძრაობის პრობლემატიკა". უმანის მთავარეპისკოპოსი მაკარი — „ეკლესიათაშორისო კომისიის მოღვაწეობა", არქიმანდრიტი ავგუსტინე — „ავღანეთის ლტოლვილები", მღვდელი გენადი იაბლონსკი — „რასიზმთან ბრძოლა", პროფესორი, დეკანოზი ნიკოლოზ გუნდიევი — „რწმენა და საეკლესიო წყობა".

სემინარის მუშაობა შეაჯამა ვიბორგელმა მთავარეპისკოპოსმა, ლენინგრადის სასულიერო აკადემიის რექტორმა კირილემ. მან მადლობა გადაუხადა სემინარის მონაწილეებს და იმედი გამოთქვა ვანკუვერის მე-6 ასამბლეის მაღალ დონეზე ჩატარებისა.

24 მაისს (5 ივნ.) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მიიღო საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბეჭდვით განყოფილებასთან მოსკოვში აკრედიტებული უცხოელი კორესპონდენტების ჯგუფი.

გულთბილი მისალმების შემდეგ მისმა უწმიდესობამ უცხოელ სტუმრებს წარუდგინა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. სინოდის წევრები: ურბნელი მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე) და ნიკორწმიდელი ეპისკოპოსი ამბროსი (ქათამაძე).

მისი უწმიდესობა სტუმრებს ვრცლად ესაუბრა საქართველოს ეკლესიის წარსულზე, მის დღევანდელობაზე; აღნიშნა, რომ ჩვენთან იესო ქრისტეს მოძღვრება იქადაგეს I საუკუნეში მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა, რომ ეს უკანასკნელი აქვე, ბეჭვინთაშია განსვენებული. სტუმრებს მოუთხრო ქრისტეს კვართის განსასვენებელზე, რომელზედაც ამჟამად სვეტიცხოვლის დიდი ტაძარია აღმართული, იმაზე, რომ საქართველო წმ. დედა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა.

სტუმრებმა დასვეს შემდეგი კითხვები: რამდენი მრევლი ჰყავს ქართულ ეკლესიას, ხდება თუ არა ნათლობისა და ჯვრისწერის რეგისტრაცია, ბოლოს როდის დაიბეჭდა „ახალი აღთქმა", რა როლს თამაშობს ათეისტური პროპაგანდა?

მისმა უწმიდესობამ კითხვებს თანმიმდევრულად უპასუხა: რომ მრევლის აღწერა ჩვენთან არ ხდება, არც ნათლობისა და ჯვრისწერის რეგისტრირება, რომ ბოლოს „ახალი აღთქმა" გამოიცა 1963 წელს, უწმიდეს ეფრემ II მიერ, რომ ათეისტური პროპაგანდა, რა თქმა უნდა, არასებობს, მაგრამ ჩვენ კონსტიტუციით გვაქვს რელიგიის თავისუფლების, წირვა-ლოცვისა და ქადაგების უფლებაო.

— ეკუმენიზმზე რას ბრძანებთ?

მისმა უწმიდესობამ უპასუხა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წევრია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსი და მისი ერთ-ერთი პრეზიდენტი მეც გახლავართო.

— ზ. ა. პატარიძის დაკრძალვაში მიიღო თუ არა მონაწილეობა ეკლესიამ?

მისმა უწმიდესობამ აუწყა, რომ სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა რესპუბლიკის მთავრობას, ოჯახს კი პირადად მიუსამძიმრა.

— თქვენი ბიოგრაფია?

მან სტუმრებს უთხრა, რომ მომავალ წელს უსრულდება 50 წელი, რომ დამთავრებული აქვს მოსკოვის სემინარია, შემდეგ აკადემია, უმუშავია საკანდიდატო ნაშრომებზე ბიზანტოლოგიაში, ივერთა მონასტრების საკითხებზე, როგორიცაა მაგ., ჯვრის მონასტერი იერუსალიმში, ივირონის მონასტერი ათონის მთაზე, ბოჩკოვო-პეტრიწონის მონასტერი ბულგარეთში და სხვ.

დასასრულს, მისმა უწმიდესობამ სტუმრებს საჩუქრად გადასცა ანსამბლ „რუსთავის" ფირფიტები, დალოცა და შეახსენა მათი დიდი ვალი მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

* * *

28 აგვისტოს (10 სექტ.) საქართველოს ქორეპისკოპოსმა, მთავარეპისკოპოსმა კონსტანტინემ (მელიქიძე) და ეპისკოპოსმა ვახტანგმა (ახვლედიანი) მიიღეს იაპონური გაზეთის „იომიურის" კორესპონდენტები: საზღვარგარეთის საინფორმაციო განყოფილების უფროსი ბ-ნი კ. არაიიასაბურო და ამავე გაზეთის ახალი ამბების რეპორტიორი ბ-ნი სეტსუკო კიტამურა.

სტუმრებს აინტერესებდათ მორწმუნეთა, ეკლესიათა, მოქმედ ტაძართა და მღვდელმსახურთა რაოდენობა, ასევე, სარესტავრაციო სამუშაოები, ქართული ეკლესიები საზღვარგარეთ.

ქართველმა მღვდელმთავრებმა ყველა კითხვაზე უპასუხეს.

სტუმრები კმაყოფილები დარჩნენ გულთბილი მიღებითა და გულწრფელი საუბრით.

* * *

25 ივლისს (7 აგვ.) მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ, ქუთათელ-გენათელმა მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა (მახარაძე) მიიღო მოსკოვში აკრედიტებულ ამერიკელ სპეკორესპონდენტთა ჯგუფი: სერგ შმემანი — გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმს"-ის სპეკორესპონდენტი, რობერტ ჯილეტი გაზეთ „ლოს ანჟელეს ტაიმს"-ის სპეკორესპონდენტი, ენტონი ბაიბერი გაზეთ „ბალტიმორ სანდ"-ის სპეკორესპონდენტი.

სტუმრებს აინტერესებდათ საქართველოს ეკლესიის ისტორია, მისი აწმყო.

მაღალყოვლადუსამღვდელოესმა ნიკოლოზმა სტუმართა კითხვებს ამომწურავი პასუხები გასცა...

ეკლესიათა მსოფლიო
საბჭოს თანამშრომელთა
ჯგუფი საქართველოს
საპატრიარქოში

* * *

31 სექტემბერს (13 ოქტ.) საქართველოს ეკლესიას ეწვია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს თანამშრომელთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: დელეგაციის მეთაური — ეპისკოპოსი ლოის უილსონი (კანადა), ეპისკოპოსი აბდია დე ლა კრუზი (ფილიპინები), მღვდელი ჰენრი ასიფკე აჟეგა (კენია), მღვდელი ბარბელ ფონ ვარტენბერგი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა).

სტუმრებმა დათვალიერეს თბილისის ეკლესია-მონასტრები, იყვნენ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

მათ ვიზიტს საქართველოში დაემთხვა დიდი ქრისტიანული დღესასწაული — სვეტიცხოვლობა. 1 (14) ოქტომბერს საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში საღმრთო ლიტურგია აღასრულა უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა **ილია II**. მისი თანამწირველები იყვნენ: თეთრიწყაროელი მიტროპოლიტი ზინობი (მაჟუგა), ალავერდელი მიტროპოლიტი გრიგოლი (ცერცვაძე), ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი იოანე (ანანიაშვილი), მანგლელი მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი), ურბნელი მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე), ბოდბელი მთავარეპისკოპოსი ათანასე (ჩახვაშვილი).

ლიტურგიას, ჯვრის მონასტრის დათვალიერების შემდეგ, დაესწრნენ სტუმრებიც.

მისმა უწმიდესობამ მრევლს აუწყა მათი მობრძანება. ამავე დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ისინი თავის რეზიდენციაში მიიღო. საუბრის დროს **ილია II** სტუმრებს აუწყა იმ სამზადისის შესახებ, რომელიც მიმდინარეობს საქართველოს ეკლესიაში ვანკუვერის ასამბლეასთან დაკავშირებით. იმედი გამოთქვა, რომ ვანკუვერის ასამბლეა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ეკუმენური მოძრაობის გზაზე, რომ ასამბლეის დადგენილებები მისწვდება ფართო მასებს და დასძინა, საქართველოს ეკლესიიდან ვანკუვერის ასამბლეაზე გაემგზავრება შვიდი დელეგატი.

ეპისკოპოსმა აბდია დე ლა კრუზმა (ფილიპინები) მადლობა მოახსენა მის უწმიდესობას მიღებისათვის. ქალბატონმა ლოის უილსონმა (კანადა) აღნიშნა, რომ დიდი გულისხმიერებით მოეკიდება **უწმიდეს ილიას** აზრებს მომავალ ასამბლეასთან დაკავშირებით სტუმარმა დიდი კმაყოფილება გამოსთქვა გულთბილი მიღებისა და ყურადღებისათვის და აღნიშნა, თბილისი თავისი მრავალეროვანი მოსახლეობითა და სხვადასხვა რელიგიური მრწამსის ხალხთა ჰარმონიით სტუმართმოყვარეობისა და ეკუმენიზმის შესანიშნავი გამოხატულებააო.

ილია II სტუმრებს გააცნო საქართველოს ეკლესიის წარსული, ესაუბრა მის დღევანდელობასა და მომავლის პერსპექტივებზე. მხოლოდ წარსული დიდებით თავის მოწონება, ცხადია, უაზრობა იქნებოდა, ჩვენს ეკლესიას დღესაც თავისი წვლილი შეაქვს მსოფლიოს ისეთი აქტუალური საკითხებისადმი მხარდაჭერაში, როგორიცაა მშვიდობა და ეკუმენური მოძრაობაო, აღნიშნა მან.

საუბრის დასასრულს, მისმა უწმიდესობამ სტუმრებს გადასცა სამახსოვრო საჩუქრები.

* * *

13 (26) ოქტომბერს საქართველოს საპატრიარქოს სტუმრად ეწვივნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საარის მხარის ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარე ევანგელისტი რაინერ ტრაპმანი და მისი მოადგილე კათოლიკე მარტინ ბრიული.

სტუმრები მიიღეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსმა, ურბნელმა მთავარეპისკოპოსმა კონსტანტინემ (მელიქიძე) და აგარაკ-წალკელმა ეპისკოპოსმა ვახტანგმა (ახვლედიანი). მათ სტუმრებს გააცნეს ქართული ეკლესიის დღევანდელი მდგომარეობა, უპასუხეს კითხვებზე. სტუმრები დაინტერესდნენ მრევლის, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის რაოდენობით საღმრთო ლიტურგიის დროს და სხვ.

ხელთდასხმა

20 ივლისს (2 აგვ.), წმ. ილია წინასწარმეტყველის ხსენების დღეს, უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II სვეტიცხოვლის წმიდა ტრაპეზის წინ სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზი ბენიამინ ახვლედიანი აკურთხა აგარაკ-წალკის ეპისკოპოსად.

განგებითა ღვთისა წმიდა სინოდის არჩევითა და მღვდელმთავართა მიერ ხელთდასხმით მას ჩაჰბარდა მრევლი წალკის, მარნეულის, ბოლნისისა და დმანისისა. ეს ის მხარეა, სადაც IV—V საუკუნეებში ჰყვაოდა ქრისტიანობა და იყო რამდენიმე მღვდელმთავრის კათედრა. ეს არის საქართველოს კურთხეული მიწის ის ნაწილი, სადაც ყოველი კუთხე-კუნჭული მორწყულია ქართველი გმირებისა და მოწამეების სისხლით.

ქართველი ხალხის ეროვნული სიამაყეა ისეთი დიდებული ტაძრები, როგორიცაა ბოლნისის სიონი, დმანისის სიონი და სხვ. ეს ტაძრები უკვე კარგა ხანია ელოდება ჩვენს სითბოსა და მზრუნველობას.

დეკანოზი ბენიამინი, ერისკაცობაში ბადრი რუბენის ძე ახვლედიანი დაიბადა ცაგერის რაიონის სოფელ ლაცორიაში 1953 წლის 12 (25) ოქტომბერს. ეროვნებით ქართველი. უცოლშვილო. 1970 წელს დაამთავრა ქუთაისის პირველი საშუალო სკოლა. 1972—74 წლებში იმყოფებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. 1975 წელს შევიდა მცხეთის სასულიერო სემინარიაში. 1977 წელს უკვე სიონის ტაძრის დიაკონია. 1978 წელს ეკურთხა მღვდლად. 1980 წლის 2 (15) ოქტომბრიდან დეკანოზია. 1982 წლის 2 ივლისს (1 აგვ.) აღიკვეცა ბერად და აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში.

არქიმანდრიტ ვახტანგის (ახვლედიანი) სიტყვა

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქო, დიდო მეუფეო!

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მიტროპოლიტნო, მთავარეპისკოპოსნო და ეპისკოპოსნო, მამანო, ძმანო და დანო!

უსაზღვროა განგება ღვთისა და განუზომელია მოწყალება მისი. სწორედ ღვთის განგებითა და მოწყალებით ვდგავარ ამ წმიდა ტაძრის თაღებს ქვეშ და ვითხოვ ღვთისაგან — მომანიჭოს კეთილგონიერება ამ მეტად ამაღელვებელსა და, ამავე დროს, საზეიმო დღეს. რამეთუ გონება ჩემი ვერ პოულობს აზრს, რაოდენ დიდსა მსახურებასა მღვდელმთავრობისა მადლითა მომიწოდებს უფალი. მოვიდრეკ მუხლთა ჩემთა წინაშე უზენაესისა და თაყვანს ვსცემ მის სახიერებას, მოწყალებასა და კაცთმოყვარეობას, რომელიც მომმადლა მაღალმა ღმერთმა თქვენის წმიდა ლოცვით, თქვენო უწმიდესობავ!

თავს ვხრი ჩვენი ეკლესიისა და ერის წინაშე, რომლის კეთილდღეობას უნდა ემსახუროს ჩემი სიმდაბლე — მოწოდებული დიდსა ამას გზაზე.

ავდივარ რა მღვდელმთავრის მეტად საპატიო ხარისხში, კარგად მესმის, რაოდენ რთულია გზა, რომელიც ამიერიდან უნდა განვვლო, ვემსახურო ქართულ ეკლესიას, რომელსაც 2000 წელია ქრისტეს გზით უვლია. ეს მე ბევრს მავალებს, შევძლებ თუ არა იმ ჯვარის ზიდვას,

უწმიდესი ილია II მღვდელმთავრის ხარისხში აღსვლას ულოცავს ახალ ეპისკოპოს ვახტანგს

რომელიც უფალმან მარგუნა? მე არ მაქვს უფლება, ვთქვა ვერა, ან კი. ერთიღა მანუგეშებს, უფალი იმოდენა ჯვარს აძლევს ადამიანს, რომლის ზიდვა მას შეეძლება. ასე გვასწავლის წმიდა ეკლესია და მე მორჩილ ვარ განგებულებასა ღმრთისასა.

საქართველოს ეკლესია ერთ-ერთი უძველესია მსოფლიო ქრისტიანულ ეკლესიათა შორის. ამ ხნის მანძილზე მან ბევრი დიდი ავბედობა გადაიტანა, მაგრამ ისევ დგას ერის სამსახურში. ეკლესია ხომ სულია ერისა, სული კი არს უფროს ხორცისა. ეკლესია მუდამ იცავდა ქრისტიანულ სიწმიდეს, ქართველი კაცის სულის სისპეტაკეს; ქართველი კაცისა, რომელიც არის ღვთივ ქრისტიანი და მოსიყვარულე.

საქართველოს ეკლესია ბოლომდე ინარჩუნებს მოციქულთა კანონებს, წმიდა მამათა სწავლებასა და მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებებს. ის მუდამ ერთგულად ემსახურებოდა და ემსახურება ღმერთსა და ქართველ ერს. არასდროს არ უღალატია მისთვის. როგორც ბრძანებს დიდი ილია: „ქრისტე ჯვარს ეცვა ყველასათვის და ქართველი ერი კი ჯვარს ეცვა ქრისტესათვის“.

გამოიწრთო ქართველი კაცის სულის გენია, როელმაც შექმნა და აღაშენა სვეტიცხოველი, სიონი, ალავერდი, იყალთოსა და გელათის აკადემიები და მრავალი წმიდათაწმიდა სალოცავი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. აქ იქმნებოდა მსოფლიო მნიშვნელობის კულტურის შედევრები. დიდმა რწმენამ და მამულისათვის თავდადებულმა სიყვარულმა მოგვცა 100000 ერთ დღეს მომწყდარი მოწამე... რა სული უნდა ყოფილიყო მათში... კაცობრიობის ისტორიაში, ალბათ, ცოტა ვინმეს ეყოლება იმდენი მოწამე, რამდენიც ჰყავს ქართველ ერს.



სწორედ ასეთმა რწმენამ და თავდადებამ მოგვიყვანა აქამდე, შეგვინარჩუნა ქართული სული, სისხლი და გაგება. ასეთი რწმენა გვესაჭიროება დღესაც. ღრმად მწამს და მჯერა, ერი და ეკლესია ერთად რომ არ ყოფილიყო, დღეს ჩვენც არ ვიარსებებდით.

ჩვენ უნდა ვიაროთ ქრისტეს გზით, მაშინ გველოდება აღდგომა და ამაღლება. ქრისტეს გზა არ თავდება გოლგოთით, არამედ აღდგომითა და ამაღლებით.

თქვენო უწმიდესობავ,

თქვენი ლოცვა-კურთხევით, მე შევთხოვ უფალს, მომანიჭოს კეთილგონიერება ჩემდამი ღვთივკურთხეული სამწყსოს კეთილი დამწყსვისა, როგორც არიგებს პავლე მოციქული ტიმოთეს: „საქმე ჰქმენ მახარებელისა, მსახურებაჲ შენი კეთილად აღასრულე“ (4 თავი, მუხლი 5).

დასასრულს, ამ საზეიმო დღეს, მთელი ჩემი არსებით, სასოებითა და კრძალვით შევსწირავ დიდ მადლობას წინაშე ღვთისა იმ დიდი მოწყალებისა გამო, რომელიც მომმადლა უფალმან. ვმადლობ თქვენს უწმიდესობასა და უნეტარესობას ესოდენ დიდი პატივისათვის.

„წყალობა შენი უფალო, თანა მავალ მეყავნ მე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა“.

შევთხოვ უფალს, რომ თქვენის ლოცვითა და შეწევნით, რწმენით, სულგრძელობით, სიყვარულითა და ერთგულებით, ქრისტეს გზითა და ღვთისმშობლის მფარველობით ვემსახურო მაღალ ღმერთსა და ჩვენს საყვარელ ქართველ ერს.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

25 ივლისს (7 აგვ.) კათოლიკოს-პატრიარქი, ახალი ეპისკოპოსის არჩევასთან დაკავშირებით, ეწვია აგარაკ-წალკის ეპარქიას. მას თან ახლდნენ ურბნელი მთავარ-ეპისკოპოსი კონსტანტინე და აგარაკ-წალკელი ეპისკოპოსი ვახტანგი; დეკანოზები: ელგუჯა ლოსაბერიძე, ზურაბ სირაძე, პროტოდიაკონი ღვთისო შალიკაშვილი; დიაკონები აკაკი მელიქიძე და ნუგზარ მჭედლიშვილი. დათვალიერეს ეპარქია. მოილოცეს წმ. გიორგის ეკლესია ბეშთაშენში. იმავე საღამოს მისმა უწმიდესობამ ილოცა წალკის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში. მეორე დღეს კი, იმავე ტაძარში, შესრულდა საღმრთო ლიტურღია. წირვა-ლოცვას უამრავი ადგილობრივი, ახლომახლო სოფლებიდან და თბილისიდან ჩამოსული მლოცველი დაესწრო...

წირვის შემდეგ მისმა უწმიდესობამ მრევლს წარუდგინა ახალი ეპისკოპოსი და დალოცა ისინი.

ახალი ეპისკოპოსი ვახტანგი ზეთს სცხებს მრევლს



წირვა სიონის საკათედრო ტაძარში

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

თადეოზი (იორამაშვილი)
მანგლელი მთავარეპისკოპოსი

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲜᲐᲗᲚᲘᲡᲛᲪᲔᲛᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ

დიდება შენდა, დიდებაო,
ნათელო ჭეშმარიტებაო.
მზედ ანთებულო სანთელო,
შუქო მაღალის მზისაო,
დიდის მზის მახარებელო,
გამნათებელო გზისაო;
დიდება შენდა, დიდებაო,
ნათელო ჭეშმარიტებაო.
ოდეს მოევლინე ქვეყანასა,
აღსავსეს ცოდვათა ბინდებითა,
განათდა ყოველივე შენის მოსვლით,
გაბრწყინდა შენის დიდებითა;
დიდება შენდა, დიდებაო,
ნათელო ჭეშმარიტებაო.
გაქებდე, გიგალობდე, გადიდებდე,
ღირს ვერ ვარ და მერიდებაო,
ცოდვათა შენდობა გვიმეოხე,
აგვცილდეს მწველ ცეცხლთა კიდებაო;
დიდება შენდა, დიდებაო,
ნათელო ჭეშმარიტებაო.

დეკანოზი **პავლე ბერიშვილი**

ᲗᲔᲕᲓᲝᲠᲔ

თურქმა მოლაშქრეებმა წამებით მოკლეს მღვდელი თევდორე, რამეთუ მან იუდას ხვედრი არ გაიზიარა

— ეჰეი!
აღიმსთვეთ! აღსდექით!
მოვედით!
მოზვავდით!
მოჯარდით!
მოზღვავდით!
მოვედით ყოველნი,
თვინიერ უცხოთა,
თვინიერ უჟამო ჩვილის და მოზარდის,
ვის ბრძოლა სწყუროდა,
ვინ ომი უწყოდა!
ოფლის სარეცელზე
ნუ გარდამეცვლებით,
ღმერთმა გაშოროთ და,
დიდი აუგია!
„მიწა იყავი და მიწად მიიქეცი“ —
ცით ჩამოგასმენენ
უთბილეს ტკივილით.
ჯერ ფეხზე დამიდექ და
კვლავ მკლავი გაშალე,

კონსტანტინე (მელიქიძე)
ურბნელი მთავარეპისკოპოსი

ᲨᲝᲑᲐ

ზამთრის ტაროსი და ღამე ცივი,
მაღლა ნათოვი, დაბლა ნაწვიმი,
ღრუბლების მთები და ვარსკვლავები,
მოცურავენი — მნათი ნავები.
ხმელ ფოთლებივით დაუსრულებლივ
ირგვლივ კანკალი ავი სულების...
ბეთლემის შავი გამოქვაბული,
ქვეყნის შუქურა მანათობელი.
და იშვა ქრისტე, უბრალოდ იშვა,
ცა არ მოდრკა და არ იძრა მიწა.
ასეთი შობა შეეძლო ქრისტეს,
თვით ქვეყნის მშობელს და ქვეყნის იმედს.
უზარზეიმოდ, მწირად, ღარიბად —
ასე ინება უფლის ტარიგმა!
მხოლოდ ბეთლემის ურჩი ვარსკვლავი,
მკრთალძოწისფერი შუქით მფარავი,
უძღოდა მწყემსებს, როგორც მავანი.
ის ბეთლემისკენ იწვევდა ყველას,
გზას უნათებდა ქვაბისკენ ნელა.
და სადაც იშვა, და როგორც იშვა,
სად გაიელვა ციურმა ნიჭმა...
და ასე იშვა დუხჭირ ღამეში,
ცათა ნათელი აზრი ნალესი.
ის ჩვენთვის იშვა, ჩვენთვის განკაცდა,
გადაერჩინა მოდგმა ავკაცთა.
მხრებით აზიდა ცოდვები ჩვენი
და გაანედლა ცხოვრება ხმელი.
ის ჩვენთვის იშვა, უბრალოდ იშვა,
უნდა ვკოცნიდეთ ბეთლემის მიწას.

მტერი მოცელე და
გვიან წაიქეცი!
შენ შემოგევლე და
შენ კი გენაცვალე —
მიწა იყავი და მიწად მიიქეცი!
მე ვარ, მე, თევდორე,
ვერ მოგიბოდიშებთ:
ყურნიც ნუ დაგხშვიათ და
თვალსაწიერიც!
არიქა!
ტარიგად დაეგეთ ბადიშებს,
თორემ ზღვად მოგიზღავთ
მამაზეციერი!
დღედაღამ ატარეს და
სიტყვა არ უთქვამს!
პირი თურქული ყაბალახით
ჰქონდა დავსილი...

ათონის ივერიის ღვთისმშობლის ხატი. ბერძნული ვარიანტი



ნიკორწმიდა XI ს.

აქ რომ თაღებია,
სვეტთა შეკონება,
ისე ნაგებია,
სიზმრის გეგონება.
ნეტა ვინ აგებო,
რა ნიჭმა აგებო,
რა მადლმა აგებო
სვეტი — ნიკორწმიდა!

გზებით დამკარგავი
გრძნეულ ჩუჭურთმებით,
ქარგით დამქარგავი
ნაზი შუჭურთმებით,
ნეტა ვინ აზიდა,
ან როგორ აზიდა,
რა ხელმა აზიდა —
მაღლა ნიკორწმიდა!



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **ილია II** და აღმოსავლეთის
პატრიარქ-კათოლიკოსი **ბაზილიუს მართობა მათე I**

საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ინდოეთში





ათონი — ათასწლოვანი

ათასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ათონის მთაზე ქართული მონასტერი დააარსეს. საუკუნეთა მანძილზე ისმოდა აქ ქართული წირვა-ლოცვა და გალობა... მიმდინარეობდა დიდი საგანმანათლებლო მოღვაწეობა. ათონზე, კერძოდ, ქართველთა ლავრაში შეიქმნა მრავალი მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული ძეგლი. ქართულიდან ბერძნულად და ბერძნულიდან ქართულად ითარგმნა მაშინდელი მსოფლიოს თითქმის ყველა ღირსშესანიშნავი ნაწარმოები. ყოველივე ამას სათავეში ედგნენ ისეთი დიდი საეკლესიო მოღვაწენი, როგორებიც იყვნენ იოანე და მისი შვილი ექვთიმე, გიორგი მთაწმიდელი, გიორგი მცირე და სხვ.

ძნელია ძველი ქართული კულტურის მეორე ისეთი საზღვარგარეთული ცენტრის დასახელება, რომელიც თავისი მნიშვნელობით ათონის სავანეს გაუტოლდება. იგი „გადაიქცა იმ წყაროდ, საიდანაც ჩვენში უხვად მოდიოდა მოწინავე კულტურის ნაკადი. თუ ქართული მწერლობა უაღრესად განვითარდა XI—XII საუკუნეებში, ეს ივერთა მონასტრის მეოხებითაც, სადაც თავმოყრილი იყო ქართველთა კულტურის საუკეთესო ძალები, რომელთაც მიზნად დაისახეს, გაეცნოთ თავიანთ თანამემამულეთათვის დასავლეთის ლიტერატურული სიმდიდრე და მემკვიდრეობა. აქ ითარგმნა და გადაიწერა მომეტებული ნაწილი იმ ლიტერატურული განძეულობისა, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია. აქ, ათონზე, შეიქმნა და ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს წარსულში. ერთი სიტყვით, არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არა ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორც ათონის ივერთა მონასტერს. უომისოდ ჩვენი კულტურის ისტორიას შეიძლება სხვა ხასიათი მიეღო“ — წერს ძველი ქართული მწერლობის დიდი მკვლევარი, გამოჩენილი მეცნიერი კორნელი კეკელიძე. ეს მწერლობა კი, რომელიც ათონის ივერთა მონასტერში იქმნებოდა, იყო სასულიერო ხასიათისა, ამდენად, ფასდაუდებელი და ძვირფასია იგი ქართული ეკლესიისათვის. დიდნი მამანი... წარსულის დიდნი მოღვაწენი, მშობელი ეკლესიისა და ხალხის მოამაგენი ღვთიური შთაგონებით იყვნენ აღსავსენი... მხოლოდ სიყვარული და სინათლისადმი დაუოკებელი სწრაფვა ამოძრავებდა მათ შემოქმედ სულს...

ათონის სავანე მდებარეობს საბერძნეთში, ქალკედონის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში, ეგეოსის ზღვის პირას.

პირველი ქრისტიანი მამანი ათონზე VIII—IX საუკუნეებიდან ჩანან. X საუკუნის დასასრულიდან კი ათონზე ბერძნული მონასტრების ცენტრი იქმნება. იწყება სამონასტრო მშენებლობები და იმდენი მნიშვნელოვანი სავანე ჩნდება, რომ ათონის მთას მალე „მთაწმიდას“ არქმევენ. ეს ის პერიოდია, როცა ბიზანტიასა და საქართველოს შორის გაცხოველებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თუ ეკლესიური ურთიერთობები არსებობს. X საუკუნის შუა წლებში ათონის სავანეში, კლემენტის მონასტერში, ათანასეს ლავრაში, ქართველი ბერებიც მოღვაწეობენ...

პირველი ქრისტიანული სალოცავი ათონზე ათანასე ათონელს (920—1000) აუგია 963 წელს. როგორც აღნიშნავენ, ათანასე დედით კოლხი ყოფილა და, სავარაუდოა, ქართულიც კარგად იცოდა. აშკარაა მისი კეთილი განწყობა ქართველთა მიმართ. უდაოდ ათანასეს ღვაწლიცაა, რომ ქართველები პირველები იყვნენ უცხოელთაგან, რომელთაც ათონზე საკუთარი მონასტერი ააშენეს. თანაც ეს მოხდა სავანის აგებიდან სულ რაღაც ოციოდე წლის შემდეგ.

ათონელ ქართველთა საქმიანობა იმთავითვე გახმაურდა. „განითქუა ჰამბავი მათი“ და თანამემამულეებმა მათ სამყოფს მიაშურეს. სწორედ ქართველთა მომრავლებამ გამოიწვია საკუთარი სავანის აშენების აუცილებლობა. მათ, სიმრავლის გამო, ათანასეს ლავრაში დარჩენა აღარ შეეძლოთ და „ლავრისაგან განშორებულად, უდაბნოსა შუენიერსა წმიდასა იოვანე მახარებლისა ეკლესიაჲ აღაშენეს და სენაკები, და მუნ იყოფოდეს მრავალ ჟამ“.

სწორედ ამ პერიოდში ბიზანტიის მცირეწლოვან უფლისწულებს ბასილისა და კონსტანტინეს აუჯანყდა მცირეაზიელი ფეოდალი ბარდა სკლიაროსი. საიმპერატორო კარმა დახმარებისათვის ერთგულ დიდებულებს მიმართა... ხოლო დავით კურაპალატთან — ქართველთა მეფესთან — დახმარებისათვის შუამდგომლობა ათონელ ქართველებს სთხოვა... იოანემ ეს საქმე თორნიკე

ერისთავს (რომელიც იმჟამად უკვე ათონზე იმყოფებოდა) მიანდო. დავითმა 12 000 რჩეული მხედარი გაგზავნა ბიზანტიელთა დასახმარებლად თორნიკე ერისთავის სარდლობით. ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს, რის შემდეგაც ახალი სავანის დაარსების საშუალება მიეცათ. მალე, ეს იყო 980 წელს, დაიწყო ქართული მონასტრის მშენებლობა, რომელიც სამ წელიწადს გაგრძელდა. ასე შეიქმნა ათონის ივერთა ცნობილი მონასტერი — **ივირონი.** „ლავრაჲ დიდებული და ყოვლითა შუენიერებითა შემკული“ — გიორგი ათონელი, „დიდი ლავრაჲ“ — გიორგი მცირე, „დიდი ლავრაჲ ქართველთაჲ“ — ეზრა ათონელი, „ლავრაჲ დიდებული“ — ზოსიმე მონოზონი და სხვ.

ათონის ივერთა მონასტერს, თავდაპირველად, იოანე ხელმძღვანელობდა. ნან განამტკიცა და განაძლიერა სამონასტრო საქმიანობა, შეიძინა მამულები, ჩამოიყვანა მოწაფეები.

იოანეს მუდამ მხარში ედგა თორნიკე. თავიანთი სიწმიდით, სათნოებითა და ცოდნით მათ დიდი სიყვარული და კრძალვა დაიმსახურეს ბიზანტიელთა შორისაც. მათი ცხოვრება აღწერილია არა მარტო ქართულად, ბერძნულადაც. იოანესა და თორნიკეს მოწოდებით ათონის ივერთა მონასტერში უკვე X საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან ფართოდ გაიშალა მწიგნობრული მუშაობა, რომელიც განსაკუთრებული მოწადინებით განაგრძო იოანეს ვაჟმა ექვთიმემ... ექვთიმეს ხვდა წილად პატივი ათონის ლიტერატურული სკოლის დაარსებისა. სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული ბიზანტიურ და, აქედან გამომდინარე, მაშინდელი მსოფლიოს კულტურასთან ქართული მწერლობის შემდგომი დაახლოება, ბიზანტიური ტრადიციების ქართულ სინამდვილეში გადმოღება და, ასევე, ქართული სასულიერო მწერლობის მსოფლიო სარბიელზე გატანა. საგულისხმოა, რომ ექვთიმე არა მარტო ივერთა მონასტრის მოვლა-პატრონობისთვის იღვწოდა, არამედ ათონის მთაზე სხვა, არაქართულ ტაძრებსაც არ აკლებდა ზრუნვასა და ყურადღებას. ალბათ, შემთხვევითი არაა, რომ ათანასეს მიცვალების შემდეგ, მისივე ანდერძით, მემკვიდრე და საქმის გამაგრძელებელი ექვთიმე მთაწმიდელი გახდა. ათანასესა და პირველი ქართველი ათონელების ეს დამოკიდებულება გარკვეულად აისახა ათანასეს ლავრისა და ათონის ივერთა მონასტრის ტრადიციულ ურთიერთობაში. დღესაც კი ლავრის მთავარ დღესასწაულზე — ათანასეს დღეობაზე — ივერთა მონასტრის იღუმენი ან დელეგაციის ხელმძღვანელი არის მთავარი მწირველი, ხოლო ივერთა მონასტრის მთავარ დღესასწაულებს — ღვთისმშობლის მიძინებისა და ქტიტორთა დღეებს — ლავრის დელეგაციის მეთაური წარმართავს. ათონზე ბერძენ-ქართველთა თავდაპირველი ურთიერთობის ეს აუცილებლობა, სამწუხაროდ, სამეცნიერო თანამედროვე ლიტერატურაში ჯეროვნად არაა წარმოჩენილი.

ყველა იმ აურაცხელ საზრუნავთან ერთად, რომელსაც ექვთიმე ათონელი ეწეოდა, ყველაზე მთავარი მაინც ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობა იყო. სწორედ ექვთიმემ აქცია ათონის სავანე არა მხოლოდ დასავლეთში მყოფ ქართველთა ძირითად საეკლესიო-სამონასტრო ცენტრად, არამედ, ქართული კულტურის მძლავრ კერადაც... მოუცლელობის გამო იგი ხშირად ღამე მუშაობდა. მის ცხოვრებაში ვკითხულობთ... მოუცლელობა „თანა კეთილსა მას შრომასა თარგმანებისასა არა დააცადებდა, არცა სცემდა განსუენებასა თავსა თჳსსა, არამედ ყოვლადვე იჭირვიან და ღამეთა ათევნ, რამეთუ უფროჲსნი წიგნნი ღამით სანთლითა უთარგმნიან ფრიადისა უცალობისაგან და საურავთა“. უამრავი ორიგინალური თუ თარგმნილი ნაშრომი შექმნა ექვთიმემ... საკმარისია, დავასახელოთ თუნდაც ერთი, შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული სულთა მარგებელი რომანი „სიბრძნე ბალაჰვარისა“, რომელიც ქართულიდან ბერძნულ ენაზე გადაიღო. (სწორედ ამ თარგმანით გავრცელდა ეს ნაწარმოები მთელ ევროპაში).

დავით კურაპალატმა ექვთიმეს „ახალი ოქროპირი“ უწოდა. ექვთიმემ „განანათლა და შეამკო ნათესავი და ენაჲ ჩუენი“ — გიორგი ათონელი, „განავრცელა და განანათლა ქართველთა ენაჲ“ — სვიმეონ დვალი... ექვთიმე ათონელის სახელზე დაწერილია საგალობლები, რომელთაგან ზოგი ბერძნულ სადღესასწაულოშიც შევიდა. არსებობს მისი „ცხოვრების“ სვინაქსარული რედაქციები და სხვ.

ექვთიმეს შემდეგაც კარგა ხანს ნათობდა ათონზე ივერთა მონასტერი... კარგა ხანს მძლავრობდა კიდევ ქართველთა საგანმანათლებლო კერა... მრავალ მოღვაწეთა შორის, რომელთაც დაუფასებელი ამაგი დასდეს ქართულ ეკლესიასა და ერს, იყო გიორგი ათონელი... თავისი დიდი წინაპრების საქმის ღირსეული მემკვიდრე, ავტორი დიდებული წიგნისა „ცხოვრებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი და უწყებაჲ ღირსისა მის მოქალაქეობისა მათისაჲ“, რომელიც არა მარტო პირველ ათონელთა ცხოვრებას გვაცნობს, არამედ მონასტრის ქართველთადმი კუთვნილებასაც ადასტურებს. ბერძენ ბერთა მოძალებამ, ქართველთა მდგომარეობის გართულებამ დააწერინა ავტორს ეს წიგნი. აქ მოთხრობილია ქართველთა სავანის აღმოცენების ისტორია, მისი შინაგანი ცხოვრების წესი და ის კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობა, რომლითაც განთქმული იყო ივირონის მონასტერი.

მრავალი ღირსი მამა და მწიგნობარი ბერი იღვწოდა ქართველთა სავანის საკეთილდღეოდ... მრავალი საინტერესო და მნიშვნელოვანი სტრიქონი ჩაწერეს ქართული კულტურის დიდ წიგნში... მაგრამ შემდეგ... დროთა ვითარებაში ქართველთა მოღვაწეობა ათონზე თანდათან შემცირდა... შუა საუკუნეების ბოლოდან კი ივირონი მთლიანად ბერძენთა ხელში გადავიდა.

მაგრამ არსებობს დიდ ქართველ მამათა ღვაწლითა და შრომით შექმნილი დიდი წარსული... ათონზე ინახება ჩვენთვის დღეს ნაკლებად ცნობილი ძვირფასი რელიქვიები და, რაც მთავარია, ძველი ქართული ხელნაწერების უმდიდრესი კოლექცია. იგი შეიცავს X—XI საუკუნეების უნიკალურ მანუსკრიპტებს. ამ სიძველეთა შესახებ დღეისათვის გარკვეული ცნობები უკვე მოგვეპოვება. არსებობს 1977 წელს გადაღებული ფილმი

„ათონის მატიანე“, აგრეთვე ხელნაწერთა ფერადი ფოტოპირები — სლაიდები, რომელთა მეცნიერული შესწავლა-დამუშავება უკვე დაიწყეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ათონში, კერძოდ, ივირონის მონასტერშივეა ივერიის მფარველი **ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი — პორტაიტისა.**

გასულ წელს ათონის ქართველთა მონასტრის — ივირონის დაარსების 1000 წლის აღსანიშნავად ათონის მთაზე სხვადასხვა დროს ქართული ეკლესიის ორი დელეგაცია გაემგზავრა (ამის შესახებ უკვე ვიუწყებოდით).

მიმდინარე წელს კი 6—10 (19—23) ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყო საიუბილეო სესია, რომელშიც, ქართველ მეცნიერთა გარდა, მონაწილეობა მიიღეს როგორც საბჭოთა კავშირის, ისე მსოფლიოს მრავალი წამყვანი სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლებმა.

მოხსენებებით გამოვიდნენ ქართველი მეცნიერები: ალ. ბარამიძე, ელ. მეტრეველი, ა. ალექსიძე, ნ. ლომოური, მ. ლორთქიფანიძე, ლ. მენაბდე, მ. შანიძე, ე. ხინთიბიძე, გ. ჯიბლაძე და სხვ. რუსი მკვლევარები: ლ. ევსეევა, ი. ლებედევა, ვ. პუცკო, ა. სალტიკოვი. მოხსენებები წაიკითხეს, ასევე, უცხოელმა ქართველოლოგებმა: ჯ. ნ. ბერძოლმა, ქ. ვივიანმა (ინგლისი), ბ. ი. იზარმა, ჟ. ლეფორმა, ჟ. პ. მაემ, ბ. უტიემ (საფრანგეთი), ვ. ბოდერმა, კ. ჰ. შმიდტმა (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), მ. ვან ესბროკმა (ბელგია). ბევრმა მათგანმა მოხსენება ქართულ ენაზე წაიკითხა.

მონაწილეებმა აღნიშნეს ათონის ქართული მონასტრის დიდი მნიშვნელობა და მისი განსაკუთრებული წვლილი არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო კულტურის განვითარების საქმეში. ისაუბრეს ამ კერის დაარსების ისტორიაზე, მის დამაარსებლებზე, დიდ ქართველ მოღვაწეებზე — იოანე, თორნიკე, ეფთიმე, გიორგი მთაწმიდელებზე, გიორგი მცირეზე და ათონის სკოლის სხვა მნიშვნელოვან მოღვაწეებზე. განიხილეს ათონის კერაზე შექმნილი ჰაგიოგრაფიული თუ ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებები, გააანალიზეს და შეაჯამეს მათი ცალკეული რედაქციები.

რეჟისორმა გ. პატარაიამ დამსწრეთ უჩვენა დოკუმენტური ფილმი „ათონი“, ისაუბრა ფილმის შექმნის ისტორიაზე.

ახალგაზრდა მეცნიერმა ა. მიქაბერიძემ დამსწრეთ გააცნო ათონის სლაიდები.

უცხოელმა მეცნიერებმა, ქართველოლოგებმა, პრესის მუშაკებთან საუბარში ხაზი გაუსვეს ათონის კერის დიდ მნიშვნელობას, თქვეს, რომ მისი როლი, მართლაც, განუზომელია მარტო ქართული კი არა, მსოფლიო კულტურისათვის. რადგან არაერთი ძვირფასი ძეგლი ითარგმნა ქართულიდან ბერძნულ ენაზე და ბერძნულიდან კი იგი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გავრცელდა. (ათონის მთაზე, საქართველოსაგან მოშორებით, ქართველებს მეტი საშუალება ჰქონდათ მჭიდრო ურთიერთობისა ბერძენ თუ სხვა ერის მოღვაწეებთან). მათ კმაყოფილება გამოთქვეს სესიის მუშაობისადმი, აღნიშნეს მოხსენებათა მაღალი დონე.

ბერნარ უტიემ და ვინფრიდ ბოედერმა თქვეს: ამ სესიის განსაკუთრებული მნიშვნელობა ისიცაა, რომ იგი ხელს უწყობს ქართველი მეცნიერებისა და უცხოელი ქართველოლოგების უფრო მჭიდრო კავშირსა და დაახლოებას. უსურვეს ქართველ მეცნიერებს ათონის დიდი ტრადიციის ღირსეული გაგრძელება.



საეკლესიო ფოტო

9 მაისს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II გამარჯვების პარკში, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან მიიტანა ცოცხალი ყვავილების გვირგვინი, გადაიხადა პანაშვიდი

უწმიდესი ილია II მარჯანიშვილის თეატრის კოლექტივთან სპექტაკლის შემდეგ.

სურათზე გამოსახულნი არიან: ქ-ნი ვერიკო ანჯაფარიძე, რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე, მსახიობი სოფიკო ჭიაურელი და სხვ.

ცხოვრების მატიანე

მცხეთა — სამთავრო. ლოცვა ღამით

წმიდა ზიარება. აზიარებს ახალციხელი ეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე)

მიტროპოლიტები — შიო (ავალიშვილი) და ზინობი (მაჟუგა) წირვის დროს

ᲘᲜᲤᲝᲡᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲐᲢᲘ

ᲗᲝᲛᲐ ᲙᲔᲛᲤᲔᲚᲘ. «ᲛᲘᲑᲐᲫᲕᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲘ» I—II ᲗᲐᲕᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲓᲐᲜ

წიგნი „მიბაძვა ქრისტესი“ საყოველთაოდ ცნობილი ნაწარმოებია. იგი მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზეა თარგმნილი. მისი ავტორი, თომა კემფელი, ცხოვრობდა მეთხუთმეტე საუკუნეში. იგი გახლდათ დიდად განათლებული და განბრძნობილი საეკლესიო მოღვაწე, რომელმაც მრავალი საღვთისმეტყველო წიგნი დაწერა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია „მიბაძვა ქრისტესი“. ეს ნაწარმოები ქართულ ენაზე უთარგმნია გასული საუკუნის ერთ უპრეტენზიო, მაგრამ საკმაოდ ნიჭიერ საზოგადო მოღვაწეს პ. მღებრიშვილს.

„გულ გახსნით ვაღიარებ ჩემს სისუსტეს: კარგად ვიცი, რომ ეს დიდებული წიგნი უფრო მეტად მომზადებულის და ნიჭიერის მთარგმნელის ღირსი იყო. გული მეწოდა, როდესაც ვხედავდი, რომ მთლად დედამიწის ზურგზე თითქმის აღარ არის იმისთანა ქრისტიანი ერი, რომელსაც თავის სამშობლო ენაზედ არ ჰქონდეს მოხსენებული ეს თხზულება. იმათაც კი, რომელნიც ქრისტეს მცნებით განათლებულან ახლოს ხანებში, უკვე ორი და სამი თარგმანი ამ წიგნისა შეუძენიათ, ჩვენ კი, ძველის დროიდგანვე ქრისტესთვის ტანჯულთ და წამებულთა, ვერ შევიძელით ჩვენის ღვთისმეტყველურის ლიტერატურის გამდიდრება ამ წიგნის მომატებითა. ამ გარემოებამ გამაბედვინა შევსდგომოდით თარგმანსა... ყველაფერი ნელ-ნელაობით იწყობა... ჩემზედ წინადაც ბევრს უცდიათ ამ წიგნის თარგმნა... დღეს მეც ვცადე და ამით საქმემ, ცოტად თუ ბევრად, წინ წაიწია... არაფერი ცდა არ დამიზოგავს“, — წერს პ. მღებრიშვილი.

სამჯერ უთარგმნია მას ეს წიგნი. პირველად, 1883 წელს, პირდაპირ ლათინურიდან გადმოუღია; შემდეგ ორ ფრანგულ თარგმანთანაც შეუჯერებია... ბევრი რამ უკეთ გადაუმუშავებია, მაგრამ გული მაინც სტკიოდა... არ მოსწონდა. ბოლოს რუსული თარგმანიც უშოვია და, მისი მოშველიებით, მესამედ დაუწყია თარგმნა. როცა სამუშაო თითქმის მთლიანად გაუსრულებია, შესასწორებლად მწერალ ნიკო ლომოურისათვის მიუტანია. მასაც ენერგია არ დაუზოგავს და საბოლოოდ წიგნს (ცხადია, ქართულის თვალსაზრისით) საკმაოდ მიმზიდველი სახე მიუღია. იგი დაუბეჭდავათ ა. კალანდაძისა და ი. ყანჩაველის სტამბაში 1890 წელს.

წიგნი სავსეა სულიერი ცხოვრებისათვის სასარგებლო დარიგებებითა და რჩევებით. მასში, ისე როგორც ადრე, დღესაც მრავალ საგულისხმო და სასარგებლო აზრს ამოიკითხავენ მორწმუნენი...

ვბეჭდავთ ორ თავს წიგნიდან „მიბაძვა ქრისტესი“*. მკითხველი თვითონ განსჯის, რაოდენ თავმდაბლობით წერს თავისი თავის შესახებ მისი მთარგმნელი.

ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲛᲘᲑᲐᲫᲕᲐᲖᲔᲓ, ᲓᲐ ᲛᲐᲡᲖᲔᲓ, ᲗᲣ ᲕᲘᲗᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲥᲕᲘᲫᲣᲚᲝᲗ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲐᲛᲐᲝᲠᲔᲑᲐᲜᲘ.

ᲗᲐᲕᲘ I

„რომელიც შემომიდგეს მე, არა ვიდოდეს ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხოვრებისაჲ“ (იოან. 8,12). იტყვის უფალი. ესენი არიან ქრისტეს სიტყვები, რომლებითაც გვირჩევს იგი, რომ ცხოვრებასა და ზნესა მისსა მივბაძოთ, უკუეთუ გვნებავს ვიქმნეთ ჭეშმარიტად განათლებულნი და ყოველი სიბნელისაგან გულისა თავისუფალნი.

მაშ, უმთავრესი მეცადინეობა ჩვენი უნდა იყვეს მიქცეული მასზე, რომ მარადის ქრისტე იესოს ცხოვრებაზედ ვფიქრობდეთ.

2. მოძღვრება ქრისტესი უაღრეს არს ყველა წმიდანების მოძღვრებაზედ, და იგი, რომელსაც ექმნება ჭეშმარიტი სული ქრისტესი, დაფარულს მანანასა ჰპოვებს მას შინა.

მაგრამ მოხდება ხოლმე, რომ მრავალნი, თუმცა ხშირად ისმენენ სახარებასა, ხოლო მცირედ აღიძრვიან მისგან, რადგან არა აქვსთ მათ სული ქრისტესი.

რომელსა ჰნებავს სრულიად გულისხმაჰყოს სიტყვანი ქრისტესი, და შთაჰხვდეს მათ, მისთვის საჭიროა მთელი ცხოვრება თვისი ცხოვრებასა მისსა მიამსგავსოს.

3. რას გარგებს შენ, უკეთუ ბრძნულად ბჭობდე სამებაზედ, ხოლო არა გქონდეს სიმდაბლე, ურომლისოდ ვერ სათნო ეყოფვი სამებასა?

ჭეშმარიტად, მაღალი სიტყვები ვერ ჰყოფენ კაცსა წმიდად და მართლად, არამედ, სათნოებიანი ცხოვრება შეიქმს მას საყვარლად ღვთისა.

ის უფრო მირჩევნია, რომ ვგრძნობდე გულის შემუსვრას, ვიდრე რომ ვიცოდე განმარტება მისი.

ზეპირად რომ იცოდე მთელი დაბადება და ყოველი თქმულებანი ფილოსოფოსთა, რას გარგებენ შენ იგინი, უკეთუ არა გაქვს სიყვარული ღვთისა და მადლი მისი?

---

* მკითხველს დროდადრო მომავალშიც მივაწოდებთ რამდენსამე ნაწყვეტს ამ წიგნიდან.

„ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო არს“ (ეკკლ. 1.2). თვინიერ სიყვარულისა ღვთისა და მხოლოდ მის წინაშე მსახურებისა.

უაღრესი სიბრძნე მასშია, რომ მოიძულოს კაცმა Sოფელი ესე და მიისწრაფიდეს ზეციურისა სამეუფოისაკენ.

4. მაშ, ამაო არს ძიება წარმავალისა სიმდიდრისა და სასოების დამყარება მასზედ.

ამაო არს კვალად ძიება პატივისა და მაღლის ხარისხისა.

ამაო არს შედგომა ხორციელთა წადილთა და ნდომა იმისთანა რისამე, რომლისათვისაც შემდგომში ფიცხელად უნდა დავისაჯნოთ.

ამაო არს, რომ კაცი დღეგრძელობას ნატრობდეს და სათნოიან ცხოვრებაზედ კი არ ზრუნავდეს.

ამაო არს ზრუნვა მხოლოდ აწმყო ცხოვრებაზედ და უყურადღებოდ დატოვება მომავლისა.

ამაო არს შეყვარება მსწრაფლ წარმავლისა და არ მისწრაფება იქით, სადაც არს სიხარული საუკუნო.

5. ხშირად მოიგონებდე ამ სიტყვებს: „ვერ გაძღება თვალი ცქერითა და არცა ყური აღივსება სმენითა“ (ეკკლ. 1.8).

მაშ, ეცადე მოაშორო შენი გული ყოველსავე ხილულსა და მიაქციო იგი უხილავისაკენ.

ვინაიდან, რომელნიც მიჰყვებიან გრძნობათა, იგინი გააბიწიერებენ სინდისსა თვისსა და ჰკარგავენ მადლსა ღვთისასა.

თავი II

თავმდაბლობაზედ

ყოველ კაცს ბუნებით აქვს სურვილი ცოდნის შეძენისა, მაგრამ რას არგებს მას ეს ცოდნა, თუ მასთანვე არ ექმნება შიში ღვთისა?

უბრალო გლეხი კაცი, რომელიც ღმერთს მსახურებს გულწრფელად, ჭეშმარიტად, უმჯობესია ამპარტავან ფილოსოფოსზედ, რომელიც თვის თავზედ არ ზრუნავს, არამედ, სცდილობს გამოიკვლიოს ცაურ მნათობთა სვლანი.

იგი, რომელიც ჭეშმარიტად სცნობს თვის თავსა, შეურაცხ-ჰყოფს მას და ქება მისთვის სასიამოვნო როდილა იქმნება.

რომ ვიცოდე ყოველივე ის, რაც ამ ქვეყნიერებაზედ არის და სიყვარული კი არა მქონდეს, რას გამომადგება ეს წინაშე ღვთისა, რომელმან უნდა მსაჯოს ჩემის საქმეებისადაგვარად?

2. მრავალმეტყველება ვერ გააძღობს სულსა, უმანკო ცხოვრება კი აღავსებს მას სიხარულითა, და უბიწო სინდისი მიანიჭებს დიდს სასოებას ღმერთზედ.

3. რამდენადაც უფრო ბევრი და უფრო კარგად იცი, იმდენად უფრო ფიცხელად იქმნები განსჯილი, უკეთუ სიწმიდით არ იცხოვრებ.

ნუ გაამპარტავანდები, რაც უნდა დიდი მეცნიერი ღა გამოცდილი იყვე, არამედ გეშინოდეს შენის ცოდნის-დაგვარად.

უკეთუ გგონია, რომ შენ ბევრი რამ იცი, კარგად და საფუძვლიანად გესმის ყოველივე, მასთანავე იცოდე ისიც, რომ არიან კვალად მრავალნი რაიმენი და უფრო მეტნიც, რომლებიც შენ არ იცი.

თავი დიდ რამედ ნუ მოგაქვს, არამედ მარადის გახსოვდეს უმეცრება შენი.

რისთვის უნდა რაცხვიდე შენსა თავსა სხვებზედ უკეთესად, როდესაც მრავალნი არიან შენზედ მეცნიერნი, და შენზედ უფრო ნათლად ესმისთ სჯული ღვთისა.

უკეთუ გნებავს შეისწავლო და იცოდე რაიმე ჭეშმარიტად სასარგებლო, ეცადე, რომ არავინ გიცნობდეს და არაფრად გრაცხვიდენ შენ.

4. ის არის უმაღლესი სწავლა და ფრიად სასარგებლო გაკვეთილი, რომ კარგად იცნას კაცმა თავისი თავი და შეიძულოს იგი.

იგი არის დიდი ბრძენი და ყოვლისფრით სრული, რომელიც თავის თავს არაფრად რაცხავს და სხვებს კი დიდს პატივსა სცემს. უკეთუ ნახო ვინმე ცხადად შემცოდე, ანუ მომქმედი დიდის დანაშაულობისა, შენ მაინც არ უნდა შერაცხო თავი შენი მასზედ უკეთესად, რადგან არ იცი, რაოდენს ხანს დარჩები მაგ წმიდა ცხოვრებაში.

ჩვენ ყოველნი უძლურნი ვართ, მაგრამ ნურასოდეს ნუ იფიქრებ, რომ შენზედ უფრო უძლური სხვა იყვეს ვინმე.



რწმენით გადარჩენა

სიმბოლო სარწმუნოებისა ქადაგებს: „ერთ უფალს იესო ქრისტეს, ძე ღვთისას... რომელი ჩვენთვის, კაცთათვის... გარდამოხდა ზეცით, და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა, და მარიამისაგან ქალწულსა განკაცნა, რომელი ჯუარს ეცუა პონტოელისა პილატეს ზე და ივნო და დაეფლა“. ამ სიტყვებით მართლმადიდებელი ეკლესია გვასწავლის, რომ ადამიანი იხსნა ძე ღვთისამ, იესო ქრისტემ, რომელმაც თქვა თავისთავზე „ძე კაცისაჲ არა მოვიდა, ვითარმცა იმსახურა, არამედ მსახურებად და მოცემად სული თუისი საჴსრად მრავალთა“. (მარკ. 10.45), და რომ ეს ხსნა აღესრულა ძე ღმრთის დამდაბლებით: შეიმოსა რა ნებაყოფლობით ხატი აღამიანისა, იგი აცვეს ჯვარს, რის შესახებაც პავლე მოციქული ფილიპელთ წერდა: „რომელი-იგი ხატი ღმრთისაჲ იყო, არა ნატაცებად შეირაცხა ყოფად იგი სწორებად ღმრთისა, არამედ თავი თუისი დაიმდაბლა და ხატი მონისაჲ მიიღო და მსგავს კაცთა იქმნა და ხატითა იპოვა ვითარცა კაცი, დაიმდაბლა თავი თუისი და იქმნა იგი მორჩილ ვიდრე სიკუდიდმდე და სიკუდილითა მით ჯვარისაჲთა“ (ფილიპ. 2,6—8), კაცობრიობის ხსნის ამ საიდუმლოებას პავლე მოციქული ასე წარმოგვიჩენს ეპისტოლეში კოლასელთა მიმართ: „რამეთუ მას შინა სათნო იყო ყოველივე სავსებაჲ დამკვიდრებად და მის მიერ დაგებად ყოველი მისა მიმართ მშვიდობა-ყო სისხლითა მით ჯუარისა მისისათა მის მიერ, გინა თუ ქუეყანასა ზედა, გინა თუ ცათა შინა. და თქუენ ოდესმე იყვენით უცხო-ქმნულ და მტერ გონებითა თქუენითა საქმეთა მათ შინა ბოროტთა, ხოლო აწ დაგიგნა გუამითა მით ჯორცთა მისთაჲთა სიკუდილისა მიერ და წარგაგვინნა თქუენ წმიდად და უბიწოდ და უბრალოდ წინაწე მისსა (კოლას. 1,19—22). იმავე ეპისტოლეში მოციქული ბრძანებს, რომ ქრისტემ გაანადგურა „და აჰხოცა ჩვენთჳს ჴელით წერილი ბრძანებით, რომელი იყო ანტაკრად ჩუენდა და იგი აღიღო შორის და შეესჴუალა ჯუარსა“.

იესო ქრისტეს მიერ თავისთავის მსხვერპლად შეწირვა საყოველთაო მნიშვნელობისაა. იგი არამცთუ მხოლოდ ცალკეული ადამიანის, ან რომელიმე რჩეული ერის ხსნას მოასწავებს, არამედ მთელი კაცობრიობისას, რამეთუ ქრისტემ შეგვიწყალა ჩუენ განურჩევლად „ყოვლისგანვე თესლისა და ენისა და ერთა და წარმართთა“ (გამოცხ. 5.9). ამგვარი მსხვერპლშეწირვის მხსნელი ძალა აღემატება ყოველგვარ ცოდვას. სისხლი იესო ქრისტესი, ამბობს იოანე მოციქული, განგვწმედს ჩვენ ყოვლისაგან ცოდვისა.

იესო ქრისტეს ჯვარცმით კაცობრიობის გამოსყიდვის ფაქტი საფუძვლად უდევს მართლმადიდებლურ სწავლებას ხსნის შესახებ. ამიტომაც გვესახება ის რწმენის მთავარ სიმბოლოდ. ასევე, საღვთისმეტყველო მსჯელობის საგნად იქცა იგი საეკლესიო მამებისთვისაც. „ნუ გიკვირს — ამბობს წმ. კირილე იერუსალიმელი — რომ მთელი მსოფლიო გამოსყიდულია, რადგან იგი, ვინც მისთვის ეწამა, არ იყო უბრალო ადამიანი. იგი იყო ძე ღვთისა, მხოლოდშობილი. ადამიანის ცოდვამ ქვეყანაზე მოიტანა სიკვდილი და, რაკი ერთი დანაშაულის გამო ქვეყანაზე გამეფდა სიკვდილი, მაშინ, მითუმეტეს, ერთის სიმართლით გამეფდება სიცოცხლე. და თუ მაშინ, როდესაც ადამმა და ევამ იგემეს რა აკრძალული ხილი, გაძევებულ იქნენ სამოთხიდან, განა ახლა, ასევე მოსახერხებელი არ არის, ქრისტეს რწმენით, ნორწმუნეთა სამოთხეში დაბრუნება? თუ მიწისაგან პირველად შექმნილმა შეძლო მოეტანა ქვეყნად სიკვდილი, მითუმეტეს, თვით შემქმნელს, მარადიულ ნათელში მსუფევს, არ შეუძლია მოგვანიჭოს საუდამო ნეტარება? ნუთუ იესოს არ შესწევს უნარი, რომ დააცხროს ღვთის რისხვა ადამიანებზე?“

იესო ქრისტეს მიერ კაცობრიობის გამოსყიდვა, ჯვარცმა კონკრეტული ისტორიული პირისა, პილატე პონტოელის დროს, წარმოადგენს ხსნის ობიექტურ მხარეს. მაგრამ არსებობს, აგრეთვე, სუბიექტური მხარე, რომელიც მოითხოვს ამ საქმეში იმათ მონაწილეობას, ვისთვისაც ეწამა უფალი — ე. ი. ადამიანებისას. კაცთათვის საჭიროა რწმენა ღვთისა, იესო ქრისტესი, როგორც მხსნელისა. ასეთი რწმენა წარმოადგენს პირველად და აუცილებელ პირობას ადამიანის გადასარჩენად. ამაზე მიგვითითა თვით იესო ქრისტემ, როცა აღდგომის შემდეგ, გზავნიდა რა მოციქულთ სახარების საქადაგებლად, თქვა: „რომელსა ჰრწმენეს და ნათელ-იღოს, ცხოვნდეს, ხოლო რომელსა არა ჰრწმენეს, დაესაჯოს“ (მარკოზი 16,16). „რომელსა ჰრწმენეს ძე, აქუნდეს ცხოვრებაჲ, საუკუნოჲ, ხოლო რომელი ურჩ იყოს ძისა, არა იხილოს

ცხოვრებაᲐ, არამედ რისხვაᲐ ღმრთისა დადგრომილ არს მის ზედა“ (იოანე 3,36). იესო ქრისტეს რწმენის აუცილებლობის შესახებ ქადაგებდნენ, ასევე, მოციქულნი. ამგვარი რწმენა, პავლე მოციქულის თქმით, გაამართლებს, შეიწყალებს ადამიანს და ასწავლის გზას ღვთიურ მადლისაკენ, სისავსისაკენ (რომ. 5.1—2, შეად. ეფეს. 2.8). რწმენის ასეთსავე მნიშვნელობაზე ლაპარაკობს პეტრე მოციქული: „კურთხეულ არს ღმერთი და მამაᲐ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, რომელმან-იგი მრავლითა მით წყალობითა თჳსითა კუალად გვშვნა ჩუენ სასოებად ცხოველად აღდგომითა იესო ქრისტესითა მკუდრეთით, სამჴდრებელად უხრწნელად და შეუგინებელად და დაუჭნობელად დამარხულნი ცათა შინა თქუენდა მიმართ, რომელნი-ეგე ძალითა ღმრთისაᲐთა მოცულ ხართ სარწმუნოებითა ცხოვრებასა მას განმზადებულსა გამოჩინებად ჟამსა მას უკუანაისკნელსა“ (1 პეტრე 1.3—5).

რწმენა იესო ქრისტესი, როგორც აუცილებელი პირობა ადამიანის პიროვნული ხსნისა და გადარჩენისა, ვერ შეიცვლება ვერაფრით — ვერც საერთო-საკაცობრიო ეთიკის ნორმების დაცვით, ვერც ვერავითარი კეთილი საქმით. პავლე მოციქული ამბობს: „და უწყით, რამეთუ არა განმართლდების კაცი საქმეთაგან სჯულისათა, გარნა სარწმუნოებითა იესო ქრისტესითა, და ჩუენ იესო ქრისტეს მიმართ გურწმენა, რაᲐთა განვმრავლდეთ სარწმუნოებითა ქრისტესითა და არა საქმეთაგან სჯულისათა, რამეთუ საქმეთაგან სჯულისათა არა განმართლდეს ყოველი ჯორციელი“ (1.2.16. გალატ. რომ. 3,28 — 30). მიუხედავად იმისა, რომ პავლე მოციქულის ეს სიტყვები იყო მიმართული მის თანამედროვე იუდეველთა წინააღმდეგ, რომლებიც ხსნას წინადაცვეთის რიტუალში ხედავდნენ, ეკლესიამ მოციქულის ეს დარიგება გაიაზრა, როგორც მიმართვა ყველა ადამიანისადმი, გასაფანტავად მცდარი შეხედულებისა, თითქოს ცხონება საკუთარი ძალებით და მხოლოდ კეთილი საქმითაც შესაძლებელია.

„ჩუენ — წერდა კორინთელ ქრისტიანებს წმ. კლიმენტი რომაელი — მისი, ე. ი. ღმრთის, ნებით ვართ მიწვეულნი ქრისტესთან, განვმართლდებით არა საკუთარი თავით და სიბრძნით, არა აზრით, ან კეთილმოსურნეობით, ან თუნდაც ჩვენივ გულის მიერ ქმნილი წმიდა საქმეებით, არამედ რწმენით, რომლის მიხედვითაც ყოველის მპყრობელი ღმერთი საუკუნეების მანძილზე ასამართლებდა ყველას“. მოგვიანებით ასევე წერდა ბასილი დიდი: „ეს სრული და მთლიანი ქებათაქებაა ღმრთისა, როცა ადამიანი კი არ ქედმაღლობს თავისი სიმართლით, არამედ იცის, რომ მას არ გააჩნია ჭეშმარიტი სიმართლე და თავის გამართლებას მხოლოდ ქრისტეს რწმენით ეძიებს. აღიარებს რა იესო ქრისტესადმი რწმენას, გადარჩენის უპირველეს და აუცილებელ პირობად მართლმადიდებელი ეკლესია რწმენას მიიჩნევს, როგორც ახალი ცხოვრების სულიერ საწყისს ადამიანში, მისი შინაგანი სამყაროს შემცველს, როგორც ყოველგვარი კეთილი საქმის საფუძველს. ამგვარი რწმენის რაობის შესახებ თვით უფალი გვამცნობს: „არა ყოველმან, რომელმან მრქუას მე: უფალო, უფალო! შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაᲐ მამისა ჩემისა ზეცათაᲐსი“ (მათე 7.21. შეად. ლუკა 6.41). ასევე მოციქულნი: „...სარწმუნოება, უკუეთუ არა აქვნდენ, საქმენი მკუდარ არს“ (იაკობი 17.20.26), მას ვინც რწმენას კეთილი საქმით არ ავსებს, იაკობ მოციქული ადარებს ეშმაკეულს: „შენ გრწამს, ვითარმედ არს ღმერთი... და ეშმაკთაცა ჰრწამს და ძრწიან მისგან“. იოანე მოციქული გვეუბნება: „რომელმან თქუას, ვითარმედ ვიცან იგი, და მცნებათა მისთა არა იმარხჳდეს, მტყუვარ არს და ჭეშმარიტებაᲐ არა არს მის თანა“ (1 იოანე 2.4). და ბოლოს, პავლე მოციქულის სიტყვები: „...არა ნსმენელნი სჯულისანი განმართლდენ წინაშე ღმრთისა, არამედ ნყოფელნი სჯულისანი განმართლდენ“ (რომ. 2. 13).

აუცილებლობა მოღვაწეობრივი რწმენის საქმით დადასტურებისა, აქსიომას წარმოადგენდა ეკლესიის ძველ მსახურთათვის. წმ. კლიმენტი რომაელი ამის შესახებ წერდა: „ასე და ამგვარად, ჩუენ რა უნდა ვაკეთოთ, ძმებო? ნუთუ ჩამოვრჩეთ კეთილ საქმეებსა და სიყვარულში? არა და კიდევ ერთხელ, არა! ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ეს დაგვემართოს! პირიქით, მთელი მონდომებითა და მზადყოფნით ვიჩქაროთ კეთილის ქმნისათვის. კეთილი და პატიოსანი მუშა თამამად ჭამს პურს — თავისი შრომის საზღაურს, ზარმაცი და დაუდევარი კი თვალსაც ვეღარ უსწორებს მას, ვინც ესა თუ ის საქმე დაავალა და ჩვენც ვალდებულნი ვართ, ვიყოთ გულმხურვალე ქველმოქმედნი, რამეთუ ყველაფერი მისგანაა, ღვთის მიერაა“, ამას წერდა წმ. კლიმენტი თავის პირველ მიმართვაში. კორინთელთადმი მეორე ეპისტოლეშიც დაუბრუნდა იგი ამ საკითხს: „როგორ უნდა გამოიხატოს ჩვენი რწმენა მასთან, ე. ი. ღმერთთან, დამოკიდებულებაში, განა ისე, რომ განვდგეთ მისგან, ვისგანაც ის შევიცანით? უფალი თვითონვე ამბობს — „ყველა, ვინც აშკარად მაღიარებს მე ადამიანთა წინაშე, ვაღიარებ მე მამისა ჩემისა წინაშე“. ასეთია საზღაური ჩვენს მიერ ღვთის აღიარებისათვის. მაგრამ როგორ, რა სახით უნდა ვაღიაროთ ჩვენ იგი? იმით, რომ უნდა შევასრულოთ მის მიერ დარიგებები და არ უგულვებელვყოთ მცნებანი: თაყვანი ვცეთ მას არა მხოლოდ ენით, არამედ მთელის გულითა და გონებით. ისაია წინასწარმეტყველის პირით ბრძანებს უფალი „ეს ხალხი მხოლოდ ენით მადიდებს მე, გულით კი შორს არის ჩემგან“. ასე რომ, ნუ დავკმაყოფილდებით მხოლოდ იმით, რომ ღმერთად სახელვდეთ იგი. ეს ფაქტი ჩვენ ვერ გვიხსნის. ქრისტე გვეუბნება — „არა ყოველი, რომელიც მეტყუის მე: უფალო! უფალო! დაიხსნება, არამედ — მართლისმქმნელი. ამიტომ, ძმებო, ვაღიაროთ უფალი ჩვენმიერი კეთილი საქმეებით, ურთიერთსიყვარულით, არა მრუშობით, არა პირმყრალობით ერთმანეთისადმი, არა შურით, არამედ თავშეკავებით, პატიებით, მოწყალებით. ჩვენ უნდა ვწუხდეთ ერთმანეთისთვის და არ უნდა ვიყოთ ანგარნი. მხოლოდ ამგვარად მივეახლებით ჩვენ იესო ქრისტეს“.

ამავე თემაზე შეგვეძლო ეკლესიის მამების გამონათქვამნი მრავლად მოგვეხმო, მაგრამ ერთი მათგანის გახსენებაც საკმარისი იქნება... იოანე ოქროპირი ქადაგებს: „გეევედრებით თქუენ, დიდის მონდომებით მოეპყრათ იმ მიზანს, რომ ჩუენ ვიყოთ განმტკიცებულნი ჭეშმარიტი რწმენის მიერ და კეთილცყოფელურად წარვმართოთ ჩვენი ცხოვრება. ჩვენ თუ რწმენას ღვაწლით შემოსილი ცხოვრებით არ გავაცისკროვნებთ, თავს განვიმზადებთ უმკაცრესი სასჯელისათვის... თვით ქრისტეც, წმ. სახარებასა შინა, იგავთა მეშვეობით გვაუწყებს, რომ უკეთურნი, თუნდაც ეშმაკეულთა დამხსნელნი და წინასწარმეტყველნიც კი, დაისჯებიან თავიანთი ცხოვრების გამო... ყველა იგავი, იგავი ქალწულზე, ბადეზე, ეკალზე, ხეზე, რომელიც უნაყოფო იყო, გვამცნობს, რომ ჩვენ მარად კეთილსინდისიერნი უნდა ვიყოთ. დოგმატების შესახებ ღმერთი იშვიათად მსჯელობს, რამეთუ მათი დაჯერება არ არის ძნელი, ხოლო კეთილსინდისიერ ცხოვრებაზე ძალიან ხშირად, უფრო სწორად, ყოველთვის. ეს იმიტომ, რომ ცხოვრების გზაზე გვიწევს მუდმივი ბრძოლა და სიკეთისადმი დაუდეგრობა, ოდნავი წაყრუებაც კი ხშირად უდიდეს განსაცდელში აგდებს ადამიანს. ასე მაგალითად: უყურადღებობა მოწყალების გაცემისადმი უმოწყალოს ჯოჯოხეთს უქადის...“ სხვა ადგილას წმ. იოანე ოქროპირი ამბობს: „არც ნათლობა, არც განტევება ცოდვებისა, არც თანამდებობა, არც მონაწილეობა წმ. საიდუმლოებებში, არც წმიდა ტრაპეზი, არც ზიარება სისხლითა და ხორცით და არაფერი ამის მსგავსი არ მოგვიტანს ჩვენ სარგებელს, თუ არ ვიქნებით ალალმართალნი და განწმენდილნი ყოველგვარი ცოდვებისაგან“.

ამრიგად, მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებით, რწმენისმიერი ადამიანის გამოხსნის აქტში უნდა განვასხვაოთ ორი მხარე: ერთი წარმოადგენს ისტორიულ ფაქტს — იესო ქრისტეს მიერ ჯვარცმით ადამის მთელი მოდგმის, კაცობრიობის გამოხსნას, რომელიც მოხდა არა ადამიანთა დამსახურებით, არამედ ადამიანებისადმი ღმერთის უსაზღვრო სიყვარულის გამო. ამიტომ ადამიანის გამოხსნის ამ მხარეს, გზას, შეიძლება დავარქვათ ობიექტური. მეორე მხარე, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ სუბიექტური, გულისხმობს თვით ადამიანის თანამონაწილეობას თვისსავე ხსნაში. კონკრეტულად კი ეს თანამონაწილეობა გამოიხატება ქრისტეს ადამიანისეული რწმენით — მხსნელის რწმენითა და ქველმოქმედებით.

ნ. უსპენსკი

თეოლოგიის მეცნ. დოქტ.
ლენინგრადის სასულიერო აკადემია

ქადაგებანი

ბულგარეთის პატრიარქ მაქსიმეს ქადაგება წარმოთქმული დიდუბის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში საღმრთო ლიტურგიის აღსრულების შემდგომ 8(12) სექტემბერს

თქვენო უწმიდესობავ!

მაღალყოვლადუსამღვდელოესნო ღირსნო მამანო, ძმანო და დანო!

„ღვთისმშობელო ქალწულო,

გიხაროდენ! მომადლებულო მარიამ, უფალი შენთანაა.

კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის

და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა,

რამეთუ მაცხოვარი გვიშევ სულთა ჩვენთა“.

ასე განადიდებს ეკლესია დედასა ღვთისასა, წმიდა მარიამს მისი შობის დღეს.

ესე არს დღე ღვთისმშობლისა. გიხაროდენ კაცნო ამა სოფლისანო! ეს დღე წმიდა ანდრია კრიტელის სიტყვებით არის ყველა სხვა დანარჩენი დღესასწაულის დასაწყისი. იგი არის სიკეთისა და სიწრფელის წიაღში შესასვლელი კარი... რამეთუ მის შიგან შეიმოსა შემოქმედის განსულიერებული ხატი.

„ღვთისმშობლის შობა საყოველთაო სიხარულის დღეა, რამეთუ მის შემდგომ ახალი სიცოცხლით აღივსო კაცობრიობის ცხოვრების ხე და ჩვენი დიდი დედის—ევას მწუხარება სიხარულით შეიცვალა — ამბობს იოანე დამასკელი.

წმიდა მარიამი ნაზარეთში იშვა. მისი მშობლები იოაკიმ და ანა უკვე ხანდაზმულები იყვნენ, როცა ღვთის განგებითა და ნებით, მათ ქალი ეყოლათ. ღრმად მორწმუნე მშობლებმა მადლიერების ნიშნად იგი ტაძრად მიიყვანეს და უფალს შესწირეს.

წმიდა მარიამის შობით იოაკიმ და ანა გათავისუფლდნენ თავიანთი ადამიანური ცოდვებისაგან, ადამი და ევა კი მარადიული ტანჯვისაგან. ასევე ჩვენც, ადამიანები, ბევრი ცოდვისაგან ვთავისუფლდებით, როცა რწმენით ვლოცულობთ...

ღვთისმოყვარე ძმანო და დანო! სიხარულია ყველა სახლში, როცა ახალი ადამიანი იბადება. ყველგან ხარობენ ქვეყნად ახალი სიცოცხლის მოსვლას და ამ სიხარულის ნიშნად ახლად დაბადებულსა და მის მშობლებთან ყველაზე უკეთესი სურვილებით მიდიან. ასე ხდება ჩვეულებრივ ცხოვრებაში, მაგრამ რაოდენ უფრო მეტი უნდა იყოს მორწმუნეთა სიხარული, წმიდა მარიამის დაბადების დღეს. ეს დღე გვაუწყებს ახალი ერის მოახლოებას. ხარობენ კაცობრიობის პირველი მშობლები და, მათთან ერთად, მთელი მათი შთამომავლობა.

მოდით ჩვენც ერთხელ კიდევ განვუცხადოთ სიყვარული წმიდა დედა მარიამს. ყვავილებთან ერთად, რომელიც მის ხატს ამკობს, მივუძღვნათ მას ჩვენი სულიდან მომდინარე გულწრფელი საგალობლები. მოდით, ჩვენც მისი სიწმიდით, მისდამი უღრმესი რწმენით, იმედით, კეთილსინდისიერებით, ღვთისმოშიშობით, შრომისმოყვარეობითა და ლოცვით მივყვეთ მის გზას.

„ეტყოდეთ თავთა თჳსთა ფსალმუნითა და გალობითა და შესხმითა სულიერითა, უგალობდით და აქებდით გულითა თქუენითა უფალსა“ (ეფ. 5. 19).

წმიდა ქალწული მარიამი, მშობელი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, არის ყველა კეთილმორწმუნე ქრისტიანის ზეციური მფარველი და მოწყალე მისი. იგი არის ყველა გულით შემნანებელი ცოდვილის შემწე. უყვარს ისინი თავისი საყვარელი შვილის, იესო ქრისტეს სახელით. იესო ქრისტესი, რომელიც ქვეყნად ჩვენი ცოდვების გამოსახსნელად მოვიდა.

ეკლესია წმიდა მარიამს უგალობს, ვითარცა „უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაბიმთასა“, ჭეშმარიტ მშობელსა ღვთისასა, რომელმაც მოგვივლინა ქვეყნად მხსნელი ჩვენი. იგი მარად ჩვენთანაა და ისმენს ჩვენს ლოცვებს.

შევევედროთ მას, მარად მფარველობასა და მშვიდობას ქვეყნად. ვილოცოთ, რომ კაცობრიობამ განაგდოს ყოველივე ბოროტი და ადამიანი კვლავ ადამიანის საყვარელ ძმად იქცეს. რაოდენ კეთილშობილია მისწრაფება, რომელსაც ჰქვია „მშვიდობა ყოველთა“.

მშვიდობა ყოველთა...

რწმენითა და ლოცვით, მშვიდობითა და კეთილმოქმედებით ვადიდოთ ღმერთი ჩვენი და წმიდა დედა, მარად ქალწული მარიამი. ამინ!



სულხან-საბა ორბელიანი

სწავლა სიმთვრალისათვის

საქართველოს დიდი მნათობის, დიდი მწერლის, დიდი საეკლესიო მოღვაწის ეს ქადაგება შესანიშნავად ეხმიანება და ხსნის იმ მიუტევებელ დანაშაულს, რომელიც ჰეროდე მეფემ იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთით ჩაიდინა. იგი, ასევე, კარგად ესადაგება ჩვენი ჟურნალის გვერდზე გამოქვეყნებულ წერილს იოანე ნათლისმცემლის შესახებ. ქადაგება გადმოვბეჭდეთ „წერილის თხზულებათა III ტომიდან. გვ. 212, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1963 წ.

„ნუ დაითვრებით ღვინითა, რომლითა არს სიბილწე, არამედ აღივსენით სულითა“ — წმიდა პავლე დიდი მოციქული მიუწერს ეფესელთა ე თავსა შინა (ეფეს. 5,18).

საყვარელნო, რაჲსათვის გიშლისთ სიმთრვალესა წმიდა მოციქული, რჩეული ღმრთისა?

— ამისათვის, შვილნო, რამეთუ სიმთრვალე ყოველსა კეთილსა დაჯსნის; არათუ ოდენ ყოველთა სიკეთესა დაჯსნის, არამედ კეთილისა წილ ბოროტსა აღმოაცენებს.

გესმისთა რასა იტყვის: „ნუ დაითვრებით ღვინითა, რომლისაგან არს სიბილწე“?

ვინაჲთგან ღმერთმან მიწა განაკაცნა და ცხოელი სული შთაგბერა, სიბრძნე მოგცათ და ნათლისღებისა მიერ შვილ ღმრთისაჲ გყოთ, პატიოსანი სისხლი თვისი დასთხია, რათა არა წარვსწყმდეთ თვისად სამკვიდრებელად და სულისა წმიდისა სადგურად განგვამზადნა, ჩვენცა თანაგვაც, რათა მცირესა რასამე შერყვნილებასა ვეკრძალებოდეთ და სრულიად სიწმიდესა ვიღვაწიდეთ, რათა დაიმკვიდროს ჩვენ შორის სულმან ყოვლად წმიდამან, და ჩვენთვის ჯვარცმულსა ქრისტეს თანა მივიწივნეთ, სადა მსახურნი მისნი არიან, არა-თუ ნებსითა თვისითა ესოდენ დავითრვნეთ, ყოველნი ნიჭნი ღმრთისანი წარვსწყმიდნოთ, და სული წმიდა განვიშოროთ და სიბილწე მოვიგოთ.

განიხილე და, რაბამ საძაგელ არს სიბილწე, თქვენვე თქუთა!

ოდეს ვისმე საპოსელი ახალი და კეთილი გემოსოთ, ერიდებით იწყებთ ზრუნვასა და ნავღელსა და დაგიმძიმდებათ დიდად და ამას არა ხედავთ, რამეთუ საპოსელიცა იგი და ყოველივე ოქრო და ოქრო-ქსოვილი და ჭიჭნაური, რომელ არს აბრეშუმი, სრულიად მიწითგან არს და მიწა მიწასა მოეცხო, ამისათვის შესწუხდებით და შეშფოთდებით, ხოლო სულისა თქვენისა შებილწებასა არა ზრუნავთ და არცა განეკრძალებით, რომელი ღმერთმან ესრეთ შვენიერი დაბადა, მზისაგანცა უნათლეს არს, და ესრეთ პატიოსანი შექმნა, რამეთუ ღმერთმან ესრეთ შეიყვარა კაცება თვისი; კაცთა დამბადებელი ღმერთიცა განკაცნა და ჩვენი ჯორცნი შეისხნა და ესრეთ უსასყიდლოდ განაჩინა იესუ ქრისტემან, თვისი პატიოსანი სისხლი მისად სასყიდლად დასთხია.

ხედავთა, ვითარ უპატიოსნეს არს სული ჩვენი ჩვენსა უნდოსა ამას სამოსელსა? და თქვენისა სამოსლისა ოდენცა არა განეკრძალებით სულთა თქვენთა, რათა არა შეიბღალოს, და თქვენ სიმთრვალითა დიდადცა შეაბილწებთ და მწვირიან და საძაგელ ჰყოფთ მას.

გგონესთ, რათა სვამთ მეტსა ღვინოთა და განმხიარულდებიან გულნი თქვენნი, სიხარული რამე მოსცეს თავთა თქვენთა და არა სიბილწე? მაშინ ღვინითა ოდესცა მხიარულ ხარ, არათუ სიხარული რამე შესრულ არს ტკბილად შენდა, არამედ შმაგობა შევალს და სიბრძნე ივლტის და სიშმაგე იგი განსცხრების და იხარებს, ამისთვის რაჲეთუ განაძო სიბრძნე და დაიპყრა ყოველი სადგური სიბრძნისა სიშმაგემან მან და, რაცა ნებავს, იქმნ და გაქმნევს. და ესე არს სიხარული იგი!

მითხარ მე, ჰოი საყვარელო, რა საჲსიხარულო შეგძინა შენ სიმთრვალემან: სიბრძნე და ჭკუა მოგიმატა, სიმშვიდე და სიწყნარე მოგიძღვნა, საპატიო ყოფა-ქცევა გასწავა, ოქრო და ვეცხლი შეგიკრიბა, ღვინო, პური და ხვალტაგი განგიმრავლნა, საუნჯე საზრდოჲთ აღგივსო, კაცთა დაგამეგობრა, მტერთა დაგაზავა, ცოდვის მოტევებასა ღირს გყო ანუ სათნოება ღმრთისა გაქმნია? რა საჲსიხარულო გიძღვნა ღვინომან, მაჩვენეთ მეცა!

ბრძანებს უფალი მათეს სახარების **იჱ**: „არა **მოვედ** დაჯსნად სჯულისა, არამედ აღსასრულებლად“ (მთ. 5,17).

იხილეთ, მემთრვალენო, ვითარ სიმთრვალე ქრისტესაგან აღსრულებულსა სჯულსა ყოველსავე დაჯსნის და ღმრთისა მცნებათა ათთა, რომელი მოსცა მოსეს, ყოველსავე გარდაჰკდების და უგულებელს ჰყოფს!

პირველი მცნება არს: დამბადებლისა ღმრთისა მონება და არა კერპთა თაყვანისცემა.

იხილე, თუ რა შეემთხვიათ ისრაელთა, რომელი წერილ არს გამოსლვასა **ლბ** თავსა შინა: ვითარ სჯულისა გარდასლვითა ჰამდეს და სმიდეს და სიმთრვალით როკვიდენ წინაშე კერპთა, რომელი ქმნეს ჯბონი ოქროჲსაგან და რაოდენი საძაგელება სხვა აღასრულეს და რაოდენი

ბილწება ქმნეს, ვიდრე რისხვაცა ღმრთისა მოწევნად იყო მათ ზედა, უკეთუმცა მოსე არა ვედრებულიყო.

უკეთუ სიმთრვალემან ძეთა ისრაელისათა ერთა ღმრთისათა და რჩეულთა უფლისათა ესრეთ უყო, თქვენა არარა გავნოსთა? თუცა კერპთა თაყვანი არა სცეს მემთრვალემან და ღმერთად არა აღიაროს, შიშთა ღმრთისათა და ცნობასა სჯულისა მისისათა უეჭველად მიუღებს და ქრისტეს სიყვარულისა სურვილსა მისტაცებს-ყე და სულსა წმიდასა განაშორებს და მის წილ სასოდ და იმედად მფარველად ნამთრვალეობისა უმეცრებასა და უგულისხმოებასა დაგიშთენს.

მეორედ წერილ არს: „არა მოიღო სახელი ღმრთისა შენისა ამაოსა ზედა“ (გამოსლ. 20,7).

აღმოიკითხე დანიელისა წიგნისა მეხუთე თავი, რა ყო ბალტასარ მეფემან უშჯულომან სიმთრვალესა შინა, ვითარ გამოითხოვნა ჭურჭელნი ტაძრისა ღმრთისანი, მით სმიდა ხარჭთა თვისთა თანა და სახელი ღმრთისა საგმობელ ყო და ჭურჭელნი სახლისა ღმრთისანი სასმელად მეძავთათა შექმნნა. ამისთვისცა იხილა ჯელი მწერალი კედელთა-ზედა აღმოფხვრად მისდა.

სულხან-საბა ორბელიანი. ნახატი ლ. გუდიაშვილისა

მემთრვალენი ყოველნი არა იკმაებენ ღვინოთა, არამედ უფროჲსად და უფროჲსად მოიმატებენ, დაღაცათუ ჭურჭელი ტაძრისა პოვნეს, არცაღა მას ჰრიდებენ და მით უდიდესად სმენ და სახელსა ღმრთისასა შეურაცხჰყოფენ და ზედასა-ზედა წმიდასა სახელსა მისსა სიცრუით იჯმევენ და რაოდენთა ცრუფიცობათა იტყვიან და რაოდენთა უშვერებათა აღასრულებენ.

გვამცნებს დღესასწაულსა დამარხვად.

აღმოიკითხე პირველისა მეფეთა ბ თავი: ძენი ჯელი მღვდლისანი უძღებნი და უწესონი იყვნენ და ნამეტნავისა მიღებითა ვითარისა რისხვითა მოსწყდენ და შჯულის კიდობანიცა მიეღოთ.

მემთრვალენი მიზეზითა ლოცვისაჲთა მივლენ ეკლესიად, რეცა პატივისათვის დღესასწაულისა; არა-თუ ლოცვათა განეკრძალებიან, არამედ ჭამათა და სმათა ზედა აქვსთ გონება და ეკლესიათა შინა უგვანად დგანან და იცინიან და უბნობენ; და რა გამოვლენ, იწყებენ მთრვალობათა და სიმღერათა და არაკვებენ ქალთა და შეურაცხჰყოფენ ეკლესიათა და მრავალთა სიბოროტეთა იქმენ.

გვამცნებს პატივთა მამა-დედათასა (გამოსლ. 20,12).

აღმოიკითხე დაბადების **თ** თავი; ოდეს დაითრო ნოე, კაცი ღმრთისა და განშიშვლდა და ძეთა თვისთაგან საკიცხელი შეიქმნა.

მემთრვალენი არცა თვით უყოფენ პატივსა მამა-დედათა და არცა-ღა შვილთაგან პატივ-იცემებიან, რამეთუ ეკიცხვიან და აყვედრებენ, ჰგმობენ და ორნივე მცნებათა ღმრთისათა დამჯსნელ იქმნებიან; და სახლნი ვაჯშითა აღევსებიან, საუნჯენი დაუცალიერდებიან, ღვინო და პური მოაკლდებისთ, და სახლეულნი მშიერნი დაუშთებიან და ესრეთ საკიცხელ იქმნებიან.

წერილ არს: „არა კაც კლა“ (გამოსლ. 20,13).

ხედავ, რა ყო ჰეროდე მეფემან? ვითარი წინასწარმეტყველი მოკლა მთრვალობითა? დაღაცათუ აწინდელნი მემთრვალენი წინასწარმეტყველსა ვერა მოჰკლვენ, რაოდენი უბრალო მკვლელობა ქმნილ არს მთრვალობითა: რაოდენთა თავი თვისი მოუკლავსთ, რომელსამე — მოყვასი თვისი და მეგობარი და სხვათა — მამა, გინა ძმა, რომელსამე — შვილიცა და ცოლი, ანუ რაოდენნი უნახვან ცხედარსა ზედა განსვენებისასა სიმთრვალითა მკვდარნი?

წერილ არს არა — მრუშება.

იხილე, დაბადების **ით** თავსა შინა ლოთისათვის რასა იტყვის: სიმთრვალემან რაბამ უძვირესსა მრუშებასა შინა შთააგდო და სხვანიცა რაოდენნი შეაცთუნნა სიძვითა და მრუ-

შებითა. ნუ უკვე მემთვრალემან დაიცვას ჯორცი თვისი ცოდვათაგან და განეკრძალოს, არამედ გულისთქმანი. ვინა უწყის, რაოდენ გზის შეიბილწების, ანუ უშვერისა სიტყვითა და მოყივნებითა და გინებითა წარსწყმედენ სულთა თვისთა პატიოსანთა.

წერილ არს: „არა იპარო“ (გამოსლ. 20. 15).

აღმოიკითხე მსაჯულთა **იგ** თავი, ვითარ სამსონ რა უმსგავსო არა თუ ოდენ მპარაობა, არამედ ავაზაკობა ქმნა სიმთრვალითა, ოდეს იგი შვიდ დღე სმიდა, და ნაძლევისათვის იგავისა მის დაესხა მოგზაურთა, დაძარცვნა იგინი, და მთრვალობითავე აღმოუჯადნეს თვალნი ამისნი და მიეღო ძლიერება ღმრთივ მონიჭებული უკუეთუ ანგელოზის ხარებით შობილსა და ღმრთივ განძლიერებულსა სამსონს ესრეთ ავნო სიმთრვალემან, აწინდელსა კაცთა რამე უყოს ღვინომან? ვაიმე, ვხედავ, უეჭველად სულითა და ჯორცითა შთაიჭრეს ტარტაროზსა შინა!

არა-ცილისწამებასა გვამცნებს.

აღმოიკითხე ესთერის წიგნი, ვითარ ამან ამადოთელმან სიმთრვალესა შინა რა ცილისწამება შეუმზადა მარდოქეს და მოინება ისრაელთა დედაწულით მოსრვა და თვითვე დამოეკიდა ძელსა მას და მოსწყვიდნეს ძენი მისნი განგებითა ღმრთისაჲთა.

იხილეთ, ჰოი, მემთრვალენო, რაოდენნი ცილისწამებანი გამოვლენ თქვენ მიერ მეტნობითა ღვინისაჲთა!

არა გული გითქმიდეს ცოლთა და ქალთა სხვისათა.

აჰა, ვითარ ყო ოლომფორემ სიმთრვალითა, ვითარ წერილ არს ივდითის წიგნსა შინა: ბილწისა გულისთქმითა ესოდენ განძლიერებული და ქვეყნის მპყრობელი სპასპეტი ერთისა დედაკაცისა ჯელითა მოიკლა!

ესრეთ დაჯსნის ყოველთა მცნებათა ღმრთისათა, ესრეთ უარჰყოფს ყოველთა წესთა მჯულისათა, ესრეთ შეარცხვენს სიმთრვალე ამას სოფელსა და წარწყმედს საუკუნომდე.

საყვარელნო, დაღაცათუ მთრვალობა ერთსა რასამე მცირესა ბოროტსა მოგვატყვებს, თანა-გვაც, რათა არა დავითროთ, ვინაჲთგან ესრეთ საძაგელ არს სიმთრვალე: ღმერთსა განგვაშორებს, მისსა შჯულსა და მცნებასა დაჰკსნის, ყოველთა კეთილთა მიგვიღებს და მრავალსა ბოროტსა შეგვძინებს, სასუფევლიდამ განგვიყვანს და ჯოჯოხეთსა შინა საუკუნოდ წარგვწყმედს.

მაშა, არა ჯერ-არსა განშორება სიმთრვალისაგან?

საყვარელნო, ღმრთისა წინაშე ესრეთ საძაგელ არს სიმთრვალე, გესმისთა, და შჯულისა წინააღმდგომ?

აწ განვიხილოთ, თუცა საწუთოსა სოფელსა ამას შინა რა სარგებელი მოგვცეს, ანუ ჯორცთა ჩვენთა რამე კურნება გვიყოს.

უზმამან ვინმე იხილე საყვარელი შენი მთრვალი მომავალი, თუ ვითარ განგმო გულთა შინა შენთა, განჰკიცხო და საძაგლად სახილველად აღგიჩნდეს. უკეთუ სხვა მთრვალი მოყვასი შენი საძაგელ სანახავ არს წინაშე თვალთა შენთა, ეგრეთვე ყოველნი მთრვალნი წინაშე სხვათა ხილვებიან, რომელნიცა დაითრვენ. კვალად მემთრვალესა კაცსა ყოველნი ჰგმობენ და სიყვარულსა განიშორებენ, სიტყვასა არღარა ურწმუნებენ, მეფეთა და წარჩინებულთა წინაშე წყალობას ვერ ჰპოებნ, ძმათა და მოყვართაგან კიდე იქმნების, დედაწულთაგან სასაჩივროდ გახდების, ომთა და ბრძოლათა შინა დაზიანდების, სავაჭროთა შინა იავარიქმნების, ღვიძლი განუჯურდების, გონება დაუსუსტდების, სიმრთელე გაეცლების და გვამთა აგებულება სნეულებითა აღევსების, თავის ტკივილი განუმრავლდების, თვალთა სიწითლე განუჯშირდების, მხედვარობა და სინათლე მიაკლდების, ყურნი სმენად დაუმძიმდებიან, გულთა მფლობელობა უსუსურ იქმნებიან, ტვინნი დაუთხელდებიან და ჭკუა და ცნობა დაეფანტებიან, თავი და ჯელნი თრთოლას დაუწყებენ. თუმცა სნეულება განუმძლავრდა, სიკვდილსა ვერღარა გულისხმაჰყოფს; ნუ უკვე სინანულად მოვიდეს და სინანულისა მიერ სულნი იცხოვნენ.

თქვენ ყოველთავე იცით და უწყით, რამეთუ ესე ყოველივე ესრეთ არს და ამას არა-თუ მხოლოდ მთრვალობისა მოძულენი მიემოწმებით, არამედ თვით იგინივე მემთრვალენი და მის საქმისა მოქმედნიცა საძაგლად სდებენ სიმთრვალესა და სხვასა და სხვასა აუგსა იტყვიან მემთრვალობისასა.

ჰოი მემთრვალენო, უკეთუ ბოროტ არს სიმთრვალე, რაჲსათვის ზედასა-ზედა ითრობით და ყოველივე მონაგები თქვენი გარდაგიგიესთ მთრვალობისათვის? და უკეთუ კეთილ არს, თქვენს საყვარელსა და მარადის თქვენგან გაუყარსა საქმესა რად იყივნებთ, და აძაგებთ და ბოროტსა უთქვამთ?

საყვარელნო, ამით სცანთ სიბოროტე მემთრვალობისა: ვინაჲთგან ყოველთავე შჯულთა და წესთა განრყვნის, და ღმრთისა საძულველ არს, და ქრისტეს პატიოსნის სისხლით მოსყიდულსა სულსა თქვენსა ბოყინსა და ნათხევარსა ზედა განჰყიდის, და საწუთროსა ამას სოფელსა შინა ესეოდენსა სავაებოსა მოსცემს: დააგლახაკებს, დაასნეულებს, მეფეთა და მოყვასთაგან განაშორებს, საყვარელთა ცოლთა და შვილთა მოაძულებს, ამისსა ფასსა რასა სარგებელს გიყოფს მემთრვალობა, ანუ რამე კეთილისა ძალ-უც შეძინებად, მითხარი მე?

იტყვიან ვინმე მემთრვალეთაგანნი: მაშა, რად დაბადა ღვინო ღმერთმან, უკეთუ არა ვსვათ და არა ვილხინოთ?

ჰეე, ღმერთმან დაბადა ღვინო კაცთათვის სასმელად, და საკურნებელად და ჯორცთა სასიმრთელოდ, არა-თუ — სამთრვალოდ და გასაშმაგებლად და სასნეულოდ და სასიკვდილოდ. ღმრთისაგან თქვენთვის სიმრთელის წამალსა ესოდენსა შესვამთ, სტომაქმან ვერ დაიტიოს და სენად გარდაგექცესთ და თვით თავისა თვისისა მკლველნი ბოროტად მოსწყდეთ.

ჰეე, ღვინო დაბადა ღმერთმან ლხინისათვის, არა-თუ ჭირისათვის, მემთრვალენი ვინაჲთგან ლხინად უჯმობენ, იგი არა თუ ლხინი არს, არამედ უფროჲსად ჭირი და ვაება:

მაშინ არს უწესური ჭამა, უნებური სმა, შეუგვანი წარსაგებელი, ამაო საუბარი, უშვერი სიცილი, ურცხვინო ალერსი, ბილწი სიმღერა, ბოროტი როკვა.

ძმანო, ესე ყოველივე ჭირი არს და არა ლხინი!

მაშინ არს ცნობისა მიღება, სიბრძნისა წარდევნა, ხელობის მოწვევა, სიცოფისა სწავლება, საქონელთა ურიდად ფანტვა და ნათხევართა მოშოება.

ძმანო, ესე არა-თუ ლხინი არს, არამედ ჭირთა უჭირესი!..

ამისთვის მიუწერს წმიდა პავლე მოციქული კორინთელთა პირველის ებისტოლის 3 თავსა შინა: „არცა მეძავთა, არცა კერპთმსახურთა, არცა მემრუშეთა, არცა ჩუკენთა, არცა მამათ-მავალთა, არცა ანგაართა, არცა მპარავთა, არცა მემთრვალეთა, არცა მაგინებელთა, არცა მატაცებელთა სასუფეველი ღმრთისა ვერ დაიმკჳდრონ“ (კორ. 1,6, 9—10).

ჰოი, სიმთრვალე ბოროტი და ყოველთა ბოროტთა უბოროტესი!

გესმისთა, რაბამ საძაგელ არს სიმთრვალე და რაოდენთა უშჯულობათა და ღმრთისა მტერობასა თანა შერაცხა მოციქულმან? ხოლო მე ეგრე ვგონებ, რამეთუ უბოროტესცა და უმძიმეს ამათსა არს მთრვალობა, რამეთუ დიდნი ცოდვანი არიან და მტერობა ღმრთისა ზემო წერილნი ესე ცოდვანი, არამედ ნუ ყოს ღმერთმან, და უკეთუ შეემთხვევა ვისმე სიძვა ანუ პარვა, ანუ კაცის კლვა, წამსავე შინა შეიკდემს, შეიშინებს ღმრთისაგან და შეირცხვენს კაცთაგან, იწყებს სინანულად გულითა ლმობილითა, თავსა თვისსა ცოდვილად უწოდებს და ცრემლოან და მოძღვართა და საკანონოთა მოიძიებენ, ხოლო მემთრვალენი არა-თუ შეირცხვენენ, არამედ უხარის და უფროჲსად სმენ, უდიდესთა შთაიხმენ და უფროჲსად ურცხვინოდ განეშორებიან ღმერთსა, და დაივიწყებენ სინანულსა და თავსა თვისსა კეთილმოქმედად უწოდს, და უხვსა და მოლხინესა დანატრიან თვისთა სიბორგილეთა და იქადიან დიდად ბოროტთა ზედა, და გმობენ ზომიერად მჭამელთა და ძუნწად და პურშავად ხადიან მათ.

იუწყეთ, საყვარელნო, იესუ ქრისტემან, ღმერთმან ჩვენმან, ცოდვილთათვის ვნებულმან ყოველი ცოდვილი შეიწყალა, მეძავნი და მემრუშენი აცხოვნა. თვით უწყით, მარიამ მაგდალინელი ვითარი იყო; უარისმყოფელი პეტრე თავ მოციქულად დაადგინა, ეკლესიისა მდევარი პავლე სამ ცადმდე აღამაღლა, ანგარი მათე მეზვერე მახარებელ ყო, გრძნების მოქმედნი მოგვნი ბეთლემს მოსლვითა სასუფევლისა ღირს ყვნა, ავაზაკი უბრალოს სისხლით შეღებილი ზეცისა სამოთხისა ზიარ ყო, ქანანელს დედაკაცსა... და ყოველნი ცოდვილნი აცხოვნა. არამედ არა სადა აღმოგვიკითხავს და არცა გვასმიეს მემთრვალე შეწყალებული, ანუ შეწყნარებული, ანუ ცოდვისა მიტევებული.

აწ. საყვარელნო, ვინაჲთგან ესრეთ საზარლად საძაგელ არს სიმთრვალე, ამიერითგან ივლტოდეთ და ნურღარა დაითრობით, რომლისაგან არს ესოდენი სიბილწე, და ისწავეთ ზომიერი ჭამა და სმა, რათა ღმერთმან ღირს გყოსთ და მოგცესთ სინანული და აღგიყვანოსთ ზეცისა სასუფეველსა, სადა არიან ყოველნი წმიდანი. ამინ.



ᲨᲘᲝ (ᲐᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ)
ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი



რაცა ღმერთსა არა სწადდეს

ᲨᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲕᲔᲚᲖᲔ

„ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და
თჳნიერ მისა არცა ერთი რაჲ იქმნა,
რაოდენი-რაჲ იქმნა“ (იოანე, 1,3).

მორწმუნეთათვის უდაო ჭეშმარიტებაა, რომ ღვთის გარეშე ამ ქვეყნად არაფერი არ ხდება და არ იქმნება.

„რა ძლიერი ხარ, ო, ჩემში, ღმერთო!“, — აღმოხდა მიქელანჯელოს, როდესაც ის სიხარულისა და ზრომის ოფლში გაღვრილი ქვის უტეხ ლოდს ებრძოდა, რათა მისთვის ის სახე მიეცა, რომელიც ღმერთმა შთაგონა. შთაგონების გარეშე ვერავინ ვერაფერს შექმნის ამ ქვეყნად. ამ პატარა წერილში ჩვენ გვინდა შევეხოთ რუსთველის იმ გენიალურ შთაგონებას, იმ ნათელ მუზას, რომლითაც მან მწერლობაში ღვთისმეტყველება და მიწიერი ცხოვრების ბიბლიური ახსნა გამოაბრწყინა. მაგრამ რა არის მუზა, სად იბადება იგი, საიდან მოდის, რა ძალა აქვს და რა საიდუმლო?

მუზა ღვთისმიერი ნიჭია, რჩეულ ადამიანთადმი მომადლებული. მუზა გზა არის ზეცის სხივისა ცისა და მიწის შესაერთებლად. იგი მზერაა უხილავის დასანახავად, იგი აზრი და საოცრებაა თავად ღმერთთან სალაპარაკოდ... მხოლოდ რჩეულებსა და გულით მდიდრებს ანიჭებს ამ ნიჭს მაღალი ღმერთი... მაგალითად: მუზა ღმერთმა მოჰმადლა უბრალო მწყემსს, წინასწარმეტყველების მადლიც უბოძა მას და შემდეგ მეფედაც აღამაღლა.

წინასწარმეტყველი და მეფე ისრაელისა დავითი, ოდესღაც მწყემსი, კომბლით ხელში, ლექსად თხზავდა ღვთის სადიდებელ უტკბილეს ფსალმუნებს და თავადვე ამღერებდა მას საკრავზე. მოდით ვუსმინოთ ინის სიბრძნეს და მუზის კაშკაშს: „ცანი უთხრობენ დიდებასა ღვთისასა და ქმნულთა ხელთა მისთასა მიუთხრობს სამყარო“. რასაც მთელი წიგნი ვერ დაიტევდა, რასაც ასტრონომის გამჭრიახი გონება ვერ ჩაიტევდა, ღვთისგან ადამიანზედ ბოძებულმა ელვარე ნუზამ ამ ორ სტრიქონში სთქვა... ესაა მუზა. ამასვე ბრძანებს დიდი რუსთველი: „გრძელი სიტყვა ნოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“.

მოწყალე ღმერთმა უხვად მოჰმადლა მუზის ნათელი ჩვენი ლამაზი სამშობლოს მრავალ პოეტს, მაგრამ ელვარება შოთას მუზისა ისეთ ზენიტზე ასტყორცნა, საიდანაც მას შეეძლო საუბარი ქვეყნის გამჩენთან... არა თუ მარტო ქართველი ერის გულსა და გონებას ანათებს მუზა შოთასი, არამედ ყველას, ვისაც კი ატკბობს პოეზიის თავანკარა მდინარეები. შოთას წიგნიდან უბრალო სტრიქონები კი არ მოგვიხმობენ ჩვენ ჩვენი სულის ზეაღმაფრენად, არამედ ღმერთის ყველგან მყოფი უკვდავი სული გვეძახის.

თავისი ნიჭით ღვთიური მუზის უბადლო მეფემ, რუსთველმა უმღერა ღმერთს, ყველაფრის გამჩენს. იგი ადიდა, ვისი ძალა და საოცრება სცილდება განზომილებებსა და საზღვრების კიდეგანს... რად ღირს თუნდაც დასაწყისი მისი წიგნისა:

„რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ჰყვნა ზეცით
მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი
ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე, სახითა მის მიერითა“.

დაახლოებით ასე დაიწყო ღვთის წმიდა სულმა, დიდი წინასწარმეტყველის მოსეს მარჯვენით თავისი მადლიანი ბიბლიის წერა და ასევე დაიწყო ღვთიურმა მუზამ რუსთველის მარჯვენით წერა უკვდავი „ვეფხისტყაოსნისა“. შოთა რუსთველი აღიარებს იმ ღვთიურ ძალას, რომელსაც თავად ღმერთი მოგვმადლებს მტრისა და ბოროტის დასათრგუნავად.

„ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად
მტერთად,
ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოვლთა მიწიერთად,
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი
ღმერთი ღმერთად,
იგი გახდის წამს-ყოფით ერთსა ასად, ასსა
ერთად“.

აი, ასეთად სწამდა ღმერთი რუსთველს და ასეთად სწამდა იგი უდიდეს მეცნიერს ჩვენი საუკუნისას და ყველა დროისას, ალბერტ აინშტაინს. შეადარეთ:

„ათასი წელი და ათასი განზომილება, როგორც ერთი“
(აინშტაინი)

„იგი გახდის წამისყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად“
(რუსთველი)

გენიალურ ფიზიკოსსა და გენიოს პოეტს ერთნაირად შეუცვნიათ ღმერთი, მეთორმეტე საუკუნისა და მეოცე საუკუნის ადამიანები ერთი სიმაღლიდან უყურებენ განუზომელ სინათლეს.

ადამიანისათვის, ცხადია, იქნება ის ფიზიკოსი, ასტრონომი, მხატვარი თუ პოეტი, ღმერთი ერთნაირად შესამეცნებელია. იგი ერთია, პირველი სუბსტანცია ყოველივესი, ყველგან მყოფი, მიუწვდომელი გონიერება, განუზომელი სიკეთე და უსაზღვრო სიყვარული. იგია ალფა და ომეგა, პირველი და უკანასკნელი სისავსე მარადიული მოძრაობისა და ცვალებადობისა. იგია აბსოლუტური სული, აბსოლუტური ნათელი და ჭეშმარიტება... რუსთველის დიდი გონება მზის სიმაღლიდან ჭვრეტდა მის სრულყოფილებას და ისეთი ამაღლებული პათოსით წერდა თავის საოცარ ქმნილებას, როგორც ცეცხლმოდებულ მაყვლოვანთან მისული მოსე თავის ღვთაებრივ ბიბლიას. ამიტომაც „ვეფხისტყაოსანი“ იკითხება ღვთაებრივი აღტაცებით:

„არას გარგებს სიმძიმილი, უსარგებლო ცრემლთა დენა,
არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა,
წესი არის მამაცისა: მოჭირვება, ჭირთა თმენა,
არვის ძალ-უც ხორციელსა განგებისა გარდავლენა“.

ბიბლიაში განცხადებული და რუსთველის მაღალი გონებით აღქმული ღვთაება იდენტურია. პოეტი აღიარებს მას, როგორც ყოველივეს მომცველ ძლიერებას. გასაოცარი მოკრძალებით უხატავს რუსთველი ავთანდილის პირით ამ ქვეყნის ამაოებას როსტევან მეფეს:

„მერმე ვიშიშვი, მეფეო, თქვენად კადრებად ამისა,
სცდების და სცდების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად,
მოვა შემყრელი ყოველთა ერთგან დღისა და ღამისად,
თუ ვერა განახე ცოცხალმან, სიცოცხლე გქონდეს ჟამისად“.

. . .

„მოვა შემყრელი ყოველთა ერთგან დღისა და ღამისად“.

ჭეშმარიტად, რომ ამ სიტყვებს არ აკლია არც ღვთის მადლი, არც სიბრძნე და არც სხვა ნათელი ზეგარდმო მუზისა... ასეთი სტრიქონებით იწყება „ვეფხისტყაოსანი“ და ასეთი სტრიქონებითვე მთავრდება იგი.

ადამიანის გული უნდა ლაპარაკობდეს, ენას განცდა უნდა ალაპარაკებდეს. თუ სიტყვა გულის ცეცხლით არაა გამთბარი და დაშაქრული გულისავე სიტკბოთი, არც ღვთიური მადლი ექნება მას. ძალიან ხშირად, როდესაც „ვეფხისტყაოსანს“ ჩავყურებ, მეჩვენება, თავად რუსთველი დგას სადღაც აქ, ახლოს და მესმის მისი სიტყვები, როგორც ზეცად ამაღლებული საგალობელი ჩვენი სულისა. ქვემოთ მოტანილ სტროფში ღმერთი არაა ნახსენები, მაგრამ აქ ყოველი სიტყვა სუნთქავს ღვთიური მადლით:

„თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა
დამამხობელმან,
ღარიბი მოვკვდე ღარიბად, ვერ დამიტიროს
მშობელმან,
ვეღარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა
მისანდობელმან,
მუნ შემიწყალოს თქვენმავე გულმან მოწყალე-
მლმობელმან“.

„თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხობელმან...“ — კითხულობ ამ სიტყვებს და არ შეიძლება არ გაიხსენო წმიდა მოციქულ იოანე ღვთისმეტყველის „აპოკალიპსი“ — „გამოცხადება“, სადაც ნაწინასწარმეტყველებია სამყაროს ფერისცვალება. „საწუთრო“ არის ყოველთა დამამხობელი, სადაც „წამია კაცის სიცოცხლე და წამწამისა მსწრობელი“. „ვეფხისტყაოსნის“ რომელ სიტყვასაც უნდა შეეხოთ, ღვთის მადლითაა შთაგონებული.

თავის ქმნილებაში რუსთველს ასოცდაათჯერ ჰყავს ნახსენები ღმერთი. ტარიელთან მეორედ მიმავალი ავთანდილი ევედრება ღმერთს, „რომელი ჰფლობს ქვეყნად ზესსა“:

„ღმერთო, ღმერთო, მოწყალეო, არვინ მივის შენგან კიდე,
შენგან ვითხოვ შეწევნასა, რაზომსაცა გზასა ვვლიდე:
მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა, ღამით მავნე გამარიდე!“

გავიხსენოთ თუნდაც მისი ანდერძი:

„წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რა გვარ წერენ?
ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან, ცნობანი მიაფერენ,
სიყვარული აღგვამაღლებს, ვით ეჟვანნი ამას ჟღერენ“.

აქ გენიოს პოეტს უთუოდ მხედველობაში აქვს მოციქულ პავლეს მიერ კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლეს მეცამეტე თავი, რომელიც მიძღვნილია მთლიანად ღვთაებრივი სიყვარულის საკითხისადმი. სწორედ, ამ ეპისტოლეშია ჩამოყალიბებული, თუ როგორ ამაღლებს სიყვარული ადამიანს, ამიტომ ბრძანა რუსთველმაც: „სიყვარული აღგვამაღლებს“.

რუსთველის აზროვნება იდგა იმ ზენიტზე, საიდანაც ხედავენ მხოლოდ „წმიდასა და თანაარსსა და ცხოველსმყოფელსა და განუყოფელსა სამებასა, ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“, ამინ.

„ვეფხისტყაოსნის“ დაწერის შემდეგ ასე მიჰქროდნენ ასწლეულები, როგორც სჩვევია დროთა ბრუნვას საწუთროისას... ქუხდა და წვიმდა ჩვენი ქვეყნის თავზე... შრომაც იყო, ბრძოლაც იყო და სისხლისღვრებიც... ზარებსაც რეკდნენ ჩვენს ეკლესიებში... „ნიკორწმინდის“ ჩუქურთმებიც ღაღადებდნენ ღვთის დიდებას... ბოლნისის სიონსაც ირგვლივ ერტყა ქართველთაგან დასახლებული დიდი სოფლები... შოთა რუსთველი ღმერთთან იყო უკვე წარმდგარი, მაგრამ ქმნილება მისი ქართველი ერის აზრსა და გულში გადასულიყო... ქარ-

თულ ტაძართა ჩუქურთმებთან „ვეფხისტყაოსნის“ ენაწმიდის“. ჩუქურთმებიც ღაღადებდნენ ღვთის დიდებას. ეჯიბრებოდნენ ერთიმეორეს „ვეფხისტყაოსნის“ დიდი სიბრძნის გადამწერლები, გულში იკრავდნენ ქართველი ქალწულები ძვირფას სამზითვოს. ქართველ ვაჟკაცებს ამშვენებდა „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად ცოდნა...

ასე იარა ღვთის განგებით ფეხადგმულმა დრომ საოცარმა, ასე მოჰქონდა საუკუნებს შოთას წიგნი ჩვენი გულებისაკენ, რათა გაგვეგო, რათა შეგვეგნო, რომ დიდ აზრებსა და დიდ წიგნებს ქმნის ღვთისაგან ბოძებული კაცის გენია... რათა გვცოდნოდა, რომ „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნებისა“, რომ „წამია კაცის სიცოცხლე და წამწამისა მსწრობელი“ და რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“. უნდა გაიგოს და მიიღოს ჩვენმა ახალგაზრდობამ სიყვარულის რუსთველური, რაინდული გაგება, რომ „მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი, მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი“, იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი“ და რომ „ამას საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა, დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა“.

უნდა დარწმუნდეს ადამიანი, რომ „განგებასა ვერვინ შეცვლის, არ საქმნელი არ იქნების“. ვიცოდეთ, რომ მაღალი ღმერთი ყოველთვის „შეუნდობს შეცოდებულსა“, რომ „თუ ლხინი გვინდა ღვთისაგან, ჭირიცა შევიწყნაროთა“, ან თუ: „რაცა საქმე, უსამართლო, ღმერთმან ვისმცა შეარჩინა“. გვახსოვდეს, რომ „ყოველი ცრუ და მოღალატე, ღმერთსა ჰგმობს და აგრე ცრუობს“ და ნურც იმას დავივიწყებთ, რომ „კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა, სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“.

ნიკორწმიდა. დეტალი



გამოსათხოვარი

მსუბუქი იყო თქვენთვის ღვთივკურთხეული ქართული მიწა

დეკანოზი ივანე ჭკადუა

ღვთივ მიიძინა დეკანოზმა ივანე ჭკადუამ... ნაღვაწი, ნაშრომი, ნაამაგარი, მშობლიური ეკლესიის სალოცავთან სიცოცხლის ბოლო წუთამდე მდგარი, მუდამ მოუსვენარი, მშრომელი, უსაზღვროდ თავმდაბალი, უსაზღვროდ კეთილი, ღიმილიანი, — ასეთი დარჩა ჩვენს ხსოვნაში მამა ივანე... ასეთი წარსდგა მისი სული უფლის წინაშე...

ცხოვრებისა და ღვაწლის დიდი გზა განვლო მამა ივანემ... თითქმის საუკუნეს მიაღწია (1900 წელს დაიბადა); რა არ ნახა, რა არ განიცადა... იგი ეკლესიაში იმ დროს მოვიდა, როცა ჩვენს ტაძრებს ქართული წირვა-ლოცვა ენატრებოდა... ასე იყო მის სოფელშიც, ზემო ქვალონში (ხობის რაიონი), სადაც მისი მამა თევდორე ჭკადუა იმ დროს დიაკონად მუშაობდა. მას საკმაო განათლება ჰქონია და ახლო-მახლო სოფლებში ბავშვებს წერა-კითხვას და ღვთის სიყვარულს ასწავლიდა... დადიოდა მოუღლელად... მცირეოდენი სინათლე შეჰქონდა ხალხის ცხოვრებაში.

დედაც სამღვდელო ოჯახიდან ყოფილა... მშობლები, დები, ბიძები... თითქმის სუყველანი ეკლესიის გზას მიჰყვებოდნენ. ხოლო ერთ-ერთი ბიძა ეპიფანე გელათის მონასტერში ბერად აღკვეცილი, შემდგომში გელათის მონასტრის იღუმენი იყო. იგი 1929 წელს გარდაიცვალა.

აწ განსვენებული ქუთათელ-გენათელი მიტროპოლიტი ნაომი დიდის სიყვარულით იხსენებდა მას: „ეპიფა-



დეკანოზ ივანე ჭკადუას პანაშვიდი ქვაშვეთის ტაძარში

ნემ მასწავლა წერა-კითხვა გელათის მონასტერშიო“. როდესაც მიტროპოლიტმა ნაომძა მამა ივანე მღვდლად აკურთხა, ეპიფანეს ნაქონი ჯვარი და „დავითნი“ — მას გადასცა. ესენი მან მე დამიტოვა და ახლა ბიძათქვენის ნაქონი ჯვარი თქვენ ატარეთ... მისი მადლი თქვენზე გარდმოვიდესო“.

მამა ივანე ეკლესიას 12 წლიდან დაუკავშირდა. იგი ადრე დაობლდა, რის შემდგომ ბებიამ და ბაბუამ აბაშაში წაიყვანეს... ბაბუაც მალე გარდაიცვალა (კაზაკებთან შეტაკების დროს დაღუპულა), თითქმის უსახსროდ დარჩენილი ბავშვი ხობის მონასტერში მიაბარეს. მანამდე კი, სენაკის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა. თოთხმეტი წლისა ახალი ათონის მონასტერში ჩავიდა. იქ ორი წელიწადი დაჰყო, შემდეგ სავალდებულო სამხედრო სამსახური და სხვა...

ბოლოს ისევ ეკლესიამ გაუთბო გული... მოღვაწეობდა ილორში, გაგრაში, სოხუმში, მანგლისში... სულ ბოლოს ქვაშვეთში...

ორიოდე სიტყვით, თუნდაც ეტითაც, ვერ შესაძლებელ არს ღვთის სამსახურში განვლილი ცხოვრების წარმოჩენა... და მაინც, ამ ორიოდე სიტყვით მინდა მადლობა ვუთხრა მამა ივანეს, მის ნათელ სულს, რომ წლების მანძილზე ის ჩვენს შორის ბრძანდებოდა და თავისი ჩუმი, კეთილი გულით, თავისი დიდი შრომისმოყვარეობითა და პატიოსნებით მასზე ბევრად უმრწმესთ, ჩაგვაგონებდა ყველაზე მთავარსა და დიდს — ღვთისა და ადამიანის სიყვარულს...

და აი, ახლა, მახსენდება ის ნაღვლიანი, მაგრამ მაინც ლამაზი დღე, როცა მამა ივანე უკანასკნელად ბრძანდებოდა თავის საყვარელ ქვაშვეთის ტაძარში... ყვავილებით მორთულ მის სასახლესთან უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა **ილია II** გულში ჩამწვდომ გამოსათხოვარ სიტყვაში ასეთი რამ ბრძანა“:

„მე მიყვარდა მამა ივანეს ღრმა მორწმუნეობა, ქრისტიანული თავმდაბლობა და მორჩილება. იგი ყოველთვის გვემახსოვრება როგორც კეთილი და კარგი. იგი უხვად დააჯილდოვა ღმერთმა. სიცოცხლეშივე მოესწრო მღვდელმთავარ შვილს...“

კუკიის სასაფლაოზე, წმიდა ნინოს ეკლესიის მახლობლად დაკრძალეს მამა ივანე... მსუბუქი იყოს მისთვის საქართველოს ეს წმიდა მიწა...

შენში რომ იყო, ის სიყვარული
უფრო მტკიცდება, უფრო ღრმავდება,
რაც გიშრომია და გიღვაწნია,
ყველა უფალთან დაგიფასდება“.

არქიმანდრიტი სოკრატი (ჯულუხიძე)

დიაკონი ალექსანდრე მაჩაბელი

ალექსანდრე (გია) ალექსანდრეს ძე მაჩაბელი დაიბადა 1949 წელს თბილისში.

მაჩაბელთა ოჯახმა, მწიგნობრობის ძველთუძველეს ტრადიციას კვლავაც რომ აგრძელებდა, ყმაწვილი განათლებასა და სათნოებას აზიარა. მამა რაფაელი (ეს იყო

მისი ლიტერატურული ფსევდონიმი და ამავე სახელით იცნობდნენ ეკლესიაში) განსაკუთრებული მოკრძალებით იხსენიებდა ბებიას, მართა სპირიდონის ასულ კასრაძე-მაჩაბლისას: მისგან მემცნოო პირველად სარწმუნოება და სიყვარული, დამაფიქრაო სოფელსა და მის შემოქმედზე. არც დედა, ელენე მაჩაბელი, აკლებდა მზრუნველობას.

წიგნი, მუსიკა და სპორტი შთააგონებდა, ახალისებდა, ამდიდრებდა გიას ყმაწვილკაცობას.

ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღო (მათე 7,17):

„აღიდებენ უფალს, რომელნი ეძიებენ, ხოლო რომელნი ეძიებენ, პოვებენ და მპოვნელნი ადიდებენ მას“. — ბრძანებს ნეტარი ავგუსტინე (შდრ. ფს. 23,6, მათე 7,7). და ალექსანდრე მაჩაბელის იდეალიც სწორედ ჭეშმარიტების — სამყაროს მიზეზისა და მიზნის ძიება იყო. როგორც მოკვდავთაგანს ჰხდომია წილად, ამ ზეციური სურვილს მისმიერ სრულქმნას ორჭოფობა, საეჭვარკვეთა, თავისთავთან ბრძოლა და ყოველივე ამას— სულიერი ტკივილი ახლდა თან. იგი კი მაინც დაუოკებლივ ეძიებდა ჭეშმარიტებას, თვისსავე თავში ებრძოდა ერესს, რომლის მიერ ხშირად ძლეულა ცნობიერად თუ ქვეცნობიერად და „მჭმუნვარების განსაქარვებლად“, ესწრაფვოდა „სადგურს მყუდროებისას“, სავანეს, სადაც ყოველ ჩვენგანს მიემადლება ძალა განმაცხოველებელი.

ამრიგად დაუახლოვდა იგი ეკლესიას.

ჯერ თბილისის კუკიის წმ. ნინოს ტაძარს ემსახურებოდა: იყო მედავითნე. 1980 წელს კი შემოსილ იქნა დიაკვნის ხარისხით და გამწესებულ თბილისის პეტრეპავლეს ეკლესიაში.

მამა ალექსანდრე (რაფაელი) ჩვენი ჟურნალის (დღიდან დაარსებისა) თანამგრძნობი და თანამდგომი იყო. მონაწილეობას ღებულობდა სარედაქციო კოლეგიის სხდომებში, გვთავაზობდა საყურადღებო წინადადებებს, ზრუნავდა გამოცემის მეცნიერული დონის ამაღლებისათვის. მის სტატიას „წირვა მართლმადიდებელ ეკლესიაში", გამოქვეყნებულს წინამდებარე ჟურნალის 1979 წლის პირველ ნომერში, ემჩნევა ავტორის ზნეობრივი პოზიცია: ღვთისმსახურების, საღმრთო ლიტურღიის ღრმა საფუძვლებს აზიაროს რიგითი, საღვთისმეტყველო განათლებას მოკლებული მკითხველი; სამოძღვრო ღვთისმეტყველების ენით განმარტოს, ნათელყოს წირვისა თუ წირვისეული სიმბოლო — ალეგორიების საიდუმლოება.

ასეთივე რწმენითა და სიყვარულით ქადაგებდა იგი ამბიონიდან, განსაკუთრებით, სიონის კათედრალში სამშაბათობით, ე. წ. სამოძღვრო საღამოებზე გამოსვლისას.

...და, ამ სახედ, მამაპაპეულ ვენახსა შინა სამკალს ფრიად (მათე 9,37) ამჩნევდა ახალგაზრდა დიაკონი, მაგრამ ავადმყოფობამ შეაფერხა მისი სამოძღვრო და ლიტერატურული მოღვაწეობა.

1982 წლის 9 მაისს მან, მარტოდმარტომ, თითქმის ფეხშიშველმა, აღარავისდა მიმხედველმა, თურმე ბეთანიის მთას მიაშურა. ალბათ ეწადა, მეტის ძალით ეგრძნო გაზაფხული — „დედამიწის მარადი ვსება", კვლავ — განახლება, ფერიცვალება, აღორძინება, შემოქმედის მარჯვენს რომ განახატებს ზეცადმსწრაფველ თვალთა წინარე.

...და არავინ ვიცით დღე და საათი დანამდვილებით, დიაკონმა ალექსანდრე მაჩაბელმა თუ როდის განისვენა მათთან, რომელნი ბეთანიელ ლაზარეს მსგავსად, მოელიან „აღდგომასა მკვდრეთით და ცხოვრებასა მერმისსა მის საუკუნესასა", ამინ.

ნ. პაპუაშვილი

არეოპაგიკული ცენტრი საქართველოში

უკვე რამდენიმე წელია, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან მუშაობს არეოპაგიტული პრობლემების კომპლექსურად შემსწავლელი სპეციალური ცენტრი, რომლის ძირითადი ამოცანა მისი არსებობის პირველ ეტაპზე გაფორმდა: მსოფლიოს კულტურულ და საგანმანათლებლო ცენტრებში არსებული არეოპაგიტული ლიტერატურის დისკრიპცია, მისი თბილისის უნივერსიტეტში თავმოყრა და სპეციალური საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის შექმნა. სამეცნიერო ცენტრის ამგვარი მიზანი განპირობებული იყო არეოპაგიტულ პრობლემებზე მომუშავე ქართველი სპეციალისტებისათვის იმ აუცილებელი მეცნიერულ-ლიტერატურული ბაზისის შექმნით, რომლის გარეშე მსოფლიო რეზონანსის მქონე არეოპაგიტული საკითხების კვლევა-ძიება მოკლებული იქნება მაღალ აკადემიურ ღირებულებას.

არეოპაგიტული საკითხებით ესოდენ დიდი დაინტერესება, გამოწვეულია როგორც მათი ფილოსოფიურ-ისტორიული და ზოგადი შემეცნებითი ღირებულებით, ასევე ქართული ეროვნული მეცნიერების წინაშე მდგარი მორალური პასუხისმგებლობითაც: ვიცოდეთ ის პრობლემები, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული ქართული კულტურის ისტორიასთან და რომელიც კვლევის საგანს წარმოადგენს მთელი მსოფლიოს მეცნიერებისათვის. მხედველობაში გვაქვს როგორც მისტიურ-ფილოსოფიური და ღრმად მეცნიერული არეოპაგიტული ტრაქტატების თავისთავადი ღირებულება, ასევე XI საუკუნის ქართველი მოღვაწის, ეფრემ მცირის მიერ შესრულებული თარგმანი და განმარტებები; მხედველობაში გვაქვს მთელი გზა ამ ტრაქტატებისა და ქართული აზროვნების ისტორიის განუყრელი თანადინება მასთან და ამ თვალსაზრისით ქართული აზროვნების მიმართება მსოფლიო კულტურის ისტორიასთან. მხედველობაში გვაქვს აგრეთვე: მე-20 საუკუნის აღმოჩენა — თეორია არეოპაგიტული ტრაქტატების ფსევდონიმი ავტორისა და მეხუთე საუკუნის სირიაში მოღვაწე ქართველი უფლისწულის — პეტრე იბერის იგივეობის შესახებ. აღმოჩენა, რომელიც თითქმის ერთდროულად ეკუთვნის ქართველსა და არაქართველ მეცნიერებს: აკად. შალვა ნუცუბიძეს და ბელგიელ პროფესორს — ერნესტ ჰონიგმანს.

რეზონანსი, რომელიც ნუცუბიძე — ჰონიგმანის თეორიამ მიიღო ევროპაში, გამოხმაურებანი დადებითი თუ უარყოფითი პოზიციებისა მისდამი, მტკიცე თუ არაზუსტი არგუმენტები ამა თუ იმ პოზიციისა, უკვე ათეული წლების განმავლობაში პასუხგაუცემელია. და არა მხოლოდ პასუხგაუცემელი! მათი არსებობა ძირითადად ჩვენი ცოდნის მიღმაა. მიუხედავად ინფორმაციის მიღების მრავალგვარი ახალი მეთოდებისა, ფაქტიურად ჩვენ მაინც ვერ ვწვდებით მათ არსებობას. (რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ იმ სპეციალისტებს, რომელთა გამოკვლევებიც ჩვენთვის ცნობილია!).

ამრიგად, სამეცნიერო ცენტრის სამუშაო თემატური სტრუქტურა არსებითად გააზრებულ იქნა ისეთი მხარეებით, როგორიც არის: 1. არეოპაგიტული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიისა და სპეციალური წიგნადი ფონდის

შექმნა, 2. არეოპაგიტული ტრაქტატების შესწავლის საკითხი: მათი წყაროებისა, მსოფლმხედველობრივი რეზონანსებისა ფილოსოფიის, რელიგიის, ლიტერატურისა თუ ხელოვნების ისტორიაში; ტრაქტატების ინტერპრეტაციების, თარგმანების, გამოცემების, ხელნაწერების საკითხი; 3. საკუთრივ ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორიის საკითხი.

მიღებულია საკმაოდ დიდი ინფორმაცია არეოპაგიტული ლიტერატურისა ევროპისა და ამერიკის ფილოსოფიურ-თეოლოგიური ცენტრებიდან.

როგორც ცნობილია, ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია არეოპაგიტული ტრაქტატების წარმოშობის საკითხში ეყრდნობა გერმანელი მეცნიერების — კოხისა და შტიგლმაიერის წანამძღვრებს, რომლებითაც ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრება მე-5 საუკუნის ნეოპლატონიკოსის — პროკლეს ნაზრევის ფილოსოფიურ გაგრძელებას წარმოადგენს. ასე რომ, ფსევდოდიონისეს სამოღვაწეო თარიღების მე-5 საუკუნეში ამოკითხვა, უწინარეს ყოვლისა, ფილოსოფიურ არგუმენტებზეა დამყარებული: კერძოდ კი პროკლეს ფილოსოფიის მთელი არეოპაგიტული ფილოსოფიური მოძღვრების მსოფლმხედველობრივ საფუძვლად აღიარებაზე. ამ გზით როგორც „კორპუსის“ ფილოსოფიურ-ისტორიული, ასევე ავტორობასთან დაკავშირებული არეოპაგიტული პრობლემატიკა პროკლეს ფილოსოფიის გარეშე აღარ არსებობს. რამდენადაც არეოპაგიტული პრობლემების შესწავლისათვის სპეციალური სამეცნიერო ცენტრი საქართველოში თბილისის უნივერსიტეტშია, ბუნებრივია, საკითხები, რომლებიც აქ დაისმის, მიიღებს ეროვნულ კოლორიტს. ასე მაგ.: არეოპაგიტიკის საფუძვლად პროკლეს ფილოსოფიის განხილვა საქართველოში იოანე პეტრიწისეული სკოლის გარეშე გაუმართლებელია. ამიტომ არეოპაგიტიკა საქართველოში თავის მხრივ წამოსწევს წინ იოანე პეტრიწის ფილოსოფიისა და საღვთისმეტყველო აზროვნების შესწავლის ამოცანას, პეტრიწისეული ღვთისმეტყველების ზედმიწევნით სათუთ ნიუანსებში გარკვევის აუცილებლობას. ამიტომ პირველი მუდმივმოქმედი სემინარი, რომელმაც სამეცნიერო ცენტრში დაიწყო მუშაობა, იყო „იოანე პეტრიწი“, რა თქმა უნდა, პირობითი წოდებით; უფრო ზუსტად: აქ ხდება პროკლეს ძირითადი თხზულების „თეოლოგიური პირველსაფუძვლების“ იოანე პეტრიწისეული თარგმანისა და განმარტებების შესწავლა-გამოცემა.

არეოპაგიტული პრობლემების კვლევის ლოგიკა თავის გაფართოებულ წრეში ათავსებს ქართული ფილოსოფიური აკადემიებისა და სამონასტრო ცენტრების მთელი აზროვნების ქსოვილს: როგორც გელათისა და იყალთოს აკადემიების, ასევე შავი მთისა და ათონის, სირია-პალესტინისა და საბერძნეთის ქართულ ქრისტიანულ-საგანმანათლებლო ისტორიას. სირიაში, შავი მთის ლავრაში მიღო ეფრემ მცირემ პირველი შთაგონება და მოწოდება ეთარგმნა ქართულად დიონისე არეოპაგელის ტრაქტატები, რომლებიც სახელმძღვანელოს წარმოადგენდნენ როგორც ეკლესიის მამათა ღვთისმეტყველებისათვის, ასევე საეკლესიო ღვთისმსახურების თეორიული საფუძვლებისათვის. ქართული სასულიერო ცხოვრება ამ ტრაქტატების გარეშე მათთვის აღარ წარმოიდგინებოდა.

ეფრემისეულ ანდერძში, რომელიც დიონისე არეოპაგელის „ღვთაებრივი სახელების“ თარგმანზეა მინაწერი, იგრძნობა თუ რაოდენ მოკრძალებით არიან შემზერილნი მისი (ეფრემ მცირის) სამოღვაწეოდ განმზადილი სულიერნი თვალნი დიონისური ტრაქტატების მწვერვალებრივი სიმაღლის ქართულად ასამეტყველებლად: „დიდება და მადლობა დასაბამსა და სრულმყოფელსა ყოველთა კეთილთასა ღმერთსა, რომლისა წყალობითა სრულ-იქმნა ერთი ესე ხუთთაგან წიგნთა წ-ისა დიონისიჲთა. პირველი წიგნი — თარგმანება საღმრთოთა სახელთა — მეოხებითა წ-ისა ღ-ის მშობელისათა და წ-ისა სიმეონ საკვირველთმოქმედისათა და ლოცვითა ბერთა ჩ-ნთა საბა და ანტონისითა და მათთანავე მოღვაწეებითა და ზრუნვითა კირილე ალექსანდრიელისათა, რომელთა ხსენება და ნეტარება საუკუნო იყავნ. ლოცუა ჰყავთ, ქ-ეს მოყვარენო, იოანესთვის საღმრთო ფილოსოფოსისა და ხორციელად დრამმატიკოსისა, რამეთუ ლოცვასავე თანა ზემოხსენებულთა მამათასა იგი იქმნა პირ და გონება და სიტყუა პირუტყუთა უუგუნურესისა ეფრემ მცირისა, რომელი აღვიარებ, ვითარმედ არა თუმცა იგი ყოფილიყო მოძღუარ და ძალ-მწე ჩემდა, მიხედუადცა ვერ ვიკადრებდი მზის თუალსა ამის წიგნისასა, რომელსა შინა ჩემი ცთომილება ოდენ არს, მომიტევეთ და ლოცვა ჰყავთ“ (მეცნ. აკად. ხელნ. ინსტ. 5 ფონდი, ხელნაწ. 459).

დიონისე არეოპაგელის ლიტურგიკული მოძღვრება სრულ ჰარმონიაშია მის თეოსოფიურ სისტემასთან: მისი ზეცური მოდელი დედანია ქრისტიანული ეკლესიის აღნაგობისა, ისევე როგორც პლატონის სისტემაში, მის იდეათა სამყაროა ღედანი ამქვეყნიური ცვალებადი ყოფიერებისა. ქრისტიანული ეკლესია, მისი იერარქიული წყობა მიწიერი ანარეკლია და სიმბოლურად იგივეობრივია სამყაროს უხილავი ზეციური წყობისა. ამიტომ უამრავი პრობლემა არეოპაგიტული მოძღვრებისა დაკავშირებულია ეკლესიის ისტორიასა და ლიტურგიკის უღრმეს წიაღებთან. ლიტურგიკის საკითხებთან არის დაკავშირებული ხშირად დავაც, თუ როდის, რომელ საუკუნეში შეიძლებოდა შექმნილიყო ეს თხზულებები. ქართველი ლიტურგიკოსები ქართველ მეცნიერებთან ერთად ვალდებულნი არიან თავიანთი შემეცნებითი ინტერესები არეოპაგიტული პრობლემებისადმი მიმართონ. ქართული ეკლესია ისევეა დავალებული დიონისე არეოპაგელის ნაზრევისაგან, როგორც ქართული ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო აზროვნება, როგორც ქართული მეცნიერება და საერთოდ მთელი ქართული კულტურის ისტორია. არეოპაგიტული სიბრძნე — ეს არის ის დიდი სულიერი მდინარე, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ასაზრდოებს მთელ ქრისტიანულ მსოფლიოს. ამიტომ უწოდებენ წმ. დიონისე არეოპაგელს — ტრაქტატების ავტორს, „მამას ქრისტიანობის იდუმალებისა“.

დ. სუმბაძე

ქვეყანასა მას ჰერეთისასა

სახელწოდება „ჰერეთი“ პირველად გვხვდება იაკობ ხუცესის თხზულებაში „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი“: „ვითარცა მოიწია იგი (ვარსქენ პიტიახშმა) საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა“. V საუკუნეში უკვე არსებობდა ცურტავის საეპისკოპოსო, რომელიც ჰერეთის საერისთავოს (საპიტიახშოს) ეკუთვნოდა.

ტერმინ „ჰერეთის“ ახსნის ცდა მოცემულია ლეონტი მროველის თხზულებაში „ცხოვრებაჲ ქართველთა მეფეთა“. ქართველთა ერთერთ შორეულ წინაპარს თარგამოსს, რვა შვილი ჰყოლია, რომელთაგან ერთს ერქვა ჰეროს. „...და მან, მამამან თარგამოს, ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკვარისა ჩრდილო, მცირე ალაზანისა შესართავთაგან... და აჰან, ჰეროს, აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა და უწოდა სახელი თვისი— ჰერეთი“.

ლეონტი მროველის ზემოთმოყვანილი ცნობა საინგილოს უნდა გულისხმობდეს.

ჰერეთი ანუ დღევანდელი საინგილო წარსულში ძირითადად დასახლებული ყოფილა ქართველური ტომებით. ამ ტომების (ჰერების) შესახებ ჰეროდოტეს „ისტორიის“ I ტომში დაცულია ცნობა.

ჰერეთის (საინგილოს) ბუნების მრავალფეროვნება და მეურნეობის მძლავრი ინტენსიურობა აღწერილი აქვს, აგრეთვე, ანტიკური პერიოდის ცნობილ გეოგრაფს სტრაბონს.

ჰერეთის შესახებ ძვირფასი ცნობები მოეპოვებათ ბერძენ ავტორებს: პლინიუსს, ფლავიუსს, დონ კასიოს. არანაკლები ცნობებია დაცული არაბულ, სპარსულ და თურქულ წყაროებში. თურქი მოგზაური — ევლია ჩელები ჰერეთის ტერიტორიაზე, კერძოდ კი კახის ქურმუხის ხეობაში მოსახლე ტომის „ოღუზების“

შესახებ წერს, რომ ეს ხალხი ტანად დიდი, მხრებგანიერი, ფერად თეთრ-მოწითალო ფერის, დიდრონ ნაკვთებიანი და დიდრონ კიდურებიანია, აქვთ ძლიერი ღონე და ფიზიკური ძალა“.

ოღუზების, როგორც ძველი ქართველი ფალავნების შესახებ საუბრობს პროფ. ილია ადამია. იგი ხაზგასმით აღნიშნავს „გურჯი ოღუზების“ კოშკს, ანუ რაინდთა სავანეს წარსულში.

ოღუზებზე ხალხში მრავალი მოგონებაა დარჩენილი. მათი კოშკის ნანგრევებს და სასაფლაოს ოღუზების სამაროვანს უწოდებენ. დღესასწაულებზე კი ხანდაზმულები უნთებენ სანთელს, საკმეველს უკმევენ და თაყვანს სცემენ, როგორც ძველ ფალავნებს.

ჰერეთი და იქ არსებული ძლიერი სავაჭრო ქალაქი-ცენტრები „ბაზარი“ (დღევანდელი ს. ძეგამი), ქალაქი გიში, შაკიხი, კაკი (დღევანდელი სოფ. კახი) და სხვა, წარმოადგენდა ირან-სპარსეთისა თუ უკიდურეს ინდოეთამდე სავაჭრო ურთიერთობის არეალს, სადაც ჰერეთის ძვირფასი სამეურნეო ნაწარმი: კაკლის მერქანი, კაკლის ზეთი, ღვინო, მატყლი და სხვა დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა.

აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „ზოგჯერ ჰერეთი თითქმის მთელ კახეთს ეწოდებოდა, ხშირად კი კახეთი ჰერეთსაც შეიცავდა“[1], რის გამოც ჰერეთის და კახეთის ქრისტიანული სალოცავები ერთმანეთისადმი აშკარა მსგავსებას იჩენენ.

ჯერ კიდევ V საუკუნეში ჰერეთი მეფე ვახტანგ გორგასალის ერთერთი საერისთაოა. მეფე იქ, უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში — გიშში, გიშის საეპისკოპოსოს აარსებს*[2].

VII ს. ბოლოსა და VIII ს. დასაწყისში მეფე არჩილი „საყდარს კასრისას დგამს წუქეთში — დღევანდელ კახში. ამ ფაქტის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ წერია: „და დაჯდა არჩილ მეფე წუქეთს და აღაშენა კასრი და პოვნა წუქეთის მთავარნი, რომელთა მიებოძა ვახტანგ გორგასალის წუქეთი... და აღაშენა ქალაქი ნუხპატის (ნუხი). ნუხპატელნი იყვნენ წარმართნი და მხეცის ბუნებისანი და იძულებით მონათლნა არჩილ იგინი“. ამიერიდან აღმავლობის გზაზე დამდგარ ჰერეთს თავს დაატყდება თურქ-სელჯუკებისა და სხვა მოძალებული მტრების თავდასხმები. ქვეყანა ისევ გაპარტახებას მიეცემა.

აწიოკებულ და მიწასთან გასწორებულ საინგილოს XII საუკუნის დამდეგს საქართველოს სახელგანთქმულმა მეფემ დავით აღმაშენებელმა შთაბერა სული. მან ჰერეთის ერისთავებად ერთგული პირები დანიშნა, ხოლო 1117 წელს იგივე მეფე-აღმაშენებელმა შემოიერთა პოლიტიკურად და ადმინისტრაციულად ძლიერი ჰერეთის აღმოსავლეთი ნაწილი — გრიგოლისძეთა სამფლობელო ქვეყანა (ციხე-მონასტერი — გიშით).

ამ პერიოდიდან ვიდრე მონღოლთა შემოსევამდე ჰერეთის ისტორიაში აღმავლობის ხანაა. შენდება ეკლესია-მონასტრები. ქრისტიანობა აღმოსავლეთ საქართველოში იმდენად ძლიერდება, რომ დაღესტნამდე აღწევს და საკმაოდ იდგამს იქ ფესვებს. საინგილოს მეზობელი ქვეყნის

---

2 ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, 1948, ნაწ. II, გვ. 37.

1 გიშის ტაძარი მდებარეობს ნუხის გარეუბანში. ამჟამად ნანგრევს წარმოადგენს.

— დაღესტნის გაქრისტიანებაში ყველაზე დიდი დამსახურება მიუძღვის მეფე თამარს.

თამარის ხანას მიეკუთვნება საინგილოში დღემდე შემორჩენილი ქრისტიანული ძეგლები. ხალხის მეხსიერებამ შემოინახა ზოგი დანგრეული თუ გაუქმებულ-გავერანებული ძეგლის არსებობის ფაქტი.

როგორი ყოფილა თამარის შემდგომი პერიოდის ქრისტიანული ჰერეთი-საინგილო? ამ კითხვის პასუხია 1310 წელს ქურმუხის მთავარეპისკოპოს კირილე დონაურის განკარგულებით დაწერილი ოთხთავის ანდერძი, სადაც ნათქვამია: „ოდეს სანატრელმან მან პატრიარქმან ჩუენმან ექთიმე, მოიხილა კახეთის-ანწუხისა საეპისკოპოზო და მიერითგან გარდამოვიდა წახურს, კაკ-ენისელს (დღევანდელი კახი-ალიაბადი) და მოვლო საყდარნი: კასრი-სამებისა, ყუმი-ღვთისმშობლისა, ლექარის (იგულისხმება ლექართის ტაძარი)— წმიდა მოციქულთსწორისა ნინოსი, ზარს (დღევანდელი ს. ზერნა) — წმიდა მთავარმოწამისა გიორგისი, ვარდიანს (დღევანდელი სოფ. გიულდუმი) — წმიდა აბოსი, განუზს — წმიდა არჩილისი და... სარანს — წმიდა მოციქულის პეტრესი, კვალად საყდარნი ხუნძთა, ნახჩთა, თოშეთისა, ლაგოეთისა, ბელაქნისა, მაჭ-ფიფინეთისა, ფეიჯან-მუხას-გამარეხისა და ყოელისა ვაკისა და ამან სანატრელმან ექთიმე მიბრძანა ქურმუხისა მთავარეპისკოპოზსა კირილე დონაურსა გარდაწერინებად სახარებისა და წარგზავნად თითეულისა ეკკლესიასა. მეცა გარდავაწერინენ კაკის წმ. ბარბარეს ტაძრისა მღვდელსა იასე ქიტიაშვილსა და ათთორმეტთა მისთა მოწაფეთა და წარგვზავნენ საყდართა და ვუბრძანენ სწავლებად „სჯული ჭეშმარიტი“ და „ფილოსოფიაი“, „მამათა ცხოვრებაი“, „ქართლის ცხოვრებაი“, და „ცხოვრებაი ალვანიისა...“.

იმავე კირილე დონაურის ბრძანებით დაწერილ მაღალაშვილისეულ სახარებაში ნათქვამია ბერქა-ყეენის მიერ ჰერეთ-ჩოვკანის აოხრების შესახებ და საეპისკოპოსო კათედრის — ცურტავის მოსპობის შემდეგ ჰერეთის საეპისკოპოსო კათედრის გადატანა ქურმუხის წმიდა გიორგის სახელობის ტაძართან, სადაც ეპისკოპოსს მიუღია ახალი სახელი „გიშ-ქურმუხელი“.

ცეცხლი და მახვილი, სისხლი და ცრემლი არ მოჰკლებია დასაბამიდან ჰერეთის მიწა-წყალს — ქართულ მიწას. დღესაც ყოველ ნაბიჯზე, ყოველ მტკაველზე მოუშუშებელ ჭრილობად ატყვია მას ირან-სპარსეთის მონღოლეთისა და მეზობელ ლეკთა შემოსევები. მტარვალთა სახელები დღესაც არ წაშლილა დანგრეულ ციხე-კოშკებზე. მიუხედავად ამდენი ტანჯვა-წამებისა, საჰერეთო თუ დაცემულა, კვლავაც აღმდგარა, თუ დანგრეულა, კვალად აშენებულა და ქვეყნის მაჯისცემა გადაცემულა უკუნითი უკუნისამდე.

მ. ტარტარაშვილი





ილია ჭავჭავაძის ქვრივის თხოვნა თბილისის გენერალ-გუბერნატორისადმი

„სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ჩემთვისა და მთელი საქართველოსათვის ძვირფას ილია ჭავჭავაძის სამ მკვლელს. სიცოცხლეში ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სულიერი ძალ-ღონე, ღვთის მიერ მასზე მოვლენილი მაღალი ნიჭი შესწირა ადამიანის სულში ადამიანური გრძნობის, კაცთა შორის სიყვარულის განმტკიცებას. მე ღრმად მრწამს, დღეს რომ ჩემი ქმარი ცოცხალი იყოს, შეუნდობდა იმათ, რომელთაც სასიკვდილოდ გაიმეტეს იგი და თავის უბედურ, გზა-აბნეულ ძმებად მიიჩნევდა. დღეს კი ჩემი ქმრის თხოვნა საქართველოს ერის სულიერ ცხოვრებაში იმის მკვლელთა სიკვდილით დასჯით დაიჩრდილება. ეს საზარელი სასჯელი დაარღვევს იმ ღვაწლს სიყვარულისას, ცხოვრების მასწავლებელ ქრისტეს იმ საუკუნო მცნებას, რომლითაც ცოცხლობდა ჩემი განსვენებული ქმარი. მოგმართავთ თქვენ გულწრფელისა და მხურვალე თხოვნით: ნუ დაამტკიცებთ სასამართლოს განაჩენს ამ უბედურთა სიკვდილით დასჯის შესახებ. თვით მე მხოლოდ შემთხვევით გადავრჩი სიკვდილს ჩემი ქმრის გვერდით და თითქო მხოლოდ იმისთვის დავრჩი ამ სოფლად, რათა დავაბოლოო ის ღვაწლი კაცთა მიმართ მხურვალე სიყვარულისა, რომელსაც ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა—შეუნდო იმ უბედურ, გზადაბნეულ მოყვასთ, რომელთაც თვით ის შეუნდობდა. ჩემი დღეები დათვლილია. ამჟამად თქვენგანაა დამოკიდებული მოიქცეთ ისე, რომ სიცოცხლის აღსასრულის ჟამს ვიგრძნო უმაღლესი ნეტარება, რომელსაც ადამიანის სულს ძალუძს მიაღწიოს ამ წუთი-სოფელში — შეერთება ღმერთთან, რომელიც განიცადა ქრისტემ, როცა ჯვარზე განრთხმული, სიკვდილის ჟამს, ღვთიურ სიყვარულის შუქით განათებული, ევედრებოდა შემოქმედს შენდობას იმ მტრებისას, რამეთუ „არა იციან რასა იქმან“.

ოლგა გურამიშვილი

გაზ. „დროება“, 1908 წ. 13 დეკემბერი (№ 22)



ზოგი რამ ინდოეთ—საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან

შორეულ საუკუნეებიდანვე საქართველოს მჭიდრო კავშირი ჰქონდა როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის სახელმწიფოებთან... იგი მათ დამაკავშირებელ გზებზე მდებარეობდა და თავისთავად მონაწილეობდა იმ გაცხოველებულ ეკონომიურ ურთიერთობებში — ვაჭრობებში, რომელიც ამ სახელმწიფოებს შორის არსებობდა. ასეთ გზათა შორის ერთ-ერთი იყო გზა ინდურ მსოფლიოსთან... ეს გზა სხვა სახელმწიფოებთან ერთად ინდოეთთან საქართველოსაც აახლოებდა. გაჩნდა კულტურული კერები, რომლებიც როგორც თავიანთ ხალხს, ისე სხვებსაც აცნობდნენ საკუთარი ქვეყნის ამბებს, რელიგიას, თქმულებებს, გადმოცემებს... მოგვიანებით, კერძოდ XI საუკუნეში თბილისის სავაჭრო თავყრილობის უბანში — ავლაბარში საგანგებო სახლიც კი დაუარსებიათ ასეთი ურთიერთობის მომსახურებისათვის.

ასეთ შემთხვევაში, ცხადია, არ იქნებოდა საჭირო, ვთქვათ, ქართველთა და ინდოელთა შორის ვისიმე შუამდგომლობა, რომ მათ ურთიერთის რელიგიური და მითიური თქმულებანი გაეცნოთ. ისტორიული წყაროები ასეთი ურთიერთობების არსებობას ინდოეთთან VI—VII საუკუნეებიდან ადასტურებენ. მაგალითისათვის „სიბრძნე ბალჰვარისაც“ კმარა.

ძნელი წარმოსადგენია, რომ იმ მისიონერული ამოცანების არსებობის პირობებში, რომლებიც სავაჭრო ქარავანთა მოძრაობას აკავშირებდა, შეხვედრის გარემოცვაში — ფაქტორიებში ბუდიზმის, ზოროასტრიზმისა და ქრისტიანობის წარმომადგენლებს ერთმანეთისთვის არ ეამბნათ თავიანთ რელიგიურ მოღვაწეთა შესახებ.

პროკოპი კესარიელის ცნობის მიხედვით ქართველნი უშუალო კავშირში იყვნენ ინდოელებთან. ცხადია, აქ ლაპარაკია მხოლოდ ზეპირ თხრობასა და გადმოცემებზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ინდურ წყაროებთან დაკავშირებული თქმულებები — მოთხრობა სინდბადზე, თქმულება შვიდი ბრძენის შესახებ და სხვ. თავდაპირველად გზიარების გზით შემოვიდოდა ჩვენში.

მრავალი საინტერესო ცნობა არსებობს ჩვენი ერთმანეთისაგან ესოდენ მოშორებული ქვეყნების ურთიერთობის შესახებ... გავიხსენებთ მხოლოდ რამდენიმეს:

ფრანჩისკიანების (მინორიტების) ისტორიაში მოხსენებულია ერთი გაკათოლიკებული ქართველი დიმიტრი ტფილელი, რომელიც თარჯიმნად გაჰყოლია ინდოეთში რომიდან წარმოგზავნილ მინორიტების წესის ოთხ ძმას და მათთან ერთად ქრისტეს სარწმუნოებისათვის სისხლი დაუღვრია და წამების „გვირგვინი დაუდგამს“. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის მიხ. თამარაშვილი:

„1321 წ. აპრილის 13, ბზობის წინა ხუთშაბათს დიდებული წამება მიიღეს მინორიტების წესის ოთხთა სარწმუნოების ბრწყინვალე მხედართა, რომელნიც არიან: ძმა თომა თოლეთინელი, ძმა იაკობ პადოელი, ძმა პეტრე სენიელი. იგი იყო თავისი ძმების თარჯიმნად, რადგან ძლიერ კარგად იცოდა აღმოსავლეთის ენები. ეწამნენ ინდოეთის ქვეყანაში თაჰანსა. მათი მოღვაწეობა და დიდებული წამება აღწერეს იქვე აღმოსავლეთში და გამოგზავნეს მათისავე გზის ამხანაგებმა დომინიკიანებმა: ძმა იაკობმა, ფრანჩისკე პიზანელმა და ძმა პეტრე თურელმა“. ამას გვამცნობს ფრანჩესკოების ისტორია. თამარაშვილი აღნიშნავს, რომ აქ დასახელებულ პირთა წერილები დრომ შთანთქა და სამწუხაროდ არც დიმიტრი ტფილელისა და არც მისი ამხანაგების შესახებ, რომელთა შორის შესაძლოა სხვა ბევრი ქართველიც ყოფილიყო, აღარაფერი ვიცითო.

ცხადია, ეს კავშირი შემდეგაც გაგრძელდებოდა. მართლაც იგი უფრო გაძლიერდა კოლონიურ დაპყრობათა ეპოქაში, როცა რომიდან წარმოგზავნილ ქრისტიანობის გამავრცელებელ ბერებს ახლო, შუა და შორეული აღმოსავლეთისაკენ დაედევნენ ევროპის სხვადასხვა კუთხის მოგზაური ვაჭრები.

იმავე თამარაშვილს მოჰყავს ცნობა მეორე ქართველის შესახებ, რომელმაც დიმიტრი ტფილელივით თავისი სიცოცხლე ინდოეთში დაასრულა. ეს იყო გორელი ანდრია (ერისკაცობაში ნასყიდა). მან ისე გაითქვა სახელი ქრისტიანულ ასპარეზზე ქალაქ გოაში, რომ თვით პატრები მიიჩნევდნენ **„წმიდანად“.**

ანდრია გოაში გარდაიცვალა. მისი გვამის დაკრძალვის სურვილი რამდენიმე მონასტერს ერთდროულად გამოუთქვამს, მაგრამ როგორც პეტრე ავიტაბილეს წერილიდან ირკვევა, იგი დაუკრძალავთ წმ. ავგუსტინეს მონასტერში... აუგიათ ისეთივე ყოველი წესი, რომელიც კანონად ჰქონდათ შეესრულებინათ უფროსისათვის.

უფრო მეტი ცნობაა შემონახული XVIII საუკუნიდან. არსებობს ქართველი აზნაურის რაფაელ დანიბეგაშვილის „მოგზაურობა ინდოეთში“, რომელიც 1815 წ. გამოქვეყნდა.

ინდური საქონელი ჩვენში მაღალხარისხოვნად ითვლებოდა და ფართო ბაზარს პოულობდა. მაგ., ქ. კაშმირის ქსოვილები საქართველოში საუცხოოდ მიაჩნდათ და იგი დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ აქ. ძველად თბილისში ინდოეთიდან შემოზიდული საქონლის სპეციალური მაღაზიებიც კი ყოფილა. საქართველოდან წასულ ვაჭრებს ინდოეთის დიდ ქალაქებში საკუთარი ქარვასლები და ამხანაგობებიც ჰქონდათ დაარსებული. ინდოეთში დღესაც დაცულია მაშინ იქ მცხოვრები ზოგიერთი ქართველის საფლავის ქვები ქართული წარწერებით. მაგ., ქ. ბენარაში დაკრძალული კოჯრელი თამაზა ხუდაშვილის საფლავის ქვის ქართული წარწერა ასე იკითხება:

„ქ. გიხსენე უფალო, ეს საფლავი კოჯრელი ხუდიანთ თამაზას საფლავია, რომ ჩემს ქვეყანას, საქართველოს მიწას მოვშორდი, ინდოსტანის მიწას ველიბრსე. ვინც წაიკითხოს, მიბრძანოს შენდობა, ქორონიკოხს უო“ (1782 წ.).

ეს კი იმას მოწმობს, რომ ინდოეთში კერძოდ ქ. ბენარაში საკმაოდ უნდა ყოფილიყვნენ ქართველები, რომელთაც ასევე შეეძლოთ წაეკითხათ ეს და ამის მსგავსი ეპიტაფიები და საქართველოს მიწას მოშორებული „გარდაცვლილი თანამემამულისთვის უკანასკნელი „შენდობა“ ეთქვათ.

უცხოელი მოგზაურის დელაპორტის ცნობით (მან აღწერა საქართველო) ინდოელებს თბილისში საკუთარი საკულტო საყდარიც ჰქონდათ“ (პლ. იოსელიანი. 1856 წ. გვ. 265). ეს საყდარი ნარიყალას მიდამოებში ყოფილა, სადაც აგურისაგან აგებული კვადრატული ნაგებობა მდგარა და ძველთაგანვე „საკერპოდ იწოდებოდა“. გადმოცემა ამბობს, მის თაყვანისმცემელთათვის აქ „მარადიული ცეცხლი“ ინახებოდაო. ინდოელთა საყდარი და „მარადიული ცეცხლის“ მსახურება ისლამის გავრცელების შემდეგაც დიდხანს ყოფილა დაცული საერთოდ კავკასიაში.

ყველაზე უფრო თანმიმდევრულად ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობა მწერლობაში აისახა... ავიღოთ თუნდაც მსოფლიოში ცნობილი „სიბრძნე ბალაჰვარისა“.

უკვე შუა საუკუნეებში ეს კავშირი კიდევ უფრო მჭიდროვდება... ისე როგორც „ვეფხისტყაოსანში“, ასევე „თამარიანსა“ და „ამირან-დარეჯანიანშიც“ ხშირად ვხვდებით არა მარტო ინდოეთის ხსენებას, არამედ არა ერთ საყურადღებო ცნობასაც. მათ-

ში იხსენიება ინდოელთა ძლიერი ლაშქარი, ინდოელი რაინდები. ამ რაინდთა მაღალი ზნეობა და კეთილშობილება, რაც ადასტურებს ამ ორი ქვეყნის კეთილგანწყობასა და ურთიერთობას.

აკადემიკოს გიორგი ახვლედიანს, რომელიც ჯავაჰარლალ ნერუს მიუწვევია, პრემიერ-მინისტრისთვის უამბნია, რომ საქართველოს მეფეს ვახტანგ გორგასალს ინდოეთში ყოფნისას შემთხვევა ჰქონდა ინდოელ ფილოსოფოსებთან შეხვედრისა. მათ შორის ფილოსოფიურ პრობლემებზე გამართულა მსჯელობა, რასაც ცხოველი პაექრობის ხასიათი მიუღია. მეფე ვახტანგ გორგასალის ფილოსოფიურ განათლებას და საღ მსჯელობას დიდი ყურადღება და საყოველთაო პატივისცემა დაუმსახურებია გამოჩენილ ინდოელ ბრძენთა შორის.

ეს საყურადღებო ცნობა, რომელიც მოხსენდა ჯ. ნერუს, ემყარება არსებულ საბუთს, ინდოეთის ლიტერატურულ ძეგლებსა და უნიკუმებს, სადაც როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, სხვა სახის მრავალი ცნობაც ყოფილა შემონახული საქართველოს ინდოეთთან ურთიერთობისა და იქ მყოფი ქართველების შესახებ.

საინტერესოა ერთი საყურადღებო ფაქტი: ალაჰაბადის უნივერსიტეტის რექტორს ერთ-ერთი საბჭოთა დელეგაციის ოფიციალური მიღების დროს განუცხადებია: საქართველოს შესახებ საინტერესო ცნობები ჩვენს მუზეუმებსა და წიგნთსაცავებში მოიკითხეთო.

სამწუხაროდ, ეს ურთიერთობა შემდგომში დიდად დასწია უკან მონღოლ-თათართა შემოსევებმა. თურქების გაბატონებამ კი სავსებით ჩაჰკვეტა საქართველოზე მიმავალი აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი დიდი სავაჭრო გზა. ამიერიდან ინდოეთში ქართველი ბერები რომის მისიონერებთან ერთად მოგზაურობენ.

ფრანგი მეცნიერის და მოგზაურის ფრანსუა ბერნეს დიდად საყურადღებო გამოკვლევაში „უკანასკნელ პოლიტიკურ გადატრიალებათა ისტორია დიდი მოგოლის სამეფოში“, სხვათა შორის, მოთხრობილია სამი ქართველის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ, რომელთაც მეთოთხმეტე საუკ. ბოლოს ინდოეთის ნაწილებში სამი სამეფო ჩამოუყალიბებიათ. მათ მიერ შექმნილ დინასტიებს თითქმის 200 წელი უარსებია. ბერნეს ცნობითვე, ამ მეფეთა ერთ-ერთი წარმომადგენლის — ნეზამ შაჰის სამეფოს დედაქალაქს დუალეთი რქმევია.

1738 წელს ჭაბუკი უფლისწული, შემდეგში ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II ქართველთა თანმხლები ამალით თავად იყო ინდოეთში. ჩვენამდე მოღწეულია მისი პირადი ბარათები თავისი დისადმი.

როგორც ამბობენ, ინდოელი მწერლის ბონკიმჩონდრო ჩოტტოპატხაის (1838—1894) ისტორიულ რომანში „რაჯ-სინგხ“ მოთხრობილია ქართველი დედოფლის თავგადასავალი. ეს ქართველი ქალი დიდმოგოლთა დინასტიის იმპერატორის ერთ-ერთ ვაჟს დარუს მონებით მოვაჭრისაგან უყიდია, მოხიბლულა მისი სილამაზით და ცოლად შეურთავს. დარუს ორი ცოლი ჰყოლია. ერთი ქართველი, ერთი ინდოელი. ქართველი ქალი ძლიერ ჰყვარებია და მისთვის პირველი ადგილი მიუნიჭებია. ქალი ლამაზიც ყოფილა და ჭკვიანიც. ისეთი დიდი გავლენა ჰქონია შაჰ-დარუზე, რომ იგი გაუქრისტიანებია კიდეც. ქართველ ქალს თან ჰქონია ჯვარი (ჯვარცმით) და ღვთისმშობლის ხატი, რომელიც სადაც არ უნდა წასულიყო, ყოველთვის თან დაჰქონდა. დაქვრივების შემდეგ იგი ცოლად შეურთავს მისი ქმრის მკვლელს — იმპერატორ აურანგზებს. ერთ-ერთ ლაშქრობაში აურანგზებს იგი თან წაუყვანია. ამ ომში იმპერატორი დამარცხებულა. დედოფალი ინდოელებს ტყვედ ჩაუგდიათ... ბოლოს აურანგზებს იგი მთელი სამეფოს ფასად გამოუსყიდია.

კარგი იქნებოდა, თუ ჩვენი მკვლევარები დაინტერესდებოდნენ ამ ქართველი ქალის ვინაობით. როგორც ამბობენ, მის შესახებ მასალები აურანგზების არქივში ინახება.

რამდენიმე წლის წინ გაზ. „თბილისში“ გამოქვეყნდა ინდოელი მეცნიერის დოქტორ ხატანას წერილი, რომელშიც იგი იუწყებოდა, რომ სწავლობს ინდოეთში მცხოვრებ გუჯართა ტომს, რომლებიც ბევრ რამეში ჰგვანან ქართველებს. იგი წერდა, რომ „ინდოეთში არის წმინდა ქართული სოფლები“. ცხადია, ეს ჩვენს ძალზე დიდ ინტერესს იწვევს...

„ინდოელი ქართველების“ ისტორია, როგორც ვარაუდობენ, შორეული საუკუნეებიდან უნდა მოდიოდეს, კერძოდ IV—V საუკუნეებიდან. ქართველთა „შეღწევა“ ინდოეთში შეიძლება მომხდარიყო დიდი ლაშქრობებისა და გადასახლებების ხანაში. უკანასკნელად, როგორც ჩანს, ეს მოხდა XIV საუკუნის დამლევს, მაშინ, როცა თემურ-ლენგის ურდოები შეესივნენ ჩრდილოეთ ინდოეთს. ინდოელ მეცნიერებს კი მიაჩნიათ, რომ გუჯარები ინდოეთში მოხვდნენ ჰუნებთან ერთად IV—V საუკუნეებში. ბენგალიაში თურმე არსებობს სამი ქართული სოფელი. როგორც ჩანს, ეს ის ქართველებია, რომლებიც თემურ-ლენგმა დაატყვევა, რჯული გამოუცვალა და შემდეგ სამარყანდში გარეკა. იქიდან კი მოაწყო ლაშქრობა ინდოეთში. ევროპის მეცნიერთა ცნობებით, ქართველები ინდოეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩნდებიან XV—XVI საუკუნეებში.

გუჯარები სახლობენ მთელ რაჯასტანში, ჯემასა და ქაშმირში, ჰიმალაის მთიანეთში, აგრეთვე, პაკისტანსა და ნეპალში. ამბობენ, ბომბეის ჩრდილოეთით, გალეჯაიერის მთაზე მცხოვრები კათხის ტომი ხშირად ასრულებს ქართულ ცეკვებსო (კათხი — კახი?!).

საინტერესოა, რომ ალექსანდრე მაკედონელისდროინდელი ბერძნები ჰიმალაის „ინდურ კავკასიას“ უწოდებდნენ. „გუჯარეთი ჰქვია ერთ-ერთ სოფელს ბორჯომის რაიონშიც.

* * *

ვწლით საქართველოს ტრაგიკულ მატიანეს.

ამ მატიანის ერთი უმძიმესი ფურცელია ქეთევან დედოფლის მოწამებრივი ცხოვრება და მისი აღსასრული.

თავისი გასაოცარი სიმტკიცითა და სულიერი ძლიერებით იგი მსოფლიოს მოწამეთა სიმაღლეზე დგას.

თავის დროზე, ირანის მრისხანე შაჰმა აბასმა, იმის გამო, რომ ქართველთა დიდებულმა დედოფალმა, დედამ მეფისა და პოეტის — თეიმურაზ პირველისა, უარი განაცხადა: ქრისტეს მცნება განეგდო და ცოლად გაჰყოლოდა მას, უსაშინლესი ტანჯვითა და წამებით განარიდა მისი მაღალი სული სხეულსა მისსა... ცხელი შანთითა და მახვილით დადაღა და დასწვა... შემდეგ კი რამდენიმე ხანს, სხვათა რისხვად და ძრწოლად კარგა ხანს პატივაყრილი ეწყო მიწაზე მისი ნაწილები. უმალ მთელმა ევროპამ გაიგო დედოფლის სახელი და მოწამებრივი სიკვდილი მისი.

ირანს ჩაყვანილ ქართველთა დედოფალს ზოგჯერ შესაძლებლობა ეძლეოდა იმ ხანად შაჰის კარზე ხშირად მყოფ ევროპელ მისიონერებთან შეხვედრისა, კერძოდ, მამა ამბროზიო დოს ანჯოსს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქეთევანსა და მის მხლებლებთან. ამ კავშირმაც შემოგვინახა ორიოდე ფრაგმენტი იმ ძუნწი ცნობებიდან, რაც ქეთევანზე იმ სასტიკმა საუკუნემ დასტოვა.

წამების წინ დედოფალს ორიოდე წუთით განმარტოების ნება უთხოვია და თავის სენაკში გასულა, მაცხოვრისათვის თავისი ხალხი შეუვედრებია. ბოლოს უთქვამს: „ახლა კი აღასრულეთ შაჰის ნებაო“. იგი თურმე, სულის ამოსვლამდე ლოცულობდა. ნაწამები ნაწილებისათვის ნაღვერდალი დაუყრიათ და მთელი ამ ფანატიკური რიტუალის აღსრულების შემდეგ მხოლოდ ფერფლი და ძვლები დაუტოვებიათ. ნეშტის მცირე ნაწილი მაინც გადარჩენილა. ერთხანს ის მისიონერთა მონასტერში ინახებოდა ისპაჰანში, მერე თეიმურაზ მეფემ ითხოვა და შაჰმაც დაუთმო. ეს მოხდა 1628 წელს, ივნისში. ნეშტი დაკრძალეს ალავერდის ტაძარში.

ნეშტის სხვა ნაწილები წმიდა მამებს გოაში ჩაუტანიათ, ინდოეთში შავი ქვის კუბოში ჩაუწყვიათ, და გრასას მონასტერში დაუსვენებიათ.

ამ პორტუგალიელი მისიონერების სახელებია ამბროზიო დოს ანჯოსი და პედრო დოს სანკტოსი.

ისინი მიხეილ თამარაშვილს არაერთხელ ჰყავს მოხსენიებული.

ქეთევან დედოფლის ცხოვრებისა და გმირობის ამსახველი სურათები — ფრესკები ახატია ლისაბონში და გრასას მონასტრის კედლებს.

გოაში ადგილობრივმა მოსახლეობამ ლოცვა და საგალობელი შეთხზა მასზე...

ДЖВАРИ ВАЗИСА

(Крест из виноградной лозы)

Журнал открывается Рождественским посланием Святейшего и Блаженнейшего Католикоса-Патриарха всея Грузии Илии II, в котором затронуты важнейшие вопросы человеческого существования, каковыми являются: отношения человека к Богу, основанные на незыблемой вере и самозабвенной любви, познание радости от внутреннего единения людей. В послании говорится о необходимости исповеди, милосердии к ближнему своему, заглушении в себе эгоистических чувств, презрения гордыни, ощущении радости труда. Послание оканчивается словами: «Только в христианстве нашло человечество внутреннее совершенство в своей долгой и трудной дороге религиозных исканий.

Желаю радоваться вечно, ибо с нами Бог!»

26 мая (6 июня) Католикос-Патриарх всея Грузии Илия II в связи с гибелью в автомобильной катастрофе Председателя Совета Министров Грузинской ССР Зураба Патаридзе, выразил соболезнование телеграммой Совету Министров Грузинской ССР.

В журнале печатается текст телеграммы.

В мае месяце в Москве проходила Всемирная Конференция религиозных деятелей под девизом: «Религизоные деятели за спасение священного дара жизни от ядерной катастрофы». Конференция вызвала широкий отклик во всем религиозном мире.

24 июня (6 июля) в Загорске вновь состоялось заседание, на котором присутствовали главы Церквей, представители религиозных объединений. В заседании приняла участие делегация Грузинской Церкви.

В журнале печатается речь Католикоса-Патриарха Илии II произнесенная им на заседании.

В августе делегация Грузинской Церкви во главе со Святейшим и Блаженнейшим Католикосом-Патриархом всея Грузии Илии II, по приглашению Патриарха Индии Базилиуса МарФомы Матфея I, посетил Индию в связи со знаменательной датой 70-летием автокефалии Индийской Церкви.

В письме рассказывается о грандиозных торжествах, прошедших в юбилейные дни в Индии. Печатается речь Католикоса-Патриарха Илии II, произнесенная им в Катайяме. В своей речи Его Святейшество сообщил индийским друзьям, что в Грузии, патриаршем соборе Сиони хранится глава просветителя Индии апостола Фомы.

В журнале печатается информация о посещении делегацией Грузинской Церкви Женевы—Шамбеза...

Читатели могут ознакомиться со статьей протоиерея Амирана Шенгелия о проходившей в Болгарии Конференции, где рассматривался вопрос об экуменическом распределении ресурсов.

«Святыни Грузинской Церкви».

Под этой рубрикой рассказывается о реликвии хранящейся в Чкондидской епархии — пальце св. Иоанна Крестителя..... Здесь же печатается статья А. Меладзе — «Иоанн Креститель».

«Афонской обители тысяча лет».

В X веке грузинские деятели в Греции на нижнем склоне Афонской горы построили монастырь, который сыграл большую роль в развитии грузинской национальной культуры.

На протяжении веков в Афонской обители создавались замечательные образцы зодчества и живописи, писались оригинальные произведения, переводились иноязычные памятники, поднимая национальную литературу до уровня общехристианской духовной культуры. На Афоне, в частности Иверском монастыре, хранится покровительница Иверии — чудотворная икона Богоматери — Портаитская (Вратарница).

В прошлом году в связи с тысячелетием Афонской обители Грецию в разное время посетили две делегации Грузинской Церкви.

В сентябре в Тбилисском государственном университете была проведена юбилейная сессия, в которой приняли участие представители ведущих научных центров мира.

Журнал предлагает читателям обширную информацию о работе сессии.

«Церковная жизнь»... Под этой рубрикой объединены три подзаголовка: «Экуменические связи».

«Пути дружбы».

«Внутрицерковная жизнь».

В журнале рассказывается об экуменическом заседании, проходившем в Москве... Печатается также информация о делегациях посетивших Грузинскую Церковь... Здесь же читатели ознакомятся с информацией о состоявшейся в Киеве очередной консультации Всемирного Совета Церквей.

29 мая (11 июня) Грузинскую Церковь с дружеским визитом посетили религиозные деятели Греции. По завершении совместного богослужения в Квашветском соборе Святейший и Блаженнейший Католикос-Патриарх всея Грузии Илия II обратился с речью к почетным гостям, отметив, что между греческим и грузинским народами исторически существовали тесные связи, которые и в будущем должны развиваться.

Для укрепления дружеских связей между двумя Православными Церквами, большое значение имел визит в прошлом году Патриарха Болгарского — Максима. Грузинская Церковь, как и весь грузинский народ, проявляла большой интерес к болгарской духовной культуре, и Церкви. Наша дружба уходит корнями в глубину веков. Еще в XI веке в Болгарии грузинскими деятелями был основан Петрицонский (Бачковский) монастырь.

Болгарские гости осмотрели достопримечательности Тбилиси, побывали в святом городе Мцхета, также в городах Боржоми, Гори.

6 (13) сентября в кафедральном соборе Светицховели состоялась праздничная Божественная литургия, по окончании которой два Патриарха обратились друг к другу с речами. В журнале напечатаны слова Патриарха Максима и Католикоса-Патриарха Илии II.

Здесь же печатается речь Святейшего и Блаженнейшего Католикоса-Патриарха всея Грузии Илии II, произнесенная им в Эчмиадзине по случаю 27-ой годовщины интронизации Верховного Патриарха-Католикоса всех армян Вазгена I.

В своем слове Католикос-Патриарх Илия II еще раз подчеркнул те древние братские взаимоотношения, которые существовали между армянским и грузинским народами.

В рубрике «Внутрицерковная жизнь» рассказывается о деятельности грузинской Церкви... Здесь же печатается информация о рукоположении во епископа архимандрита Вениамина, назначенного епископом Агарак-Цалкинским. Имя дано ему Вахтанг. Печатается также его биография и слово, произнесенное им в день рукоположения.

Богословие.

В журнале печатается несколько глав из книги Фомы Кемпийского «Подражание Христу»... Также статья Н. Успенского «Спасение верой».

В журнале напечатаны две проповеди. Одна из них была произнесена Патриархом Болгарским Максимом по завершении Божественной литургии, которую он совершил 8 (21) сентября по случаю престольного праздника собора в Дидубе — Рождества Пресвятой Богородицы... Вторая проповедь принадлежит классику грузинской литературы, известному церковному деятелю XVIII века монаху Сулхан-Саба Орбелиани.

В разделе «Поэзия» печатаются стихи духовного содержания, авторами которых являются: архиепископ Фаддей (Иорамашвили), архиепископ Константин (Меликидзе) и протойерей Павел Беришвили.

В журнале печатается проповедь митрополита Батумо-Шемокмедного Шио (Авалишвили), в котором автор делится своими мыслями о поэме Руставели «Витязь в тигровой шкуре».

В этом году в Боге почили протойерей Квашветского собора Иоанн Чкадуа и молодой диакон Александр (Гия) Мачабели... В журнале печатаются прощальные слова архимандрита Сократа Чулухадзе и Н. Папуашвили.

В статье кандидата философских наук Д. Сумбадзе рассказывается о грузинском ареопагическом центре в Тбилисском государственном университете.

В рубрике «Из летописи» читатели ознакомятся с письмом вдовы великого грузинского поэта и мыслителя Ильи Чавчавадзе — Ольги Гурамишвили, которое было послано Тбилисскому Генерал-Губернатору. В ней содержится просьба о помиловании убийц мужа, ибо сам Илья, как истинный христианин, простил бы их.

Печатается статья М. Тартарашвили «В Геретии», в которой автор обозревает историю одной из исторических провинций Грузии — Саингило.

В журнале печатается статья, рассказывающая об исторических взаимоотношениях Индии с Грузией.





DJVARI VAZISA

(The Cross of Vine)

No 2, 1982

The journal opens with the Christmas Epistle of His Holiness and Beatitude Ilia II, Catholicos-Patriarch of All Georgia. He emphasizes such actual questions, as the necessity of constant faith and sincere love, cast of envy and covetousness, passion for labour and remission of sins, importance of confession, etc. In the conclusion He says: „The world historical process of religious search, which was rather long and hard for the mankind, found it's inner perfection only in Christianity. Do wish you all the eternal joy, because the God is with us".

On May 24 (July 6) of this year, because of the car accident departed Mr. Zurab Pataridze, the Chairman of the Council of Ministers of Georgian SSR. The cables of sympathy sent by His Holiness and Beatitude Ilia II to the Council and the family are printed in the journal.

„Peace to All" — The Peace Conference, "Religious Workers for Saving the Sacred Gift of Life from Nuclear Catastrophe" was held in Moscow, in May of this year. The Conference was enthusiastically recieved and supported by the representatives of all religions of the world. The journal acquaints its reader with the speach of His Holiness and Beatitude Ilia II, delivered at this meeting.

The delegation of the Georgian Orthodox Church, headed by His Holiness and Beatitude Ilia II, visited India in September... At the invitation of His Holiness Baselius MarThoma Mathews I, Catholicos of the East, the delegation took part in the Septuagesimal Anniversary of the Reestablishment in India of the Catholicate of the East. The article by Bishop Ambrosius (Katamadze) extensively covers all those great events, which took place during the days of the celebrations. The speach of His Holiness and Beatitude Ilia II made in Kottayam, is also being printed. „The Churches of Georgia and India — are the oldest Eastern Churches. Both they are Apostolic Churches... and the Head of St. Thomas, the Inlightener of India, is kept in the Sioni Patriarchal Cathedral in Georgia".

In this section the journal publishes the information about the visit of the Georgian Church delegation to Geneve-Chambesy and the article by Archpriest Amiran Shengelia concerning the WCC Consultation on Ecumenical Sharing of Resources, held in Bulgaria.

"The Sanctities of the Georgian Church" — under this heading is printed the article by A. Meladze „John the Baptizer" and the information about the sanctity — the finger of John the Baptizer, cept in Chkondidi Diocese.

„Thousand-year Athos" — Ten centuries passed already from the day of the foundation of Georgian Monastery on Holy Mount Athos. Many world-famous, original and important masterpieces of the Georgian literature were created there and it's hard to find another such place abroad, which can be compared with Iviron — the cultural centre of Georgia. It's only worth mentioning that the Miraculous Icon of Our Lady of Iviron — the Protector of Georgia, is kept on Athos.

Two ecclesiastical delegations of the Georgian Orthodox Church visited the Holy Mount the last year.

The jubilee session, dedicated to thousand-year anniversary of the foundation of Iviron Monastery, was held in Tbilissi State University in October of this year. The session was attended by the representatives of the world leading scientifical centres. The information concerning the meeting is published in this section.

„Ecclesiastical Life" — The section covers three main topics: „Ecumenical Relations", "Fraternal Roads", „Ecclesiastical Life" and the information about the ecumenical meeting in Moscow, visiting delegations from abroad and the WCC consultation held in Kiev.

„Fraternal Roads" — During the period of May 29 — July 11, the ecclesiastical delegation from Greece made a fraternal visit to Georgia. „The close relations that existed for a long period of many centuries between Georgians and Greeks, we wish to be strengthened in future" — said His Holiness and Beatitude Ilia II in His speach made in Kvashveti Cathedral of St. George, after the Divine Liturgy in honour of the guests.

Of the great importance, for strengthening the fraternal ties betweev Orthodox Churches, was the visit to Georgia of His Holiness Maxim, Patriarch of Bulgaria .. Georgian Church, together with the Georgian nation was always much interested in the ecclesiastical culture and the Church of Bulgaria... Our relationship has a very old roots and Bochkovo Monastery of Georgians, sprouted on them, is a vivid evidance of this.

The Bulgarian guests visited many churches and cathedrals, made a sight-seeings in Tbilissi, the old capital of Georgia Mtskheta, were in Bordjomi and Gori...

On September 6 (19), the Festal Divine Liturgy was held in Svetitskhoveli Patriarchal Cathedral in Mtskheta. The journal publishes the addresses of Patriarch Maxim and Catholicos-Patriarch Ilia II, delivered after the Liturgy. Here is also published the speach of His Holiness and Beatitude Ilia II, addressed to the Supreme Patriarch of All Armenians Vazgen I, on the occasion of 27th anniversary of the enthronement. The old and fruitful, brotherly and fraternal ties, that always existed between Georgian and Armenian peoples are stressed once more in the speach. The Ecclesiastical Life — covers the information of several aspects of life of the Georgian Church, biography of Archimandrite Beniamin (Akhvlediani) consecrated Bishop Vakhtang of Agarak-Tsalka and his speach made at the cosecration.

The Theological section of the journal acquaints us with several chapters of Thomas Camphel's book „Imitation of Christ"... as well as the article by N. Uspenski „Saving by Faith".

Two preaches are being published in the journal... one of the Bulgarian Patriarch Maxim, delivered on September 8 (21) after the Divine Liturgy in Didube Cathedral of the Holy Virgin, on the Day of Her Birthday... the second one belongs to the great classical writer of 18th century, the outstanding ecclesiastical figure, monk Sulkhan-Saba Orbeliain.

„Poetry" — Here the journal presents some religious verse by Archbishops Thadeus (Ioramashvili) and Constantine (Melikidze) as well as of Archpriest Pavle Berishvili.

„Whatever Is the Will of God" — Under this title the reader is acqrainted with the meditations of Metropolitan Shio (Avalishvili) of Batnmi-Shemomkmedi upon the poem of Shota Rustaveli „Knight in the Tiger's Skin".

The souls of merited Archpriest Ivane Chkadua of Kvashveti Cathedral and young deacon Alexandre (Gia) Machabeli departed this year. The journal publishes the parting letters by Archimandrite Sokrat Tchulukhidze and N. Papuashvili.

Master of Philosophy D. Zumbadze presents her summerizing article about the Georgian Areophagetic centre of Tbilissi State University.

In the section „Chronicle", the journal publishes the letter of Olga Chavchavadze, wife of the great Georgian writer of the 19th century — Ilia Chavchavadze, written to the Gubernator-General of Tbilissi, in which she asks to pardon the assasins of her husband, because he himself, being a real Christian, would do so. Here we can also read the article by M. Tartarashvili „In the Land of Herety", where the author tells us about the past of Saingilo, one of the regions in Georgia.

At last some articles concerning „Indo-Georgian Relations" are published in the journal.

შინაარსი

საშობაო ეპისტოლე

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის ილია II 3

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II სამგლოვიარო დეპეშა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზურაბ ალექსანდრეს ძე პატარიძის გარდაცვალების გამო 8

მშვიდობა ყოველთა

კათოლიკოს-პატრიარქ ილია II სიტყვა წარმოთქმული ეკლესიათა მეთაურების, ეკლესიის მოღვაწეთა და რელიგიურ გაერთიანებათა წარმომადგენლების სხდომაზე ზაგორსკში 24 ივნისს (6 ივლისი) 9

ინდოეთის გზებზე 10

საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელნი ჟენევა-შამბეზში 15

კონფერენცია რესურსების განაწილების შესახებ (ბულგარეთი) — დეკანოზი ამირან შენგელია 16

საქართველოს ეკლესიის სიწმიდენი

იოანე ნათლისმცემელი — ა. მელაძე 18

საეკლესიო ცხოვრება.

სამეგობრო გზები

მსოფლიო საეკლესიო საბჭოს მორიგი კონსულტაცია კიევში 20

ბერძენი სასულიერო პირნი საქართველოში 20

ბულგარეთის ავტოკეფალური ეკლესიის დელეგაცია ბულგარეთის პატრიარქ მაქსიმეს წინამძღოლობით საქართველოში 21

ქართული ეკლესიის დელეგაცია სომხეთში 25

ეკუმენური ურთიერთობანი 27

ხელთდასხმა 29

პოეზია 32

ათონი — ათასწლოვანი 33

საეკლესიო ცხოვრების ფოტომატიანე 36

ღვთისმეტყველება

„მიბაძვა ქრისტესი“ I—II თავი წიგნიდან — თომა კემფელი 38

რწმენით გადარჩენა — ნ. უსპენსკი 42

ქადაგებანი

ბულგარეთის პატრიარქ მაქსიმეს ქადაგება წარმოთქმული დიდუბის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში საღმრთო ლიტურგიის აღსრულების შემდგომ 8(21) სექტემბერს 43

სწავლა სიმთვრალისათვის — სულხან-საბა ორბელიანი 44

რაცა ღმერთსა არა სწადდეს — მიტროპოლიტი შიო ავალიშვილი . . . 48

გამოსათხოვარი

დეკანოზი ივანე ჭკადუა 51

დიაკონი ალექსანდრე მაჩაბელი 52

არეოპაგიკული ცენტრი საქართველოში — დ. სუმბაძე 53

ქვეყანასა მას ჰერეთისასა — მ. ტარტარაშვილი 55

მატიანედან

ილია ჭავჭავაძის ქვრივის თხოვნა თბილისის გენერალ-გუბერნატორისადმი . . 57

ზოგი რამ ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან 58

რეზიუმე (რუსულ ენაზე) 60

რეზიუმე (ინგლისურ ენაზე) 62

საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე:

მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე)

ჟურნალის რედაქტორი: თ. გურიელი

ტირაჟი 1000, შეკვ. 1311

საქართველოს სსრ მეცნ. აკად. სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის 19

საქართველოს საპატრიარქო. სიონის ქ. № 4, ტელ. 72-24-27

Грузинская патриархия

«Джвари вазиса» (Крест из виноградной лозы) № 2, 1982 г.

Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ქართული ანბანი

Ա	ա	ა	a	1
Բ	բ	ბ	b	2
Գ	գ	გ	g	3
Դ	դ	დ	d	4
Ե	ե	ე	e	5
Զ	զ	ვ	v	6
Է	է	ზ	z	7
Ը	ը	ē	ē	8
Թ	թ	თ	t	9
Ժ	ժ	ი	i	10
Ի	ի	კ	k	20
Լ	լ	ლ	l	30
Խ	խ	მ	m	40
Ծ	ծ	ნ	n	50
Կ	կ	ჯ	j	60
Հ	հ	ო	o	70
Ձ	ձ	პ	p	80
Ղ	ղ	ჟ	ž	90
Ճ	ճ	რ	r	100
Ն	ն	ს	s	200
Շ	շ	ტ	ṭ	300
Ո	ո	უ	y	
Ով	ով	უ	u	400
Պ	պ	ფ	p	500
Ջ	ջ	ქ	k	600
Ռ	ռ	ღ	ɣ	700
Ս	ս	ყ	q	800
Վ	վ	შ	š	900
Տ	տ	ჩ	č	1000
Ր	ր	ც	c	2000
Ց	ց	ძ	ʒ	3000
Ւ	ւ	წ	ç	4000
Փ	փ	ჭ	č̣	5000
Ք	ք	ხ	x	6000
Օ	օ	ჰ	q	7000
Ֆ	ֆ	ჯ	ǯ	8000
Ղ	ղ	ჰ	h	9000
Ճ	ճ	ჭ	ɑ	10000